



USAID
ამერიკელი ხალხისგან



სახელმწიფო
ინსპექტორის
სამსახური

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის
გადაწყვეტილებები

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება



2

**სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის
გადაწყვეტილებები**

**ჯანმრთელობასთან დაკავშირებული
მონაცემების დამუშავება**

2

საქმე №1

მთავარი პროკურატურის მიერ არასრულწლოვნის სამედიცინო დიაგნოზის გასაჯაროება

6

საქმე №2

ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა

8

საქმე №3

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების ხელმისაწვდომობა

11

საქმე №4

ნარკოლოგიური აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში მცდარი მონაცემების გასწორება

15

საქმე №5

მსჯავრდებულების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის პარლამენტის წევრისთვის გამჟღავნება

18

საქმე №6

კერძო დაცვის კომპანიის თანამშრომლის მონაცემთა გადაცემა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტისთვის

21

საქმე №7

აივ ინფიცირებულის ანონიმურობის დაცვა

24

საქმე №8

საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძღოლების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობების შენახვა

27

საქმე №9

სტომატოლოგიური კლინიკის მიერ სოციალური ქსელით პაციენტის მონაცემების გავრცელება

30

საქმე №10

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 404 მოქალაქის მონაცემების გამჟღავნება

33

საქმე №11

მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვების დიაგნოზის გამჟღავნება

37

საქმე №12

გარდაცვლილი პაციენტების მონაცემთა გამჟღავნება

40

საქმე №13

სააფთიაქო ქსელში მიმდინარე აუდიო-ვიდეო კონტროლი

43

საქმე №14

ყოფილი მეუღლისთვის სამედიცინო დოკუმენტების გადაცემა

47

საქმე №15

კლინიკის რეპუტაციის დასაცავად პაციენტის მონაცემების გასაჯაროება

50

საქმე
№16

ვიდეომონიტორინგი
ურინოტესტირების პროცესში
52

საქმე
№17

მუნიციპალიტეტის გამგეობის
მიერ მოქალაქის შეზღუდული
შესაძლებლობის შესახებ
ინფორმაციის გამჟღავნება
55

საქმე
№18

სამართალდამცავი
ორგანოებისთვის სამედიცინო
დოკუმენტაციის გადაცემა
57

საქმე
№19

პაციენტის შვილისთვის
ჯანმრთელობის მდგომარეობის
შესახებ ფორმა №100-ის
გადაცემა
60

საქმე
№20

სამართალდამცავი
ორგანოს ვებგვერდზე
სამედიცინო ინფორმაციის
გასაჯაროება
63

საქმე
№21

პაციენტთან პირადი
კომუნიკაციის
კონფიდენციალურობის
დარღვევა
67

საქმე
№22

რეცეპტში გახვეული
თონის პური
70

საქმე
№23

უცხო პირების თანდასწრებით
პაციენტის კლინიკური
გამოკვლევა
73

საქმე
№24

აივ ინფიცირების შესახებ
ინფორმაციის გამჟღავნება
77

საქმე
№25

ჯანმრთელობის შესახებ
ელექტრონული ჩანაწერების
EHR სისტემაში პაციენტების
მონაცემებზე წვდომა
80

საქმე
№26

პაციენტის გამოკვლევის
შედეგების მეგობრისთვის
გადაცემა
84

საქმე
№27

ვიზიტზე ჩანერილ პაციენტთა
სიების დერეფანში განთავსება
87

საქმე
№28

პოლიკლინიკის მიერ
არასრულწლოვანთა
პერსონალური მონაცემების
დამუშავება
90

საქმე
№29

ბრალდებულის
ჯანმრთელობის შესახებ
ინფორმაციის გასაჯაროება
94

საქმე
№30

სადაზღვევო კომპანიის
ოფისში კომუნიკაციის
უსაფრთხოება
98

შესავალი

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემები განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებია, რომელთა დაცვა პირადი ცხოვრების დაცვის უფლების უზრუნველყოფისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ვინაიდან ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემები მოიცავს სენსიტიურ დეტალებს ინდივიდის პირადი ცხოვრების, მისი ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობის შესახებ, მათ შორის ინფორმაციას დიაგნოზის, სამედიცინო ჩივილების, ჩატარებული მკურნალობის, კვლევების შესახებ, მათი უკანონო მოპოვება, გამჟღავნება ან სხვაგვარი დამუშავება შესაძლოა არა მხოლოდ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის, არამედ ღირსების შელახვის, სტიგმატიზაციის ან დისკრიმინაციის მიზეზი გახდეს.

სწორედ ამიტომ, საერთაშორისო და საქართველოს კანონმდებლობა ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების დაცვის მაღალ სტანდარტს და გარანტიებს აწესებს.

ევროკავშირის პერსონალურ მონაცემთა დაცვის რეგულაციითა და „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს მოდერნიზებული 108-ე კონვენციით აღიარებულია ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების განსაკუთრებული მნიშვნელობა.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, ისევე როგორც ჯანდაცვის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა, საჯარო და კერძო ორგანიზაციებს ავალდებულებს მკაცრად დაიცვან ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა, მონაცემების დამუშავება უზრუნველყონ შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლით, კანონით განსაზღვრული პრინციპებისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

მკაცრი სამართლებრივი რეგულაციების მიუხედავად, პრაქტიკაში ხშირია კანონის მოთხოვნების დარღვევა. 2014-2020 წლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავების 65-ზე მეტი საქმე შეისწავლა, მათ შორის განახორციელა რამდენიმე სამედიცინო დაწესებულების კომპლექსური შემოწმება. შესწავლილი საქმეები ცხადყოფს, რომ ფიქსირდება ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის უკანონო გამჟღავნების, გადაცემის, შენახვის, მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე ან არაპროპორციული მოცულობით დამუშავების შემთხვევები, მონაცემთა სუბიექტის ინფორმირებისა და ვიდუოდვალთვალის წესების დარღვევის ფაქტები. ასევე, ხშირ შემთხვევაში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების უსაფრთხოებისთვის არ არის მიღებული საკმარისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები. აღნიშნული დარღვევები თანაბრად დამახასიათებელია როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორისთვის, განსაკუთრებით სამედიცინო დაწესებულებებისთვის.

საქმეთა შესწავლის პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და საერთაშორისო სტანდარტების მხედველობაში მიღებით, 2018 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა გამოსცა სპეციალური

რეკომენდაცია ჯანდაცვის სფეროში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ. ასევე, 2020 წელს შემუშავდა სპეციალური ტრენინგ-მოდული ჯანდაცვის სფეროში პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ და მომზადდა ვიდეოლექცია.

განხილული საქმეები ცხადყოფს, რომ ამ მიმართულებით მუშაობა გასაგრძელებელია და გადასადგმელია ნაბიჯები საჯარო და კერძო დაწესებულებებში მონაცემთა დამუშავების პროცესის მიმართ ცნობიერების ამაღლების მიზნით. მნიშვნელოვანია თითოეული დაწესებულება და მონაცემთა დამუშავების პროცესში ჩართული პირი აცნობიერებდეს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის განსაკუთრებულ ხასიათს, მისი დაცვის მნიშვნელობას და იმ შედეგებს, რაც ამ ინფორმაციის არაუფლებამოსილი პირისთვის გამჟღავნებას ან სხვა ფორმით უკანონოდ დამუშავებას შეიძლება მოჰყვეს.

არსებული გამოწვევის საპასუხოდ, სახელმწიფო ინსპექტორის ლონდა თოლორაიას ინიციატივით მომზადდა კრებული, რომლის მიზანია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემების მაღალი სტანდარტის დამკვიდრების ხელშეწყობა, კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით მონაცემთა დამუშავებელი ორგანიზაციებისა და დაინტერესებული პირებისთვის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიდგომების გაცნობა და მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის მათთვის რეკომენდაციების შეთავაზება.

კრებული აერთიანებს სამსახურის მიერ 2014 წლიდან 2020 წლის აპრილის ჩათვლით შესწავლილ 30 რეალურ საქმეს. თითოეული საქმე შედგება რამდენიმე ნაწილისაგან - ფაქტობრივი გარემოებები, სამართლებრივი შეფასება, ინსპექტორის გადაწყვეტილება, რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის. ასევე, თითოეულ საქმეზე მითითებულია წყაროები, მათ შორის კანონმდებლობა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის შესაბამისი რეგულაციები, რომელთა გათვალისწინებაც ორგანიზაციებს დაეხმარება მონაცემთა მართვის პროცესის უკეთ დაგეგმვასა და ადმინისტრირებაში.

მოქალაქეთა და კერძო სამართლის იურიდიული პირების იდენტიფიცირების შესაძლებლობის გამორიცხვის მიზნით, საქმეებში მითითებული ინიციალები, გარკვეული ფაქტობრივი გარემოებები და თარიღები შეცვლილია, ხოლო მითითებული სამართლებრივი ნორმები მოცემულია საქმის განხილვის დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე კონტროლს 2013 წლიდან ახორციელებდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი, რომელიც 2019 წლის 10 მაისიდან გარდაიქმნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურად. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2019 წლის 10 მაისამდე განხილულ საქმეებში სამსახურის სახელწოდებად მითითებულია - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი (პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი), ხოლო 2019 წლის 10 მაისიდან განხილულ საქმეებში - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური (სახელმწიფო ინსპექტორი).



მთავარი პროკურატურის მიერ არასრულწლოვნის სამედიცინო დიაგნოზის გასაჭაროება



ფაქტობრივი გარემოებები

2014 წლის 19 აგვისტოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს საქართველოს პარლამენტის წევრმა აცნობა, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის (შემდგომში - პროკურატურა) ვებგვერდზე გამოქვეყნებული ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმის მასალა შეიცავდა არასრულწლოვნის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ მონაცემებს.

შემომების ფარგლებში დადგინდა, რომ მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, პროკურატურამ საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის ამსახველი განსაიდუმლოებული მტკიცებულებები ვებგვერდზე გამოაქვეყნა. სხვა დოკუმენტებთან ერთად ვებგვერდზე განთავსებულ მასალაში მოცემული იყო თანამდებობის პირის არასრულწლოვანი შვილისთვის საზღვარგარეთ, ერთ-ერთ კლინიკაში სამედიცინო პროცედურის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ასევე შეიცავდა ბავშვის დიაგნოზს.

სამართლებრივი შეფასება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია პირის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს, რომლის დასამუშავებლად აუცილებელია ამავე კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი სამართლებრივი საფუძვლის არსებობა.

ინსპექტორმა არ გაიზიარა პროკურატურის პოზიცია, რომ არასრულწლოვნის სამედიცინო პროცედურის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტისა და დიაგნოზის გასაჭაროება გამოძიების მიზნებს ემსახურებოდა. ინსპექტორის შეფასებით, დანაშაულის გამოძიების ფარგლებში მოპოვებული მონაცემების ვებგვერდზე გამჟღავნება სცილდებოდა მონაცემთა დამუშავების თავდაპირველ მიზანს - დანაშაულის გამოძიებას. შესაბამისად, არასრულწლოვნის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის გამჟღავნებისთვის პროკურატურას ეკისრებოდა მონაცემთა დამუშავების კანონით განსაზღვრული რომელიმე საფუძვლის არსებობის მტკიცების ტვირთი. ამასთან, პროკურატურამ დაადასტურა, რომ უშუალოდ არასრულწლოვნის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების გამჟღავნების მიზანი მას არ ჰქონია და შემომების დასრულებამდე თავადვე უზრუნველყო ვებგვერდიდან მონაცემების წაშლა.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მონაცემთა დამუშავების გამო საქართველოს მთავარი

პროკურატურა ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად ამავე კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და პასუხისმგებლობის სახით შეეფარდა ჯარიმა.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის


ინტერნეტ სივრცეში ინფორმაციის გავრცელების მასშტაბისა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო არასრულწლოვნის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების ყველასთვის ხელმისაწვდომი ფორმით გავრცელების დროს. მიუხედავად იმისა, რომ მონაცემთა დამმუშავებელი შეიძლება კანონიერად ფლობდეს მონაცემებს, მათი ფართო და საჯარო ხელმისაწვდომობისთვის აუცილებელია არსებობდეს კონკრეტული კანონიერი მიზანი და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრული შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი. ამასთან, მონაცემთა გასაჯაროება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად.

გასათვალისწინებელია, რომ სამართალდარღვევა შეიძლება დადგინდეს არა მხოლოდ განზრახ, არამედ გაუფრთხილებლობით მონაცემთა დამუშავების, მათ შორის გავრცელების, შემთხვევაშიც.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 და მე-6 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2018)7 რეკომენდაცია ციფრულ ეპოქაში ბავშვთა უფლებების დაცვისა და უზრუნველყოფის შესახებ - <https://rm.coe.int/guidelines-to-respect-protect-and-fulfil-the-rights-of-the-child-in-th/16808d881a>.
3. ევროპის საბჭოს 108-ე კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტის პრაქტიკული სახელმძღვანელო პოლიციის სექტორში პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე - <https://rm.coe.int/tpd-201-01-practical-guide-on-the-use-of-personal-data-in-the-police-/16807927d5>.
4. ევროკავშირის 2016 წლის დირექტივა საპოლიციო სექტორში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ - <https://personaldata.ge/ka/legislation>.



ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა



ფაქტობრივი გარემოებები

2015 წლის 18 თებერვალს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს მიმართა მოქალაქე გ.ჩ.-მ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (შემდგომში - ექსპერტიზის ბიურო) ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნაში მის შესახებ ასახული მონაცემების სისწორისა და მისი ინფორმირების წესის დარღვევის თაობაზე.

გ.ჩ. მიიჩნევდა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ე. თბილისის მთავარი სამმართველოს ერთ-ერთი განყოფილების დეტექტივის დადგენილების საფუძველზე, მის მიმართ ჩატარებული ფსიქიატრიული ექსპერტიზის 2012 წლის 4 მაისის დასკვნაში მოცემული ჩანაწერი - „გ.ჩ.-ს აქვს ფსიქიკური ნაკლი“ არ პასუხობდა ექსპერტიზის დამკვეთის მიერ დასმულ კითხვას და გაურკვეველი იყო ამ ჩანაწერის მიზანი და საფუძველი. განმცხადებელმა 2014 წელს 2-ჯერ მოითხოვა ექსპერტიზის ბიუროსგან განმარტებები და ინფორმაცია მისი მონაცემების დამუშავების შესახებ. ორივე მიმართვის პასუხად გ.ჩ.-ს ეცნობა, რომ ჩანაწერი ეფუძნებოდა მისი გამოკვლევის შედეგებს და საექსპერტო დასკვნის შესახებ განმარტება მიეცემოდა მხოლოდ სასამართლოს ან ექსპერტიზის დამნიშნავ საგამოძიებო ორგანოს.

განცხადების განხილვის ფარგლებში ჩატარებული შემოწმებისას დადგინდა, რომ სადავო ჩანაწერი წარმოადგენდა პასუხს საგამოძიებო ორგანოს ერთ-ერთ კითხვაზე „აქვს თუ არა გ.ჩ.-ს ფსიქიკური ნაკლი, რაც გამორიცხავს მის შერაცხადობას?“. ასევე დადგინდა, რომ ექსპერტიზის ბიუროს უფროსის 2010 წლის ბრძანების თანახმად, სამედიცინო დასკვნა ინახებოდა 20 წლის ვადით.

განცხადების განხილვისას, 2015 წლის 18 თებერვალს გ.ჩ.-მ დამატებით მიმართა ექსპერტიზის ბიუროს და მოითხოვა ინფორმაცია ექსპერტიზის დასკვნაში არსებული ჩანაწერის საფუძვლისა და მიზნის შესახებ. ექსპერტიზის ბიურომ განმცხადებელს 2015 წლის 4 მარტს გასცა პასუხი.

ექსპერტიზის ბიურომ პასუხის დაგვიანების მიზეზად დაასახელა ინფორმაციის მოძიებისა და დასამუშავებლად საჭირო ხანგრძლივი დრო.

სამართლებრივი შეფასება

შემოწმების პროცესში დადასტურდა, რომ ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა (რომელიც პასუხს სცემდა ექსპერტის წინაშე დასმულ კითხვებს, მათ შორის კითხვას ისეთი ფსიქიკური ნაკლის შესახებ, რაც გამორიცხავდა შერაცხადობას) წარმოადგენდა სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოსთვის წარსადგენ მტკიცებულებას.

ვინაიდან ექსპერტიზის დასკვნის გაცემის დროისთვის (2012 წლის 4 მაისი) „პერსონალურ

მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ვრცელდებოდა მონაცემთა სასამართლოში სამართალწარმოების მიზნებისთვის დამუშავებაზე და სადავო ჩანაწერი ეფუძნებოდა პაციენტის მიმართ დადგენილ დიაგნოზს, ინსპექტორმა ვერ იმსჯელა დასკვნაში მოცემული ჩანაწერის სისწორეზე.

რაც შეეხება 2015 წლის 18 თებერვლის მოთხოვნას, იქიდან გამომდინარე, რომ ექსპერტიზის ბიურომ გ.ჩ.-ს აღნიშნულ მოთხოვნას უპასუხა კანონით დადგენილი 10 დღიანი ვადის დარღვევით, ეს ფაქტი შეფასდა დარღვევად.

ამასთან, ინსპექტორმა იმსჯელა სამედიცინო დასკვნების შენახვის ვადაზე და მიიჩნია, რომ დასკვნების შენახვა ემსახურებოდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვისა და ფუნქციონირების მიზანს, თუმცა, მან მიზანშეწონილად ჩათვალა მონაცემთა შენახვის ვადების გადასინჯვა.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის დარღვევისთვის ექსპერტიზის ბიურო ცნობილი იქნა სამართალდამრღვევად ამავე კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და სახდელის სახით შეეფარდა ჯარიმა. მას ასევე დაევალა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა (მათ შორის, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემის) შენახვის ვადის პროპორციულობის შეფასება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პრინციპთან მიმართებით.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება

მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების ვადების დაცვა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის იმპერატიული მოთხოვნაა და ვადის შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობას კანონი არ ითვალისწინებს. მონაცემთა სუბიექტს მის შესახებ მოთხოვნილი შესაბამისი ინფორმაცია უნდა მიეწოდოს კანონით გათვალისწინებულ ვადაში.

ამასთან, აუცილებელია მონაცემთა დამუშავებელი დარწმუნდეს, რომ მოქალაქისთვის გაცემული პასუხი სრული და ამომწურავია.

მონაცემთა შენახვის ვადა

ორგანიზაცია ვალდებულია, მონაცემთა დამუშავების მიზნების გათვალისწინებით, წინასწარ შეაფასოს და განსაზღვროს თითოეული კატეგორიის მონაცემთა შენახვის ვადა ან იხელმძღვანელოს სპეციალური კანონმდებლობით. ხშირად მონაცემთა შენახვის ვადები განსაზღვრულია დარგობრივი კანონმდებლობით, მათ შორის შესაბამისი მინისტრის ბრძანებით ან მარეგულირებელი ორგანოს დადგენილებებით.


კონკრეტული მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების

გამომრიცხავი ფორმით (მაგალითად, დაშტრიხული მონაცემების, სტატისტიკური მონაცემების ან ისეთი სახეცვლილი მონაცემების სახით, რომ შეუძლებელი გახდეს მათი კონკრეტულ სუბიექტთან დაკავშირება).

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, მე-6 და 21-ე მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაცია ჯანდაცვის სფეროში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.
3. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2019)2 ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების დაცვის შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.



შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების ხელმისაწვდომობა



ფაქტობრივი გარემოებები

2015 წლის 7 მაისს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ერთ-ერთმა არაკომერციულმა ორგანიზაციამ (შემდგომში - ორგანიზაცია) აცნობა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში - შშმ) პირთა საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასების მიზნით, 2015 წლის 25 აპრილს ერთ-ერთი საჯარო სკოლისგან საჯარო ინფორმაციის სახით მოითხოვა მოცულობითი ინფორმაცია. ორგანიზაციამ სხვა დოკუმენტებთან ერთად სკოლისგან მიიღო სამი შშმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც შეიცავდა მოსწავლეთა მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს, მათ სამედიცინო დიაგნოზს, მშობელთა ვინაობასა და საკონტაქტო ინფორმაციას. ორგანიზაცია მიუთითებდა, რომ პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია მას არ მოუ-თხოვია და მაიდენტიფიცირებელი მონაცემების აღმოჩენისთანავე მოსთხოვა სკოლას საჯარო ინფორმაციის გაცემის შეწყვეტა. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 8 მაისს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა ორგანიზაციას მოსთხოვა მის ხელთ არსებული პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტების დაუყოვნებლივ წაშლა/განადგურება და 15 მაისს მიიღო ორგანიზაციის მიერ მონაცემთა განადგურების დამადასტურებელი ცნობა.

შემომხების მიმდინარეობისას სკოლაში ირიცხებოდა სამი შშმ მოსწავლე. სკოლაში კანონ-მდებლობის შესაბამისად ინახებოდა მათი მონაცემების შემცველი დოკუმენტები, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც, დამტკიცებული ფორმის თანახმად, შეიცავდა მოსწავლეების მაიდენტიფიცირებელ და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ მონაცემებს. სკოლის განმარტებით, ეს იყო მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების გაცემის პირველი შემთხვევა და სკოლამ მოსწავლეთა მშობლებისგან მიიღო წერილობითი თანხმობა მონაცემების გადაცემის თაობაზე. მოსწავლეთა ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას სკოლა ინახავდა შშმ მოსწავლის სტატუსის ვადით. მოსწავლის პირადი საქმე კი სკოლაში ინახება 75 წლის განმავლობაში „მოსწავლის პირადი საქმის ფორმისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის პირადი საქმის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქარ-თველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს №113/ნ ბრძანების №2 დანართით დამტკიცებული „მოსწავლის პირადი საქმის წარმოების წესის“ თანახმად და 75-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ საქართველოს ეროვნულ არქივს გადაეცემა შესაბამისად.

სამართლებრივი შეფასება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა ან

ამავე მუხლით გათვალისწინებული სხვა საფუძველი. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დასამუშავებლად, მათ შორის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შემთხვევაში კი, კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თანხმობა აუცილებლად უნდა იყოს წერილობითი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის თანახმად, მშობლები არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე გამოდიან მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში. მოცემულ შემთხვევაში, მშობლების, როგორც არასრულწლოვანთა კანონიერი წარმომადგენლების, თანხმობა წარმოადგენდა ინფორმირებულ, მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე თავისუფლად გამოხატულ ნებას, რომელიც დასტურდებოდა ხელმოწერით. ამდენად, სკოლის მიერ შშმ მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების, მათ შორის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის, გაცემა შეესაბამებოდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-6 მუხლებით დადგენილ საფუძველებს.

მიუხედავად აღნიშნულისა, ინსპექტორმა მიიჩნია, რომ სკოლამ საკმარისად არ გამოიკვლია მონაცემთა დამუშავების კანონიერი მიზნები. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მიზანს წარმოადგენდა გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობა და შშმ პირთა საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასების ღონისძიებების განსაზღვრა, რისთვისაც საკმარისი იქნებოდა შშმ მოსწავლეთა შესახებ იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით ინფორმაციის მიწოდებაც. შესაბამისად, ინსპექტორის შეფასებით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სკოლას ინფორმაცია უნდა გაეცა მხოლოდ კანონიერი მიზნის შესაბამისი მოცულობით, მოსწავლეთა იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, დეპერსონალიზებული სახით.

ინსპექტორმა ასევე იმსჯელა სკოლის მიერ შშმ მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შენახვის საკითხზე და მიიჩნია, რომ მონაცემთა შენახვა ემსახურებოდა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ინკლუზიური განათლებისა და მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნებს, რაც თანხვედრაშია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფუძველთან.

რაც შეეხება ინფორმაციის შენახვის ვადას, რამდენადაც „მოსწავლის პირადი საქმის ფორმისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის პირადი საქმის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს №113/5 ბრძანების №2 დანართით დამტკიცებული წესი ცალკე არ განსაზღვრავს მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი ინფორმაციის შენახვის ვადას, ხოლო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად, ინსპექტორმა მიიჩნია, რომ სკოლამ მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემები უნდა შეინახოს მხოლოდ სწავლის განმავლობაში. მონაცემთა დამუშავების მიზნის მიღწევის შემდეგ კი, ინდივიდუალურად უნდა

უზრუნველყოს შპმ მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის განადგურება ან მათი იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით შენახვა.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების პრინციპის დარღვევის გამო, სკოლა ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად ამავე კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და მიეცა გაფრთხილება. ამასთან, სკოლას დაევალა, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მონაცემთა დამუშავების უზრუნველყოფა მხოლოდ კანონიერი მიზნისა და სამართლებრივი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, იმ მოცულობით, რაც აუცილებელია შესაბამისი მიზნის მისაღწევად; ასევე, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების შენახვის ვადების განსაზღვრა, ვადის გასვლის შემდეგ კი მონაცემთა განადგურება ან იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით შენახვა.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

ჯანმრთელობის მდგომარეობის შემცველი ინფორმაციის, როგორც განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის მიმართ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს დაცვის მაღალ სტანდარტს და უთითებს, რომ ამგვარი მონაცემების დამუშავება აკრძალულია, გარდა ამავე კანონით პირდაპირ დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.

პირისთვის მორალური ზიანის მიყენების მაღალი რისკის გათვალისწინებით, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება, განსაკუთრებით კი მისი გამჟღავნება თუ სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომა, საჭიროებს როგორც კანონიერი საფუძვლის, ასევე კანონიერი მიზნის არსებობას.

არასრულწლოვანთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების გაცემის შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ინფორმაციის შემდგომი გამოყენების რისკების შეფასებას. არასრულწლოვანთა მონაცემები საჭიროებს უფრო მეტ დაცვას, ამ მიზნით კი მონაცემთა თითოეული დამუშავებელი ვალდებულია უპირველესად მოქმედებდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე. მშობლების თანხმობის მიუხედავად, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, საჯარო ინფორმაციის სახით მისი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ან სხვა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა მესამე პირისთვის გამჟღავნება დაუშვებელია და განიხილება არაპროპორციულ და მონაცემთა დამუშავების მიზნის შეუსაბამო მოქმედებად.

საჯარო ინფორმაციის სახით რეკომენდირებულია დეპერსონალიზებული (დაშტრიხული ან სტატისტიკური) ინფორმაციის გაცემა.

ამასთან, აუცილებელია კანონიერი მიზნის შესაბამისად განისაზღვროს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა შენახვის ვადები, რომელთა გასვლის შემდეგ მონაცემები უნდა განადგურდეს ან შენახულ იქნას იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით (მაგალითად, დაშტრიხული სახით).


საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-4, მე-5 და მე-6 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
3. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაციები მოსწავლეებისა და მშობლებისთვის - სკოლებში მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.
4. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაციები სკოლებისთვის - სკოლებში მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.
5. 29-ე სამუშაო ჯგუფის მოსაზრება 2/2009 ბავშვთა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ - <https://www.garantepriacy.it/documents/10160/10704/1619292.pdf/1ab4d295-c2b9-405f-a2df-1e0f7ec9cfd1?version=1.0>.
6. მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (EU) 2016/679 მე-6, მე-9 და 57-ე მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.



ნარკოლოგიური აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში მცდარი მონაცემების გასწორება



ფაქტობრივი გარემოებები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს 2015 წლის 16 ივნისს განცხადებით მიმართა მოქალაქე ე.ბ.-მ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - შსს) და სსიპ - ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (შემდგომში - ექსპერტიზის ბიურო) მონაცემთა ბაზებში მისი მონაცემების გასწორებისა და წაშლის მოთხოვნით.

ე.ბ. მიუთითებდა, რომ 2014 წლის 27 იანვარს ნარკოტესტზე შემოწმების შედეგად მას დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტი და შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, თუმცა 2014 წლის 22 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის დადგენილებით, საქმის წარმოება შეწყდა სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის გამო. მიუხედავად სასამართლო დადგენილებისა, 2015 წლის 18 ივნისს ექსპერტიზის ბიუროს მიერ გაცემული ცნობით დასტურდებოდა, რომ ე.ბ. კვლავ იმყოფებოდა ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე.

2015 წლის 5 ივნისს ე.ბ.-მ მიმართა შსს-ს მონაცემების გასწორების თხოვნით, რაზეც ეთქვა უარი არსებული მონაცემების სისწორეზე მითითებით და მიეცა რეკომენდაცია, ნარკოლოგიური აღრიცხვიდან მოხსნის მიზნით მიემართა ექსპერტიზის ბიუროსთვის. განმცხადებელს ექსპერტიზის ბიურომაც წერილობითი უარი განუცხადა ნარკოლოგიური აღრიცხვის მონაცემთა საინფორმაციო ბაზიდან მისი მონაცემების წაშლაზე იმ მოტივით, რომ ჩანაწერი შსს-ს მიერ იყო განხორციელებული და ექსპერტიზის ბიუროს არ გააჩნდა მონაცემთა ცვლილების ტექნიკური შესაძლებლობა.

განცხადების განხილვის ფარგლებში ექსპერტიზის ბიურომ დაადასტურა, რომ ე.ბ.-ს ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე აყვანა განხორციელდა შსს-ს მიერ. მონაცემთა ბაზაში (ველში - „სიტყვიერი აღწერა“) მითითებული იყო, რომ ე.ბ.-ს მიმართ დაწყებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე შეწყდა სამართალდარღვევის არარსებობის გამო, ვინაიდან არ დადასტურდა ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი.

ამასთან, განცხადების განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ შსს-ს ნარკოლოგიური მონაცემთა ბაზა და ექსპერტიზის ბიუროს ნარკოლოგიური აღრიცხვის მონაცემთა საინფორმაციო ბაზა 2010 წელს ამავე უწყებების ხელმძღვანელების ზეპირი ურთიერთშეთანხმებით განთავსდა ერთიან სერვერზე და ბაზებში არსებული მონაცემები ონლაინ რეჟიმში ხელმისაწვდომი გახდა ორივე მხარისთვის. თითოეულ უწყებას მხოლოდ საკუთარ მონაცემთა ბაზაში შეეძლო შესაბამისი ჩანაწერების გაკეთება. ექსპერტიზის ბიურომ დაადასტურა, რომ ფიზიკურ პირებზე ნარკოლოგიური აღრიცხვიანობის შესახებ ცნობის გაცემისას მონაცემებს ამოწმებდა შსს-ს მონაცემთა ბაზაში.

სამართლებრივი შეფასება

მიუხედავად იმისა, რომ შსს-ს ნარკოლოგიურ მონაცემთა ბაზაში თავდაპირველად ე.ბ.-ს მონაცემთა ასახვა განხორციელდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 270-ე მუხლისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 13 დეკემბრის №979 ბრძანებით დამტკიცებული შსს-ს საქსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს დებულების შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა შსს-ს მიერ ექსპერტიზის ბიუროსთვის მონაცემთა გადაცემის შესაძლებლობას. შესაბამისად, ინსპექტორმა მიიჩნია, რომ შსს-ს მხრიდან ადგილი ჰქონდა ე.ბ.-ს მონაცემების გამჟღავნებას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის დარღვევით.

ინსპექტორმა ასევე დაადგინა, რომ ექსპერტიზის ბიუროს ნარკოლოგიური აღრიცხვის მონაცემთა საინფორმაციო ბაზაში ე.ბ.-ს აღრიცხვა განხორციელდა მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, რადგან ე.ბ. არ განეკუთვნებოდა არც ნარკომანიით დაავადებულ პირთა და არც ნარკოტიკული საშუალებების არასამედიცინო მიზნით მომხმარებელთა კატეგორიას, რამდენადაც მოსამართლის დადგენილებით ე.ბ.-ს მიერ ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი არ დადასტურდა.

ინსპექტორმა ასევე არ გაიზიარა ექსპერტიზის ბიუროს პოზიცია, რომ ყველა საჯარო და კერძო დაწესებულება, რომელიც საქართველოში ახდენს ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული საშუალებების მომხმარებელთა გამოვლენას, ვალდებულია ასეთი პირის გამოვლენის შესახებ აცნობოს ექსპერტიზის ბიუროს, შემდეგი გარემოებების გამო:

- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №255 დადგენილებით დამტკიცებული დებულების თანახმად, ექსპერტიზის ბიუროს ნარკოლოგიური ექსპერტიზების ჩატარებას და შესაბამისი დასკვნის გაცემას ახდენს სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის, საქმეში მონაწილე მხარის ან უფლებამოსილი პირის, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირების, ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნის ან მათთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. განსახილველ საქმეში ადგილი არ ჰქონია არცერთ ზემოაღნიშნულ შემთხვევას და ექსპერტიზის ბიურომ ნარკოლოგიური აღრიცხვიანობის შესახებ ცნობა გასცა შსს-ს მონაცემთა ბაზაზე არაკანონიერი წვდომის შედეგად;
- „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლებამოსილ დაწესებულებას ანიჭებს საქართველოში ნარკომანიით დაავადებული პირებისა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა მომხმარებლების ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნის უფლებამოსილებას და განსაზღვრავს ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას ასეთი უფლებამოსილი დაწესებულებისთვის, და არა ექსპერტიზის ბიუროსთვის.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მონაცემთა დამუშავებისთვის შსს ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად ამავე კანონის 43-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და შეეფარდა ჯარიმა. შსს-ს ასევე დაევალა ე.ბ.-ს შესახებ მონაცემების ექსპერტიზის ბიუროსთვის მიწოდების შეწყვეტა.

ექსპერტიზის ბიურო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მონაცემების დამუშავებისთვის ასევე ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად ამავე კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და მასაც შეეფარდა ჯარიმა. ექსპერტიზის ბიუროს დაევალა ნარკოლოგიური აღრიცხვის მონაცემთა საინფორმაციო ბაზიდან ე.ბ.-ს 2014 წლის 27 იანვრის ლაბორატორიულ კვლევებთან დაკავშირებული მონაცემების წაშლა.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

ერთი საჯარო დაწესებულების მიერ მეორე საჯარო დაწესებულებისთვის მონაცემთა გადაცემისა და ამ მონაცემთა შემდგომი დამუშავებისთვის აუცილებელია არსებობდეს მონაცემთა როგორც გადაცემის, ასევე ამ მონაცემთა მიღებისა და შემდგომი დამუშავების „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 ან მე-6 მუხლებით განსაზღვრული სამართლებრივი საფუძველი და შესაბამისი ნორმატიული აქტი, რომელიც განსაზღვრავს საჯარო დაწესებულებების კომპეტენციებსა და მათ მიერ მონაცემთა კონკრეტული ფორმით დამუშავების შესაძლებლობას. ორი უწყების ხელმძღვანელთა ზეპირი შეთანხმება ვერ იქნება მიჩნეული მონაცემთა დამუშავების კანონიერ საფუძვლად.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-6 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაცია ჯანდაცვის სფეროში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.
3. ევროპის საბჭოს 108-ე კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტის პრაქტიკული სახელმძღვანელო პოლიციის სექტორში პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე - <https://rm.coe.int/t-pd-201-01-practical-guide-on-the-use-of-personal-data-in-the-police-/16807927d5>.

მსჯავრდებულების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის კარლამენტის წევრისთვის გამჟღავნება



ფაქტობრივი გარემოებები

2015 წლის 1-ელ ოქტომბერს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ერთობლივი განცხადებით მიმართეს მსჯავრდებულებმა - მ.გ.-მ და ჯ.დ.-მ მათი თანხმობის გარეშე მათი ჯანმრთელობის შესახებ მონაცემების საქართველოს პარლამენტის წევრისა და ქ. თბილისის პროკურატურის გამომძიებლისთვის გამჟღავნებაზე რეაგირების თხოვნით.

განცხადებას ერთოდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მიერ 2012 წელს ქ. თბილისის პროკურატურის გამომძიებლისთვის გაგზავნილი რამდენიმე წერილი და თანდართული სამედიცინო ცნობები, ასევე, 2013 წლის 22 ივლისს საქართველოს პარლამენტის წევრისთვის გაგზავნილი წერილი, რომელშიც დეტალურად იყო აღწერილი მსჯავრდებულთა დიაგნოზი, მათი სამედიცინო დანიშნულებები და ჩატარებული მკურნალობა.

განმცხადებლები განმარტავდნენ, რომ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით თანხმობის ცნობაზე ხელი არ მოუწერიათ, რის მტკიცებულებადაც წარმოადგინეს განმცხადებლების მიმართვის საფუძველზე სამინისტროს მიერ მომზადებული წერილი, რომლითაც სამინისტრო ადასტურებდა, რომ მსჯავრდებულების პირად საქმეში წერილობითი თანხმობები არ მოიპოვებოდა და 2013 წლის 22 ივლისს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაცემაზე თანხმობის ცნობას მ.გ.-მ და ჯ.დ.-მ ხელი არ მოაწერეს.

განცხადების განხილვის ფარგლებში სამინისტრომ განმარტა, რომ გამომძიებლისთვის გაგზავნილი წერილი ემსახურებოდა გამოძიების ინტერესს და წარმოადგენდა ქ. თბილისის პროკურატურის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციაზე პასუხს. სამინისტრომ ასევე მიუთითა, რომ მსჯავრდებულებმა 2013 წლის 4 ივლისს ერთობლივი საჩივრით მიმართეს საქართველოს პარლამენტის წევრს არასათანადო მოპყრობისა და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების გაწევის შესახებ. სამინისტროს წერილი წარმოადგენდა პასუხს პარლამენტის წევრის მიმართვაზე და სამინისტროს აზრით, დეპუტატისთვის ინფორმაციის მიწოდება განხორციელდა საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 221-ე მუხლის და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რადგან პარლამენტის წევრისთვის საჩივრით მიმართვით განმცხადებლებმა გამოხატეს თანხმობა მათი მონაცემების დამუშავებაზე. სამინისტრომ ასევე მიუთითა მ.გ.-სთან გაზეთ „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუზე, სადაც მსჯავრდებული საუბრობდა ჯ.დ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისა და მისი სამედიცინო მეთვალყურეობის გარეშე დატოვების ფაქტებზე.

სამართლებრივი შეფასება

ვინაიდან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება დანაშაულის თავიდან აცილების და გამოძიების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნებისთვის სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ მონაცემთა დამუშავებაზე გავრცელდა 2014 წლის 1-ლი სექტემბრიდან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი მოკლებული იყო შესაძლებლობას ემსჯელა სამინისტროს მიერ 2012 წელს ქ. თბილისის პროკურატურის გამომძიებლისთვის ინფორმაციის გამჟღავნების კანონიერების თაობაზე.

რაც შეეხება 2013 წლის 22 ივლისის წერილით საქართველოს პარლამენტის წევრისთვის განმცხადებლების ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას, ინსპექტორმა მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სამინისტრო ვალდებული იყო განმცხადებლების განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები დაემუშავებინა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. აღნიშნული კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის 2013 წლის 22 ივლისის მოქმედი რედაქციით, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება დასაშვებია იყო მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობით ან იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა სუბიექტი თავად გახდოდა მის შესახებ მონაცემებს საჯაროს მათი გამოყენების აშკარა აკრძალვის გარეშე.

ინსპექტორმა არ გაიზიარა სამინისტროს არგუმენტი, რომ პარლამენტის წევრისთვის საჩივრით მიმართვა წარმოადგენდა თანხმობას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის დამუშავებაზე. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წერილობითი თანხმობა განმარტებულია როგორც მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე გამოხატული ნებაყოფლობითი თანხმობა, რომელსაც მონაცემთა სუბიექტმა ხელი მოაწერა ან სხვაგვარად აღნიშნა წერილობით ან მასთან გათანაბრებული ფორმით. მსჯავრდებულებმა ცალსახად უარი განაცხადეს 2013 წლის 22 ივლისის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაცემაზე თანხმობის ცნობის ხელმოწერაზე, რასაც სამინისტროც ადასტურებდა. ამასთან, არც პარლამენტის წევრისთვის წარდგენილი საჩივრიდან და არც სხვა მტკიცებულებებით არ დგინდებოდა მსჯავრდებულთა თანხმობის გამოხატვის ფაქტი.

სამინისტროს არგუმენტი, რომ თავად განმცხადებლებმა გახადეს საჯარო მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია ბეჭდური მედიის საშუალებით, ინსპექტორმა საფუძველს მოკლებულად მიიჩნია, რადგან საგაზეთო ინტერვიუში მსჯავრდებული მ.გ. მხოლოდ იმას აცხადებდა, რომ ჯ.დ.-ს ჰქონდა დიაბეტი და დატოვებული იყო სამედიცინო მეთვალყურეობის გარეშე. სამინისტრომ კი პარლამენტის წევრს გაუმჟღავნა ორივე მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია, მათ შორის ისეთიც, რომლის შესახებაც ინტერვიუში საუბარი არ ყოფილა.

სამინისტრო ასევე მიუთითებდა, რომ განმცხადებლების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია პარლამენტის წევრს მიაწოდეს საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, რომლის თანახმადაც, პარლამენტის წევრი უფლებამოსილია კითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობას და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებს და მიიღოს მათგან პასუხი. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტის წევრს სამინისტროსთვის არ მიუმართავს განმცხადებლების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით. პარლამენტის წევრმა სამინისტროს სთხოვა საჩივარში მითითებულ საკითხებზე რეაგირება და აღნიშნულთან დაკავშირებით წერილობითი

პასუხის გაცემა, სამინისტრომ კი საპასუხო წერილში დეტალურად აღწერა განმცხადებლების ჯანმრთელობის მდგომარეობა (დიაგნოზი, დანიშნული მკურნალობა და სხვა), რის მიწოდებასაც საქართველოს პარლამენტის წევრი არ ითხოვდა.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

მ.გ.-ს და ჯ.დ.-ს ერთობლივი განცხადების განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ სამინისტრომ განმცხადებლების შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები გაამჟღავნა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე, რაც წარმოადგენდა ამავე კანონის 45-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას, თუმცა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების ორთვიანი ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინებით, სამინისტროს არ დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა გამჟღავნება ხორციელდება თანხმობის საფუძველზე, აუცილებელია ეს თანხმობა იყოს ინფორმირებული, კონკრეტული მიზნით (მაგალითად, კონკრეტული პირისთვის ან ორგანიზაციისთვის კონკრეტული მონაცემების გადაცემა), თავისუფლად და წერილობითი ფორმით გამოხატული. თანხმობის მტკიცების ტვირთი ეკისრება მონაცემთა დამმუშავებელს. შესაბამისად, სასურველია მან მოახდინოს თანხმობის არსებობის ფაქტის დოკუმენტირება და გარკვეული ვადით შენახვა.

თანხმობის არსებობა არ ნიშნავს, რომ ორგანიზაციას შეუძლია ნებისმიერი ფორმით დაამუშაოს მონაცემი. მონაცემთა დამუშავების საფუძვლის არსებობასთან ერთად, აუცილებლად უნდა იქნეს დაცული მონაცემთა დამუშავების პრინციპებიც. მონაცემთა დამუშავება უნდა შეესაბამებოდეს კანონიერების, სამართლიანობის პრინციპებს, არ უნდა ლახავდეს მონაცემთა სუბიექტის ღირსებას. გამჟღავნებული მონაცემების შინაარსი და მოცულობა უნდა შეესაბამებოდეს კანონიერ მიზანს, დაუშვებელია არარელევანტური ან საჭიროზე მეტი მონაცემების გამჟღავნება.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 და მე-6 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაცია ჯანდაცვის სფეროში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.



პერძო დაცვის კომპანიის თანამშრომლის მონაცემთა გადაცემა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტისთვის



ფაქტობრივი გარემოებები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს 2015 წლის 16 დეკემბერს განცხადებით მიმართა მოქალაქე გ.ე.-მ, რომელიც 2014-2015 წლებში ერთ-ერთ პერძო დაცვის სამსახურში მუშაობდა. ვინაიდან გ.ე.-ს დამსაქმებელი სამსახური გეგმავდა საქმიანობის შეწყვეტას, გ.ე.-ს შესთავაზეს სხვა მსგავსი პროფილის კომპანიაში (შემდგომში - კომპანია) მცველის თანამდებობაზე დასაქმების მიზნით შესაბამისი დოკუმენტების შეგროვება და წარდგენა. გასაუბრების დროს კომპანიის მიერ შეთავაზებული პირობები გ.ე.-სთვის მისაღები არ აღმოჩნდა, მან უარი განაცხადა დასაქმებაზე და მოითხოვა მისი დოკუმენტების, მათ შორის ჯანმრთელობის მდგომარეობის, ნასამართლობის და ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობების დაბრუნება, რაზეც უარი მიიღო.

კომპანიამ მიუთითა, რომ განმცხადებლის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში აუცილებლად დაუბრუნებდა დოკუმენტებს, თუმცა, „პერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მაინც შეინახავდა გ.ე.-ს დოკუმენტების ასლებს 6 წლის ვადით, ისევე როგორც ინახავს წინასახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მცველის მოწმობების მიღების მიზნით მაკონტროლებელი ორგანოსთვის - სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტისთვის (შემდგომში - მაკონტროლებელი ორგანო) გადაცემული სხვა პირების დოკუმენტებს. კომპანიამ დაადასტურა, რომ გ.ე.-ს მცველად გამწესების თაობაზე თანხმობა და მცველის მოწმობა მაკონტროლებელი ორგანოსგან მიიღო 2015 წლის 20 ნოემბერს.

კომპანიის განმარტებით, მაკონტროლებელი ორგანოსთვის მცველის მონაცემების გაგზავნის თაობაზე კანდიდატისგან ცალკე თანხმობის მიღება არ ხდებოდა, რადგან მაკონტროლებელი ორგანოს მიერ დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე მცველის მოწმობის გაცემა მცველის პოზიციაზე გამწესების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა.

განცხადების განხილვის პროცესში კომპანიამ გ.ე.-ს გადასცა მის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები.

სამართლებრივი შეფასება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია თუ ეს გათვალისწინებულია კანონით, ხოლო ამავე კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა ნასამართლობასთან და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება აუცილებელია შრომითი ვალდებულებების და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის, დასაქმე-

ბის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად. ამავე მუხლის მე-3 პუნქტით, დაუშვებელია მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე მონაცემთა გასაჯაროება და მესამე პირისათვის გამჟღავნება.

განმცხადებელი ადასტურებდა, რომ იგი თანახმა იყო კომპანიას განეხილა მისი კანდიდატურა და წარდგენილი დოკუმენტაცია. კომპანიას კი ეკისრებოდა „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით, მათ შორის მე-20 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების ვალდებულება, კერძოდ, შეემონებინა ხომ არ იყო მცველის პოზიციაზე წარდგენილი პირი განზრახ დანაშაულისათვის ნასამართლევ, ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, ტოქსიკომანიით, ფსიქიკური ან/და სხვა ქრონიკული სნეულებით დაავადებული პირი.

ინსპექტორმა მიიჩნია, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი წესითა და შრომითი ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, კომპანია უფლებამოსილი იყო გ.ე.-ს კანდიდატურის მცველის პოზიციაზე განხილვისთვის შეეგროვებინა და განეხილა, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა შემცველი ცნობები. თუმცა, ინსპექტორმა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევად მიიჩნია განმცხადებლის თანხმობის გარეშე მისი ჯანმრთელობასა და ნასამართლობასთან დაკავშირებული დოკუმენტების გადაცემა მაკონტროლებელი ორგანოსთვის.

რაც შეეხება გ.ე.-სთვის დოკუმენტების დაბრუნებას, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, პირს უფლება აქვს გაეცნოს მის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები. რამდენადაც კანონი მხოლოდ საჯარო დაწესებულებებს აკისრებს ასლების გაცემის ვალდებულებას, არ გამოიკვეთა კერძო კომპანიის მხრიდან აღნიშნული წესის დარღვევის ფაქტი. ამასთან, კომპანიამ განცხადების განხილვის პროცესში სრულად გადასცა განმცხადებელს მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

ინსპექტორმა ასევე იმსჯელა „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლზე, რომელიც დაცვით ორგანიზაციას ავალდებულებს არანაკლებ 6 წლის ვადით შეინახოს: დაცვით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტები, რომელთა შენახვის ვადა აითვლება მათი მოქმედების ვადის გასვლის დღიდან და ასევე, დამკვეთთან და მცველთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელთა შენახვის ვადა აითვლება აღნიშნული ხელშეკრულებების ვადის გასვლის ან შეწყვეტის დღიდან.

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა მიმართ კანონმდებლობით განსაზღვრული მაღალი სტანდარტისა და იმის გათვალისწინებით, რომ გ.ე.-სთან არ დადებულა შრომითი ხელშეკრულება, ინსპექტორმა საკმარისად დასაბუთებულად არ მიიჩნია კომპანიის პოზიცია გ.ე.-ს ჯანმრთელობასა და ნასამართლობასთან დაკავშირებული ცნობების 6 წლის ვადით შენახვასთან დაკავშირებით, რამდენადაც დასაქმების კანდიდატთა დოკუმენტაციის შენახვის კანონისმიერი ვალდებულება კომპანიას არ ჰქონდა და დოკუმენტაციის ხანგრძლივი ვადით შენახვის საჭიროება კომპანიამ ვერ დაასაბუთა.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

განცხადების განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ კომპანიამ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევით გაამჟღავნა მონაცემები, თუმცა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებული ორთვიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, კომპანიას ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ დაეკისრა. კომპანიას დაევალა: დასაქმების კანდიდატთა შესახებ პერსონალური მონაცემების სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტისთვის გადაცემა მხოლოდ კანდიდატთა წინასწარი თანხმობით; დასაქმების კანდიდატთა შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების შენახვის გონივრული ვადის განსაზღვრა, შემდეგ კი მათი დაბლოკვა, ნაშლა, განადგურება ან პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით შენახვა.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა მესამე პირისთვის გადაცემა

მიუხედავად იმისა, რომ მონაცემთა დამმუშავებელი ორგანიზაცია შესაძლოა კანონით განსაზღვრული სამართლებრივი საფუძვლებით ამუშავებდეს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, მონაცემთა გასაჯაროებამდე ან მესამე პირისათვის გამჟღავნებამდე აუცილებელია დამატებით მოხდეს მონაცემთა სუბიექტის თანხმობის მოპოვება. ამ შემთხვევაში, მართალია კანონი არ ითხოვს თანხმობის წერილობით ფორმას, თუმცა, რამდენადაც თანხმობის მტკიცების ტვირთი მონაცემთა დამმუშავებელს ეკისრება, მიზანშეწონილია თანხმობის დოკუმენტირება და შესაბამისი მტკიცებულების (მაგალითად, ელექტრონული წერილის ან მოკლე ტექსტური შეტყობინების) გარკვეული ვადით შენახვა.


მონაცემთა შენახვის ვადა

ორგანიზაცია ვალდებულია, მონაცემთა დამმუშავების მიზნების გათვალისწინებით, წინასწარ განსაზღვროს თითოეული კატეგორიის მონაცემთა შენახვის გონივრული ვადა, მით უმეტეს როცა საქმე ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას ან სხვა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს ეხება. თუ მონაცემთა შენახვა კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობიდან გამომდინარე ხორციელდება, ორგანიზაციამ დეტალურად უნდა შეისწავლოს, რა სახის მონაცემთა შენახვის ვალდებულებას აკისრებს მას კანონმდებლობა და აუცილებელია თუ არა ყველა სახის მონაცემის შენახვა ამ ვალდებულების შესასრულებლად.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, მე-5, მე-6 და 21-ე მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაციები შრომით ურთიერთობებში პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.



აივ ინფიცირებულის ანონიმურობის დაცვა



ფაქტობრივი გარემოებები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს 2016 წლის იანვარში მიმართა ბ.ს.-მ ერთ-ერთი სამედიცინო დაწესებულების (შემდგომში - დაწესებულება) მიერ მისი აივ ინფიცირების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დარღვევაზე რეაგირების თხოვნით.

განმცხადებლის მითითებით, რამდენიმე დღის წინ გამოკვლევებისთვის იმყოფებოდა დაწესებულებაში, სადაც ერთ-ერთმა ექიმმა, მას შემდეგ რაც შეიტყო ბ.ს.-ს აივ ინფიცირების შესახებ, აიძულა გაემხილა ვინაობა, მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო მომსახურების სპეციფიკიდან გამომდინარე, ნამდვილი სახელისა და გვარის გამჟღავნება საჭიროებას არ წარმოადგენდა. განმცხადებელი ასევე აღნიშნავდა, რომ ექიმმა სამედიცინო დაწესებულების დერეფანში მყოფ ექთანს, სხვა პაციენტების თანდასწრებით ანიშნა და ლაბორატორიაში წარსადგენ ფურცელზეც საჭიროების გარეშე მიუთითა განმცხადებლის სამედიცინო დიაგნოზი. ბ.ს.-მ ასევე მიუთითა, რომ საჩივრით უკვე მიმართული ჰქონდა დაწესებულებისთვის.

განცხადების განხილვის ფარგლებში ინსპექტორმა დაწესებულებისგან გამოითხოვა ბ.ს.-ს დოკუმენტაცია, შიდა სივრცეში მიმდინარე ვიდეოთვალთვალის ჩანაწერები და განმარტებები. დაწესებულებამ მიუთითა, რომ მსგავსი შინაარსის საჩივრით ანონიმურმა ავტორმა მართლაც მიმართა დაწესებულებას, თუმცა ექიმისა და სხვა პირების ახსნა-განმარტებებითა და ვიდეო-სათვალთვალო სისტემის ჩანაწერით საჩივარში მითითებული ფაქტები არ დადასტურდა. დაწესებულებამ ასევე განმარტა, რომ „ჯანმრთელობის კაბინეტის“ პაციენტების ანკეტის შევსება ხორციელდება პირადობის მოწმობის მოთხოვნის გარეშე, შესაბამისად, პაციენტს შეუძლია ექიმს უთხრას მისთვის სასურველი სახელი, გვარი ან/და ინიციალი, რომელსაც ექიმი ანონიმურობის დაცვით იყენებს პაციენტისთვის საიდენტიფიკაციო კოდის მისანიჭებლად და ლაბორატორიის-თვის მიმართვის ფურცელში მისათითებლად.

ექიმმა ახსნა-განმარტებით დაადასტურა, რომ ანონიმურ პაციენტს (ინიციალებით - „ბ.ს.“) ანკეტის შევსებისას განმეორებით ჰკითხა გვარი, ვინაიდან ვერ გაიგო გვარის ინიციალი. მას პირადობის დამადასტურებელი რაიმე საბუთი არ მოუთხოვია და პაციენტის ისტორიაში დააფიქსირა მხოლოდ ინიციალები. განყოფილების ხელმძღვანელის ახსნა-განმარტებით, საჩივრის ავტორს მან გააცნო პაციენტის ანკეტა, სადაც მისი ინიციალები იყო მითითებული და განუმარტა, რომ ლაბორატორიისთვის მიმართვის ფურცელში კონკრეტული დაავადების სახელის მითითება მოხდა იმიტომ, რომ გამოკვლევა მოიცავდა აივ ინფექცია/შიდსზე ტესტირებას. ექთანს მიუთითებდა, რომ ანონიმური პაციენტის მომსახურება განახორციელა დადგენილი სანიტარული ნორმების დაცვით და იმავე ფორმით, როგორც ყველა პაციენტის მიმართ. დაწესებულებამ ინსპექტორის აპარატს შიდა სივრცეში მიმდინარე ვიდეოჩანაწერი ვერ წარუდგინა და მოტივად მიუთითა გარკვეული პერიოდის შემდეგ ჩანაწერების ავტომატურად წაშლა.

სამართლებრივი შეფასება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის დამუშავება დასაშვებია, თუ მონაცემები მუშავდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის ან დაწესებულების (მუშაკის) მიერ ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში კი, როდესაც სახეზეა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი, მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე დაუშვებელია მონაცემთა მესამე პირისათვის გამჟღავნება. „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის თანახმად, ქმედუნარიან პაციენტს უფლება აქვს გადაწყვიტოს, მიიღოს თუ არა ვინმემ ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. „აივ ინფექცია/შიდსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად კი, ნებისმიერ პირს უფლება აქვს, გაიაროს ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება აივ ინფექცია/შიდსზე, მათ შორის, ანონიმურად და კონფიდენციალურად.

აღნიშნული სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე, დაწესებულება ვალდებული იყო დაეცვა პაციენტის მონაცემების კონფიდენციალურობა და მათი დამუშავება მოეხდინა ანონიმურობის დაცვით. განსახილველ შემთხვევაში, მათ შორის ვიდეოჩანანერის გამოკვლევის შესაძლებლობის არქონის გამო, ვერ დადგინდა განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემების დამუშავების წესების დარღვევის და მესამე პირისთვის გამჟღავნების ფაქტი. ამასთან, შესწავლილ დოკუმენტაციაში მოცემულია განმცხადებლის მხოლოდ ინიციალები.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ მონაცემთა შეგროვება ხორციელდება უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისგან, მონაცემთა დამუშავებელი ან უფლებამოსილი პირი ვალდებულია მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს ინფორმაცია სავალდებულოა თუ ნებაყოფლობითი მონაცემთა მიწოდება; თუ სავალდებულოა – მასზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგები. ინსპექტორმა განმარტა, რომ მონაცემთა სუბიექტისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების რეალიზებისათვის აუცილებელია პაციენტებს ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ გარკვეული სამედიცინო პროცედურების ჩატარებისას მათ აქვთ უფლება სამედიცინო მომსახურება მიიღონ ანონიმურობის სრული დაცვით, მათი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების (სახელი, გვარი, პირადი ნომერი და ა.შ.) სამედიცინო დაწესებულების პერსონალისთვის გამჟღავნების გარეშე. განცხადების განხილვის ფარგლებში კი გამოიკვეთა, რომ დაწესებულებას/ექიმს პაციენტისთვის არ განუმარტავთ, რომ ვინაობის გამხელის ვალდებულება მას არ გააჩნდა.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

დაწესებულებას დაევალა შესაბამისი პაციენტების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების ანონიმურად, ვინაობის გამხელის გარეშე, მიღების შესაძლებლობის შესახებ.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის


გარკვეულ შემთხვევებში მოქმედი კანონმდებლობა, საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე, ითვალისწინებს სამედიცინო მომსახურების, ტესტირებისა და კონსულტირების ანონიმურად და კონფიდენციალურობის სრული დაცვით მიღების შესაძლებლობას. აუცილებელია პაციენტის

წინასწარი და სათანადო ინფორმირება ამ უფლების შესახებ და მათი არჩევანის შესაბამისად მონაცემების დეპერსონალიზებული ფორმით (ინიციალების, უნიკალური კოდის ან სხვა მეთოდის გამოყენებით) დამუშავება, ისე რომ დიდი ძალისხმევის, ხარჯებისა და დროის გარეშე შეუძლებელი იყოს მონაცემთა კონკრეტულ პირთან დაკავშირება.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-15 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაცია ჯანდაცვის სფეროში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.
3. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2019 წლის CM/Rec(2019)2 რეკომენდაცია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების დაცვის შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.



საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძღოლების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობების შენახვა



ფაქტობრივი გარემოებები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ინიციატივით 2016 წელს ჩატარდა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (შემდგომში - კომპანია) კომპლექსური შემოწმება. შემოწმება, მგზავრთა მონაცემების დამუშავების, მონაცემთა უსაფრთხოების ზომებისა და ვიდეოთვალთვალის კანონიერების შესწავლასთან ერთად, მოიცავდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის (ავტობუსის) მძღოლთა და კომპანიის სხვა თანამშრომელთა, მათ შორის, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემთა დამუშავებასაც.

შემოწმების მიმდინარეობისას, კომპანიაში დასაქმებული იყო 5820 თანამშრომელი და 80 სარეზერვო თანამშრომელი. გამოცხადებულ ვაკანსიებზე დასაქმების მსურველთა რეზიუმეების წარდგენა ხორციელდებოდა კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან მატერიალური სახით. გასაუბრების ეტაპის გავლის შემდგომ, კანდიდატები კომპანიას სხვა დოკუმენტებთან ერთად წარუდგენდნენ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობას - ფორმა №IV-100/ა და ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე არყოფნის დამადასტურებელ ცნობას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ნარკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას. აღნიშნული დოკუმენტები სისტემაში ატვირთვის შემდეგ ინახებოდა ელექტრონული სახით განუსაზღვრელი ვადით.

კომპანიაში დასაქმებული იმ თანამშრომლების ჯანმრთელობის მდგომარეობის გადამოწმება, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია მგზავრთა მოძრაობის უსაფრთხოებასთან, ხდებოდა ყოველწლიურად, მაქსიმუმ ორჯერ. ავტობუსის მძღოლებისთვის წელიწადში ერთხელ სავალდებულო იყო ახალი ფორმა №IV-100/ა-ს წარდგენა. მართალია, აღნიშნული დოკუმენტის შენახვის ვადად კომპანიის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული იყო „საჭიროების გასვლამდე“, თუმცა, ზემოხსენებული ცნობები კომპანიაში ინახებოდა უვადოდ. ამასთან, კომპანიის შინაგანაწესის მიხედვით, სამსახურის გაცდენის საპატიოდ ჩასათვლელად თანამშრომელს უნდა წარედგინა საავადმყოფო ფურცელი ან ფორმა №IV-100/ა.

სამართლებრივი შეფასება

ქალაქ თბილისის მთავრობის 2009 წლის 24 ივნისის №16-26-565 დადგენილებით დამტკიცებული წესდებით, კომპანიას ეკისრებოდა მგზავრების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხო პირობებისა და მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. შესაბამისად, შრომითი ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე ინსპექტორმა მიიჩნია, რომ კომპანიას ჰქონდა კანონიერი ინტერესი, დარწმუნებულიყო, რომ მძღოლები რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებდნენ მგზავრთა გადაყვანაში, არ შეუქმნიდნენ საფრთხეს მგზავრთა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. შესაბამისად,

ამ ნაწილში ავტობუსის მძღოლების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის დამუშავება, მათი შეგროვების გზით, შესაბამისობაში იყო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან.

თუმცა ინსპექტორმა მიიჩნია, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძღოლების ჯანმრთელობის შესახებ განახლებული ინფორმაციის (ახალი ფორმა №IV-100/ა) მიღების შემდგომ ყოველწლიურად წარდგენილი ძველი ცნობების უვადოდ შენახვის საჭიროება არ იკვეთებოდა. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ამასთან, ინსპექტორის შეფასებით, ყოფილი თანამშრომლის შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის განუსაზღვრელი ვადით შენახვა ასევე არ იყო კანონით დადგენილ წესთან, კერძოდ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტთან სრულ შესაბამისობაში და კომპანიას უნდა განესაზღვრა ყოფილი თანამშრომლის შესახებ ის დოკუმენტაცია, რომლის შენახვაც აუცილებელი იქნებოდა კანონიერი მიზნებით.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ როგორც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პრინციპის დარღვევით მონაცემთა დამუშავების, ასევე კომპლექსური შემოწმების დროს გამოვლენილი სხვა დარღვევებისთვის, ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე და 43-ე, 46-ე, 48-ე, 53-ე მუხლების პირველი პუნქტებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენაში და შეეფარდა ჯარიმა. კომპანიას, მათ შორის, დაევალა განესაზღვრა თანამშრომლების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შენახვის ვადა და წაეშალა მოძველებული ინფორმაცია.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

საერთაშორისოდ აღიარებული მონაცემთა მინიმუმაციის პრინციპიდან და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების სენსიტიურობიდან გამომდინარე, ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ ნამდვილი და საჭიროების შესაბამისად, განახლებული მონაცემების დამუშავება; დროულად წაშალონ და გაანადგურონ მოძველებული მონაცემები, თუ მათი შენახვა აღარ ემსახურება მონაცემთა დამუშავების მიზანს. ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ განსაზღვრული მოძველებული მონაცემების არქივირების (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) ან მათი წაშლა-განადგურების წესი, პერიოდულობა და აღნიშნულზე პასუხისმგებელი პირი ან სტრუქტურული ერთეული.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 და მე-6 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაციები შრომით ურთიერთობებში პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.
3. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2015 წლის CM/Rec(2015)5 რეკომენდაცია შრომით კონტექსტში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ - https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805c3f7a.

სტომატოლოგიური კლინიკის მიერ სოციალური ქსელით პაციენტის მონაცემების გავრცელება



ფაქტობრივი გარემოებები

2016 წლის 16 მაისს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს განცხადებით მიმართა გ.ს.-მ, სოციალური ქსელის „Facebook“ გვერდზე, სტომატოლოგიური კლინიკის სახელით, მომხმარებელი თ.ტ.-ს მიერ მისი სამედიცინო ჩივილებისა და განუვლი მომსახურების დეტალების ტექსტის სახით გასაჯაროების გამო.

განცხადების განხილვის პროცესში კლინიკამ უარყო ტექსტის განმცხადებლის „Facebook“ გვერდზე განთავსების ფაქტი, რაიმე კავშირი მომხმარებელ თ.ტ.-სთან, თუმცა დაადასტურა განთავსებულ ტექსტში აღნიშნული ინფორმაციის სისწორე და გამოთქვა ვარაუდი, რომ ინფორმაცია შესაძლოა მოესმინა და გაეზრცელებინა კლინიკაში მყოფ სხვა პაციენტს/პირს, ან თავად გ.ს.-ს ან/და მისი დავალებით სხვა პირს კლინიკის დისკრედიტაციის მიზნით, რადგან კლინიკასთან პრეტენზიები მანამდე სოციალურ ქსელში თავად გ.ს.-ს ჰქონდა გამოთქმული.

ინსპექტორის აპარატმა შეისწავლა სოციალური ქსელის საკუთარ გვერდზე 2016 წლის 8 მაისს გ.ს.-ს მიერ განთავსებული ტექსტი, რომელშიც მოცემული იყო მომსახურების დაგვიანებით მიღებასა და ანესთეზიის ჩატარების საჭიროებასთან დაკავშირებული პრეტენზიები და გადახდილი მომსახურების საფასური. ამავე გვერდზე მომხმარებელი თ.ტ. კლინიკის სახელით ეხმაურებოდა პრეტენზიებს, შემდეგი ტექსტით: „გაგიკვირდებათ და იმანაც გაოცება გამოიწვია მე-2 ვიზიტზე, რატომ განერიხებდით ხელს თანხმობაზე მანიპულაციის ჩასატარებლად, (1 საათი ლოდინი კი ტყუილია თქვენი ვიზიტი რომელიც 19:00 საათზე იყო დაგეგმილი ანგარიშსწორება კი 19:50 ზე მოხდა ტერმინალით) [...] ექიმი გიტარებთ კონსულტაციას, რომ დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა, სელფის გადაღების დროს თქვენი გაშავებული წინა კბილი როგორ შეიძლება გაათეთროს. [...] ასევე გაგიჭირდათ ან არ გინდოდათ იმის დაჯერება და გაგება, რომ ანესთეზიას, რომელის გარეშეც თურმე ვერანაირ მანიპულაციას ვერ იტარებთ, თქვენი სიცოცხლის ლეტალური შედეგები შეიძლება მოყოლოდა და ამისთვის გესაჭიროებოდათ ექიმი ალერგოლოგი ალერგიული სტატუსის დასადგენად. [...] ტელეფონში რომ არ გეყურებინათ დაინახავდით როგორ გახსნა ექიმმა სტერილური პაკეტი ნომრით და გასტერილების თარიღით“.

სამართლებრივი შეფასება

ჯანმრთელობის სფეროში პაციენტის უფლებების, პატივისა და ღირსების დაცვის მიზნით მის შესახებ ინფორმაცია დაცულია არა მხოლოდ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, არამედ „პაციენტის უფლებების შესახებ“ და „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებითაც. „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის

თანახმად, სამედიცინო მომსახურების გამწვევი ვალდებულება დაიცვას პაციენტის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობა. ამასთან, სამედიცინო მომსახურების განწვევისას დასაშვებია მხოლოდ მასში უშუალოდ მონაწილე პირთა დასწრება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პაციენტი მოითხოვს სხვა პირთა დასწრებას. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის საფუძველზე, მედიცინის მუშაკი და სამედიცინო დაწესებულების ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას სამედიცინო (საექიმო) საიდუმლო, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად, კონფიდენციალურობის დაცვა გულისხმობს ასევე ინფორმაციის შემთხვევითი ან/და უკანონო გამჟღავნების რისკების მაქსიმალურად შემცირებას, ასევე მონაცემთა დამმუშავებლის ნებისმიერი თანამშრომლის ვალდებულებას, არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს და დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება.

მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელი თ.ტ.-ს ვინაობის დადგენა ვერ მოხდა მის მიერ ტექსტის წაშლის ან/და ანგარიშის დაბლოკვის გამო, ინსპექტორმა დაუსაბუთებლად და არაგონივრულად მიიჩნია კლინიკის ვარაუდი, რომ თავად გ.ს.-ს მიერ ან მისი დავალებით მომხმარებელი ღირსების შემლახველი ფორმით მისი მონაცემების გასაჯაროება.

შესწავლილი მასალების საფუძველზე ინსპექტორმა დაადგინა, რომ განმცხადებელს კლინიკაში ვიზიტისას გამოვლენილი ჩივილები არ გაუხდია საჯარო. მტკიცებულებებით ცალსახად არ დგინდებოდა გ.ს.-ს პერსონალური მონაცემების შემცველი ტექსტის კლინიკის მიერ სოციალურ ქსელში განთავსების ფაქტი, თუმცა, თ.ტ.-ს მიერ გავრცელებული ტექსტი მოიცავდა სწორედ იმ დეტალებს, რომელიც მხოლოდ კლინიკის ადმინისტრაციისა და მკურნალი ექიმისთვის უნდა ყოფილიყო ცნობილი, მათ შორის განმცხადებლის მიერ საფასურის გადახდის ზუსტი დრო და ფორმა, მკურნალი ექიმის მიერ განხორციელებული მოქმედებები, სამედიცინო ჩივილი - „წინა კბილის გათეთრება“, ინფორმაცია განმეორებითი ვიზიტის შესახებ და სხვა. შესაბამისად, ინსპექტორმა მიიჩნია, რომ კლინიკამ ვერ უზრუნველყო მასთან დაცული მონაცემების უკანონო გამჟღავნებისგან დაცვა.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული წესების დარღვევისთვის, კლინიკა ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად ამავე კანონის 46-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენაში და შეეფარდა გაფრთხილება.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

სამედიცინო ჩივილებთან, დიაგნოზთან, განუვალ სამედიცინო მომსახურებასთან და პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის სოციალური ქსელით გავრცელება, თუნდაც პაციენტის მიერ გამოთქმულ პრეტენზიაზე საპასუხოდ, დაუშვებელია. მსგავსი მოქმედება წარმოადგენს ადამიანის პირად ცხოვრებაში უხეშ ჩარევას, ღირსების შემლახველ და არაეთიკურ ქცევას. ორგანიზაციამ არა მხოლოდ თავად უნდა დაიცვას პაციენტის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, არამედ ასევე უნდა უზრუნველყოს თანამშრომლების მიერ მონაცემთა საიდუმლოების დაცვაც.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-6 და მე-17 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაცია ჯანდაცვის სფეროში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 404 მოქალაქის მონაცემების გამჟღავნება



ფაქტობრივი გარემოებები

2016 წლის 20 ივნისს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს განცხადებით მიმართა 404-მა მოქალაქემ, რომლებიც მიუთითებდნენ, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ (შემდგომში - სამინისტრო) მათი ოჯახის წევრებს გაუმჟღავნა კონფიდენციალური ინფორმაცია ნარკომანიის ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამაში (ე.წ. „მეთადონის“ პროგრამა) მათი მონაწილეობის შესახებ.

განმცხადებლები სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებდნენ ერთ-ერთ დაწესებულებაში (შემდგომში - დაწესებულება) და უმეტეს შემთხვევაში ეს ინფორმაცია ოჯახის წევრებისა და ახლობლებისთვისაც არ იყო ცნობილი. 2016 წლის 15 ივნისს სამინისტროს ცხელი ხაზიდან - 15 05 განმცხადებლების ფიქსირებულ სატელეფონო ნომრებზე განხორციელებული ზარის შედეგად ზოგიერთი განმცხადებლის ოჯახის წევრთათვის ცნობილი გახდა, რომ ისინი გადიოდნენ ე.წ. „მეთადონით“ მკურნალობის კურსს და 2016 წლის 1-ლი ივლისიდან პრეპარატის მისაღებად უნდა მისულიყვნენ შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ (შემდგომში - ცენტრი) მისამართზე, რითაც გამჟღავნდა მათი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები.

განცხადების განხილვის ფარგლებში სამინისტრომ განმარტა, რომ ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამას ახორციელებდა სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მეშვეობით, რომელსაც, თავის მხრივ, სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებით პროგრამის მიმწოდებლად განსაზღვრული ჰყავდა - ცენტრი. პროგრამით დადგენილი ფორმითა და ვადებში ცენტრი სააგენტოს წარუდგენდა პროგრამის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, ხოლო სააგენტო, თავის მხრივ, სამინისტროს აწვდიდა გარკვეულ მონაცემებს. ცხელი ხაზის მეშვეობით ბენეფიციარებთან დაკავშირების მიზეზად სამინისტრომ მიუთითა ივნისის თვეში ბენეფიციარებს შორის არასწორი ინფორმაციის გავრცელება, რაც სამინისტროს აზრით საფრთხეს უქმნიდა პროგრამის უწყვეტ განხორციელებას. სამინისტრომ საკონტაქტო ინფორმაციის მოპოვების წყაროდ ჯერ დაასახელა სააგენტო, მაშინ როდესაც სააგენტო აცხადებდა, რომ პროგრამით მოსარგებლე პირების ან/და მათი ოჯახის წევრების სატელეფონო ნომრებს საერთოდ არ ფლობდა. მიუხედავად ინსპექტორის არაერთი მოთხოვნისა, სამინისტროს არ წარმოუდგენია არც იმ ნომრების ჩამონათვალი, რომლებზეც კომუნიკაცია განხორციელდა, არც ცხელი ხაზის აუდიოჩანაწერები და არც ინფორმაციის მოპოვების რეალური წყარო.

დაწესებულებამ განმარტა, რომ როგორც ცენტრის ქვეკონტრაქტორი, პაციენტებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მოიპოვებდა და ინახავდა პაციენტთა და მათი ნდობით აღჭურვილ

პირთა საკონტაქტო ინფორმაციას. დაწესებულებამ უარყო ცენტრისთვის ან სამინისტროსთვის, ხოლო, თავის მხრივ, ცენტრმა აღნიშნული ინფორმაციის სამინისტროსთვის გადაცემა და განაცხადეს, რომ არ ყოფილან ინფორმირებულნი სამინისტროს მიერ პაციენტებთან კომუნიკაციის შესახებ. ცენტრმა ასევე მიუთითა, რომ ხელშეკრულებით პრეპარატის მიღების ან/და გადაცემის ადგილის ცვლილების შესახებ პაციენტის ინფორმირების ვალდებულება ეკისრებოდა დაწესებულებას.

განცხადების განხილვის პროცესში ინსპექტორის აპარატი გაეცნო დაწესებულებასა და პაციენტებს შორის გაფორმებულ, შემთხვევითი მეთოდით შერჩეულ ხელშეკრულებებს, სადაც უმეტეს შემთხვევაში მითითებული იყო პაციენტის და მისი ნდობით აღჭურვილი პირის მხოლოდ მობილური ტელეფონის ნომრები, რომელსაც პაციენტის თანხმობით უფლება ქონდა მინიჭებული პაციენტის პროგრამაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის მიღებაზე. ამასთან, ინსპექტორის აპარატში წარმოდგენილი იქნა რამდენიმე განმცხადებლის ოჯახის წევრის ახსნა-განმარტება, საიდანაც იკვეთებოდა რომ ფიქსირებული სატელეფონო ნომრების მეშვეობით ინფორმაციის მიწოდება განხორციელდა განმცხადებელთა იმ ოჯახის წევრებისთვისაც, რომლებიც ხელშეკრულებებში ნდობით აღჭურვილ პირებად არ ყოფილან მითითებულნი.

სამართლებრივი შეფასება

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N9660 დადგენილებით დამტკიცებულ „ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის“ პროგრამის თანახმად, პროგრამის ადმინისტრირებასა და ზედამხედველობას ახორციელებდნენ შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო. შესაბამისად, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით სამინისტროს ჩართულობა მინიმალური უნდა ყოფილიყო. პროგრამის უშუალო განმახორციელებელს - დაწესებულებას, მისი სახელშეკრულებო და საკანონმდებლო ვალდებულებიდან გამომდინარე, შეეძლო და ევალებოდა პაციენტების ინფორმირება, მით უფრო როცა მას ჰქონდა პაციენტთა წერილობითი თანხმობა მათ მიერვე მითითებული ნდობით აღჭურვილი პირებისთვის მონაცემთა გამჟღავნებაზე. დაწესებულებას არ ჰქონია რაიმე ტექნიკური თუ სხვა სახის პრობლემა, რის გამოც თავად ვერ შეძლებდა პაციენტთა ინფორმირებას. ამასთან, სააგენტო, ცენტრი და დაწესებულება ინფორმირებულებიც კი არ იყვნენ სამინისტროს მიერ 2016 წლის 15 ივნისს ბენეფიციარებთან შესაძლო კომუნიკაციის შესახებ.

რაც შეეხება სამინისტროს მიერ განმცხადებლების მობილური და ფიქსირებული სატელეფონო ნომრების შეგროვებას და გამოყენებას, მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილებით განსაზღვრული საანგარიშგებო დოკუმენტაციის ნუსხა, მისი წარდგენის წესი და ფორმა არ მოიცავდა პაციენტსა და დაწესებულებას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას ან პაციენტის და მისი ოჯახის წევრების საკონტაქტო ინფორმაციას. ამავე დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პროგრამების ადმინისტრირებაში მონაწილე სახელმწიფო დაწესებულება ზედამხედველობის ეტაპ(ებ)ის მიხედვით და კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილი იყო მიმწოდებლისგან მოეთხოვა პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტაცია, მათ შორის, პროგრამის მოსარგებლის სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული პირადი, სამედიცინო და ფინანსური ინფორმაცია. ამდენად, მოქმედი კანონმდებლობა პროგრამის განხორციელების ფარგლებში, პაციენტთა და მათი ოჯახის

წევრთა სატელეფონო ნომრების სამინისტროსთვის გადაცემის შესაძლებლობას არ იძლეოდა. განცხადების განხილვის პროცესში დადგინდა, რომ პროგრამაში ჩართული განმცხადებლების და მათი ნდობით აღჭურვილი პირების სატელეფონო ნომრები პაციენტებმა გადასცეს მხოლოდ დაწესებულებას. დაწესებულებას აღნიშნული სატელეფონო ნომრები არ გადაუცია ცენტრისთვის, სააგენტოსთვის და სამინისტროსთვის, შესაბამისად, ცენტრი და სააგენტო არ ფლობდნენ დაწესებულების ბაზაზე არსებული პაციენტების ან მათი ოჯახის წევრების საკონტაქტო ინფორმაციას. სამინისტრომ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა სააგენტოსგან მონაცემების მიღებას. მეტიც, სამინისტრომ საერთოდ არ წარმოადგინა დაბუსტებული ინფორმაცია მონაცემთა მოპოვების წყაროს შესახებ.

სამინისტროსა და პაციენტთა ოჯახის წევრების განმარტებებით დგინდებოდა, რომ სამინისტრომ ცხელი ხაზის ოპერატორებს განუსაზღვრა მისაწოდებელი ინფორმაციის ტექსტი, დაკავშირება მოხდა როგორც განმცხადებლების მობილურ, ასევე ფიქსირებულ სატელეფონო ნომრებზე და ოპერატორი მოსაუბრეს პირდაპირ აწვდიდა სტანდარტულ ტექსტს: „მეთადონის პროგრამა გრძელდება, მომსახურებას მიიღებთ შეუფერხებლად, არცერთი ბენეფიციარი არ დარჩება მედიკამენტის გარეშე და სერვისის მიწოდება მოხდება ახალ მისამართზე . . .“. აღნიშნულიდან დგინდებოდა პაციენტის პროგრამაში ჩართვისა და მისი ნარკომანიით დაავადების ფაქტი, რაც ცალსახად დაკავშირებული იყო ჯანმრთელობის მდგომარეობასთან (განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი). სამინისტროს მხრიდან განმცხადებელთა ინფორმირების პროცესის თაობაზე მათგან თანხმობის მიღების ან/და მათი ინფორმირების ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება კი არ იქნა წარმოდგენილი.

ინსპექტორმა დაადგინა, რომ სამინისტრომ პროგრამის ადმინისტრირების დადგენილი წესის გვერდის ავლით, ტექნიკური და სამართლებრივი საჭიროების გარეშე, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-6 მუხლების დარღვევით განახორციელა განმცხადებელთა სატელეფონო ნომრების მოპოვება, გამოყენება და მათი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გამჟღავნება მესამე პირებზე.

ამას გარდა, სამინისტრომ ინსპექტორს სრულყოფილად არ წარუდგინა რამდენჯერმე მოთხოვნილი ინფორმაცია, მაშინ როდესაც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის თანახმად, მონაცემთა დამმუშავებელი ინსპექტორის მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია გადასცეს ინსპექტორს შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტები.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-6 მუხლებით დადგენილი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მონაცემთა დამუშავების და ამავე კანონის 34-ე მუხლით განსაზღვრული წესის დარღვევისთვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე, 45-ე და 53-ე მუხლების პირველი პუნქტებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენაში და სახდელის სახით შეეფარდა ჯარიმა. სამინისტროს ასევე დაევალა კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული მონაცემების წაშლა/განადგურება.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

საჯარო დაწესებულების მიერ მონაცემთა დამუშავება დამოკიდებულია კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებაზე. თუ კონკრეტული მონაცემების დამუშავების ვალდებულებას კანონმდებლობა ცალსახად სხვა უწყებას ანიჭებს, საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი ინიციატივით მონაცემთა დამუშავება, განსაკუთრებით თუ ეს იწვევს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების გამჟღავნებას, ფასდება უკანონო ქმედებად.

ამასთან, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, როგორც მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესრულების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ ორგანოს, უფლება აქვს საქმის შესწავლისას ნებისმიერი დაწესებულებისგან გამოითხოვოს დოკუმენტი და ინფორმაცია, ხოლო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნილი ინფორმაცია ინსპექტორის სამსახურს წარუდგინოს დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-6 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2019 წლის CM/Rec(2019)2 რეკომენდაცია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების დაცვის შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.

მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვების დიაგნოზის გამჟღავნება



ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2016 წლის ივლისში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს აცნობა არასრულწლოვანი და-ძმის (შემდგომში - ბავშვები) ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნების შესახებ.

ინსპექტორის მიერ ჩატარებული შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ ბავშვები ტუბერკულოზის დიაგნოზით სტაციონარულ მკურნალობას გადიოდნენ ქ. თბილისის ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში, საიდანაც 2015 წლის დეკემბერში განერეს დაავადების დახურული ფორმის დიაგნოზით, რომელიც გარშემომყოფთათვის საფრთხეს არ წარმოადგენდა და საჭიროებდა მკურნალობის სახლის პირობებში გაგრძელებას. რადგან ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახში ინტეგრაცია ვერ მოხდა, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ (შემდგომში - სააგენტო), როგორც კანონიერმა წარმომადგენელმა, ბავშვები საკურორტო ზონაში განათავსა მინდობით აღსაზრდელად. 2016 წლის იანვრიდან ბავშვებმა დაიწყეს სკოლაში სიარული და ადგილობრივ საავადმყოფოში მკურნალი ექიმის კონსულტაციასაც იღებდნენ.

2016 წლის იანვრის ბოლოს გაკვეთილზე ერთ-ერთი ბავშვი ახველებდა. მასწავლებელმა ჰკითხა მიზეზი, რაზეც ბავშვმა უპასუხა, რომ ადრე მკურნალობდა ტუბერკულოზის ცენტრში. აღნიშნული ინფორმაცია სწრაფად გავრცელდა სკოლის მასწავლებლებსა და თანაკლასელების მშობლებში. მალევე, მიმღებ მშობელს სკოლის დირექტორმა სთხოვა გამოჯანმრთელებამდე ბავშვები სკოლაში არ მიეყვანა.

სკოლის დირექტორი სააგენტოს სოციალური მუშაკისგან დაჟინებით ითხოვდა მოსწავლეების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობებს. სოციალური მუშაკისთვის ცნობილი გახდა სკოლაში არსებული პანიკისა და ბავშვების დისკრიმინაციის შესახებ. სოციალურ მუშაკს ჰქონდა დაზუსტებული ინფორმაცია, რომ ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობა გარშემომყოფებს საფრთხეს არ უქმნიდა და სკოლის დირექტორს გადასცა 2015 წლის ბოლოს ბავშვებზე გაცემული სამედიცინო ცნობების (ფორმა №IV-100/ა) ასლები.

2016 წლის იანვრის ბოლოს სკოლის დირექტორს მოსწავლეთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვებით მიმართა ერთ-ერთმა მასწავლებელმა. დირექტორმა მას აუხსნა, რომ ბავშვებისგან მომდინარე საფრთხის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამებოდა სიმართლეს და დასტურად ცნობები დროებით გადასცა ბავშვების მკურნალ ექიმთან ფორმა №IV-100/ა-ში მოცემული ჩანაწერის დაზუსტების მიზნით, ისე რომ არც სოციალური მუშაკის და არც მიმღები მშობლის ინფორმირება არ მოუხდენია.

ამასთან, 2016 წლის თებერვლის დასაწყისში ერთ-ერთი ბავშვის კლასის მშობელთა კრებაზე დირექტორმა აღელვებულ მშობლებს გააცნო ინფორმაცია, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობებით დასტურდებოდა, რომ კლინიკური და რენტგენოლოგიური გამოკვლევებით ბავშვები ამჟამად ეპიდემიოლოგიურ საშიშროებას არ წარმოადგენდნენ და შესაძლებელი იყო მათი სასწავლო პროცესში დაშვება.

სამართლებრივი შეფასება

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, სკოლა ვალდებულია შექმნას ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, სკოლის დირექტორი პერსონალურად აგებს პასუხს სკოლაში მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნაზე. სკოლის მიერ ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ცნობების მოთხოვნის მომენტისთვის ერთ-ერთი ბავშვის განმარტება ტუბერკულოზის ცენტრში მკურნალობის შესახებ მიუთითებდა დაავადების იმ სავარაუდო ფორმაზე, რომელსაც შესაძლოა საფრთხე შეექმნა გარემომყოფებისთვის. ამდენად, ინსპექტორმა მიიჩნია, რომ სკოლის დირექტორის მცდელობა დაედგინა დაავადების არსებობა, ფორმა და საჭიროების შემთხვევაში, დაეცვა სკოლაში მყოფ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობა, წარმოადგენდა მის საკანონმდებლო ვალდებულებას და ცნობების სააგენტოსგან მოპოვებისთვის არსებობდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი.

თუმცა, სკოლამ ბავშვების კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობები გადასცა ერთ-ერთ მასწავლებელს და ასევე, ცნობებში დაფიქსირებული მონაცემები გაამჟღავნა მშობელთა კრებაზე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის *(მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე დაუშვებელია განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა გასაჯაროება და მესამე პირისათვის გამჟღავნება)* და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის *(მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვთ, მიიღონ სკოლაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციისა)* დარღვევით. აქვე აღსანიშნავია, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის თანახმად, მასწავლებლის ძირითადი ვალდებულებაა მოსწავლის ხარისხიან განათლებასა და პიროვნულ განვითარებაზე ზრუნვა, რაც არ მოიცავს სკოლაში მყოფ პირთა უსაფრთხოების მიზნით მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გადამონმებას.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

სკოლის მიერ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევით მონაცემთა გამჟღავნების ფაქტი დადგინდა, თუმცა, რამდენადაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციუ-

ლი სახდელი პირს შეიძლება დაედოს არა უგვიანეს ორი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, სკოლას ვერ დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.


რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

ბავშვის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების დაცვა, მათ შორის შემთხვევითი ან უკანონო გამჟღავნებისგან, სკოლის პირდაპირი მოვალეობაა. დაუშვებელია განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გასაჯაროება ან მესამე პირებისთვის გამჟღავნება ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების, კანონიერი წარმომადგენლის თანხმობისა და სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-17 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
3. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და მე-17 მუხლები - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=83>.
4. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაციები სკოლებისთვის - სკოლებში მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.



გარდაცვლილი პაციენტების მონაცემთა გამჟღავნება



ფაქტობრივი გარემოებები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ინიციატივით 2017 წელს ჩატარდა ერთ-ერთი კლინიკის (შემდგომში - კლინიკა) მიერ გარდაცვლილ პაციენტთა მონაცემების გამჟღავნების კანონიერების შემოწმება.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ კლინიკის პაციენტების უმრავლესობას წარმოადგენდნენ სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებიდან გადმოყვანილი მძიმე, უგონო მდგომარეობაში მყოფი პირები, რომელთა სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებულ სტანდარტულ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) კლინიკა დებდა პაციენტის თანხლებ პირებთან, ძირითადად ნათესავებთან ან/და კანონიერ წარმომადგენლებთან, ნათესაური კავშირის ან/და კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტების მოთხოვნის გარეშე.

პაციენტის გარდაცვალების შემთხვევაში, გარდაცვალების ფაქტის რეგისტრაციის მიზნით კლინიკა გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობას (ფორმა №106/ს-4-ს) ელექტრონული ფორმით ავსებდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში და აღნიშნული ფორმის ასლს იმავე დღეს გადასცემდა გარდაცვლილი პირის ნათესავს, რომელთანაც ხელშეკრულება იყო დადებული, თუმცა ზეპირსიტყვიერად მოთხოვნილი ცნობის გაცემის რეგისტრაცია არ წარმოებდა.

შემოწმების ფარგლებში გამოიკვეთა კლინიკის არაერთგვაროვანი მიდგომა გარდაცვლილი პირის დოკუმენტაციის გაცემასთან დაკავშირებით. მაგალითად, 2016 წლის 15 ივნისს მოქალაქე ნ.მ.-ს, როგორც ხელშეკრულების მხარეს, კლინიკამ გადასცა გარდაცვლილი მამის სამედიცინო ბარათიდან გარდაცვალების ეპიკრიზი და ფორმა №IV-100/ა, ხოლო, 24 ივნისის მიმართვაზე იმავე ნ.მ.-ს კლინიკამ უარი განუცხადა მამის სრული სამედიცინო ბარათის ასლის გადაცემაზე და მოსთხოვა პაციენტთან ნათესაური კავშირის/კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი, ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტის წარდგენა.

ასევე დადგინდა, რომ 2016 წლის 8 ივლისს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს საგზაო სატრანსპორტო შემთხვევათა საგამოძიებო სამსახურის (შემდგომში - შსს) წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, კლინიკამ გასცა ერთ-ერთი გარდაცვლილი პაციენტის ავადმყოფობის ისტორიის ასლი.

სამართლებრივი შეფასება

გარდაცვლილი პირის მონაცემთა დამუშავების საფუძვლებს განსაზღვრავს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი, რომელიც გარდა ამავე კანონის

მე-5 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლებისა, დასაშვებად მიიჩნევა გარდაცვლილი პირის მონაცემთა დამუშავებას მისი მშობლის, შვილის, შვილიშვილის ან მეუღლის თანხმობით.

ამასთან, „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, სამედიცინო მომსახურების გამწვევი ვალდებულება პაციენტის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობა დაიცვას როგორც პაციენტის სიცოცხლეში, ისე მისი სიკვდილის შემდეგ. ხოლო, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის თანახმად, მედიცინის მუშაკი და სამედიცინო დაწესებულების ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას სამედიცინო (საექიმო) საიდუმლო, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას მოითხოვს გარდაცვლილის ნათესავი ან კანონიერი წარმომადგენელი, სასამართლო, საგამოძიებო ორგანო, ან ეს აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი ასევე განმარტავს ნათესავისა და კანონიერი წარმომადგენლის ცნებებს. კერძოდ, პაციენტის ნათესავად მიიჩნევა პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რიგითობის მიხედვით აქვს უპირატესი უფლება მონაწილეობა მიიღოს პაციენტისათვის სამედიცინო მომსახურების აღმოჩენასთან ან მის სიკვდილთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში, ხოლო, კანონიერი წარმომადგენელი არის პაციენტის მეურვე ან მისი ნდობით აღჭურვილი პირი. აღნიშნული ნორმების საფუძველზე ინსპექტორმა კანონიერად მიიჩნია გარდაცვლილი პაციენტის დოკუმენტაციის პაციენტის ნათესავის (მშობელი, შვილი, მეუღლე, შვილიშვილი) და კანონიერი წარმომადგენლისთვის გადაცემა, თუმცა ინსპექტორმა მიიჩნია, რომ არაუფლებამოსილი პირებისთვის მონაცემთა გამჟღავნების პრევენციისა და მონაცემთა უსაფრთხოების დაცვისთვის, კლინიკა ვალდებულია დარწმუნდეს (მაგალითად, დაბადების ან ქორწინების მოწმობის საფუძველზე), რომ ადრესატი ნამდვილად წარმოადგენს პაციენტის ნათესავს ან/და კანონიერ წარმომადგენელს.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 და მე-18 მუხლები განსაზღვრავს მონაცემთა უსაფრთხოების ზომებსა და მონაცემთა გამჟღავნების ფაქტების აღრიცხვის ვალდებულებებს. კერძოდ, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია არაელექტრონული ფორმით მონაცემთა დამუშავებისას უზრუნველყოს მონაცემთა გამჟღავნებასთან ან/და ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების აღრიცხვა. შემონების ფარგლებში კი დადგინდა, რომ კლინიკა არ აღრიცხავს ზეპირსიტყვიერი მოთხოვნის საფუძველზე გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობის მატერიალური ფორმით გაცემის ფაქტებს.

ინსპექტორმა ასევე იმსჯელა შსს-სთვის გარდაცვლილი პაციენტის დოკუმენტაციის გადაცემის თაობაზეც. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს ადამიანის პირადი ცხოვრების შემადგენელ ნაწილს და სისხლის სამართლებრივი დევნის, დანაშაულის გამოძიების მიზნებისათვის მისი ხელშეუხებლობის შეზღუდვა დასაშვებია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განჩინების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში, 2016 წლის 8 ივლისს კლინიკამ შსს-ს მხოლოდ წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სასამართლოს განჩინების გარეშე, გადასცა გარდაცვლილი პაციენტის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტები, ამასთან, არ დასტურდებოდა გარდაცვლილი პაციენტის კანონიერი წარმომადგენლის ან ნათესავის მიერ თანხმობის გაცემის ფაქტი, რაც ინსპექტორმა შეაფასა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-7 მუხლების დარღვევად.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე შსს-სთვის მონაცემთა გადაცემის გამო, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინებით, კლინიკას პასუხისმგებლობა არ დაეკისრა. თუმცა, ამავე კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული მონაცემთა უსაფრთხოების ნორმის დარღვევისათვის კლინიკა ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად 46-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენაში და სახდელის სახით შეეფარდა გაფრთხილება. კლინიკას დავალა გარდაცვლილი პაციენტების მონაცემთა გამჟღავნებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების აღრიცხვის მექანიზმების დანერგვა, გარდაცვლილი პაციენტის პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტაციის უფლებამოსილ მესამე პირებზე გაცემის სტანდარტული წესისა და პროცედურის წერილობითი ფორმით შემუშავება, ასევე საგამოძიებო ორგანოებისთვის პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით გადაცემა.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

- „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პაციენტის მიერ გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში პაციენტისთვის სამედიცინო მომსახურების განვითარების აუცილებელია პაციენტის ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობა. სამედიცინო დაწესებულება უნდა დარწმუნდეს, რომ პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება ნამდვილად ამავე კანონით განსაზღვრული პაციენტის ნათესავის ან/და კანონიერი წარმომადგენლისთვის ხდება.
- სამედიცინო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს როგორც ელექტრონული, ასევე არა-ელექტრონული ფორმით მონაცემთა მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა და მონაცემთა გამჟღავნების შემთხვევაში შემდეგი ინფორმაციის რეგისტრაცია: რომელი მონაცემი იქნა გამჟღავნებული, ვისთვის, როდის და რა სამართლებრივი საფუძვლით. ეს ინფორმაცია უნდა ინახებოდეს მონაცემთა სუბიექტის შესახებ მონაცემებთან ერთად (ელექტრონულად ან მატერიალურად) მათი შენახვის ვადის განმავლობაში.
- სამართალდამცავი ორგანოსთვის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გადაცემამდე, სამედიცინო დაწესებულება უნდა დარწმუნდეს, რომ მონაცემთა გამჟღავნება ხორციელდება სასამართლოს განჩინების ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში – პროკურორის დადგენილების საფუძველზე.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, მე-6, მე-7, მე-17 და მე-18 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, 22-ე და 27-ე მუხლები - <https://matsne.gov.ge/document/view/16978?publication=11>.
3. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლი - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29980?publication=45>.
4. საქართველოს კანონის „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ მე-4 და 112-ე მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
5. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაცია ჯანდაცვის სფეროში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.

სააფთიაქო ქსელში მიმდინარე აუდიო-ვიდეო კონტროლი



ფაქტობრივი გარემოებები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ინიციატივით 2017 წლის აპრილ-ივნისში შემოწმდა ერთ-ერთი სააფთიაქო ქსელის (შემდგომში - კომპანია) 22 აფთიაქში აუდიო-ვიდეო კონტროლის კანონიერება.

შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ აფთიაქებში 24-საათიან რეჟიმში მიმდინარეობდა აუდიო და ვიდეო მონიტორინგი, რომლის არეალშიც ექცეოდა შესასვლელი სივრცეები, საწყობები და ფარმაცევტების დახლები, ხოლო გარე პერიმეტრის ვიდეოთვალთვალი მხოლოდ 2 ობიექტზე მიმდინარეობდა. აფთიაქის შესასვლელებთან განთავსებული იყო აუდიო-ვიდეო მონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშნები. ყველა თანამშრომელი წერილობითი ფორმით იყო ინფორმირებული აფთიაქებში მიმდინარე აუდიო-ვიდეო კონტროლის შესახებ.

მომსახურების ხარისხის კონტროლის მიზნით, ცხელი ხაზისა და სოციალური ქსელის გარდა (რომლითაც მომხმარებლებს შეეძლოთ დაეფიქსირებინათ საკუთარი პრეტენზია), კომპანია იყენებდა ვიდეო და აუდიოჩამწერ მოწყობილობას და ფარმაცევტების დახლებზე განთავსებული მიკროფონების მეშვეობით ახდენდა მომხმარებლებისა და ფარმაცევტების საუბრის ჩანერას. კომპანია მიუთითებდა, რომ მომხმარებლის პრეტენზიის მიღების შემთხვევაში, მისი აუდიტის სამსახურის თანამშრომლები და ქსელის მენეჯერები აუდიო-ვიდეო ჩანაწერებით აფასებდნენ პრეტენზიის საფუძვლიანობას, თუმცა შემოწმების პროცესში კომპანიამ ვერ წარმოადგინა მომხმარებელთა პრეტენზიების დამადასტურებელი მტკიცებულებები. კომპანიის აუდიტის სამსახურის 2015 წლის 15 ივლისის, 30 აგვისტოს და 15 სექტემბრის ანგარიშებში მითითებული იყო კონკრეტული ფარმაცევტების მიერ კომპანიის „მომხმარებელთა მომსახურების ნორმების“ დარღვევით განხორციელებული ქმედებები („არ ამოართყა სალაროს ქვითარი“, „მომხმარებელს ემსახურება და თან მენეჯერთან საუბრობს“, „მომხმარებელს არ მიაქცია ყურადღება, ზურგით იდგა დახლთან“ და ა.შ.).

ვიდეოთვალთვალის სისტემის ტექნიკური მახასიათებლების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ვიდეოსათვალთვალო კამერების მეშვეობით მიღებული გამოსახულება და ფარმაცევტების დახლებზე განთავსებული მიკროფონებით მოპოვებული აუდიოჩანაწერები გაერთიანებული იყო ერთ ჩანაწერში.

შემოწმებისას დადგინდა, რომ ქ. თბილისში მდებარე 2 აფთიაქში სტაციონარულ კომპიუტერში ინახებოდა 2016 წლის 27 ივლისით და 2017 წლის 26 თებერვლით დათარიღებული ჩანაწერები, რომელთა ამოღება (ექსპორტი) განხორციელდა ჩაწერის ლილაკის შემთხვევით გამოყენების გამო, განზრახვის გარეშე. რაც შეეხება ჩანაწერების გამჟღავნებას, კომპანია ცალკე არ აღრიცხავდა

მათ გამჟღავნებასთან დაკავშირებულ მოქმედებებს, თუმცა ინახავდა სამართალდამცავი ორგანოებისგან ვიდეორჩანაწერების გადაცემასთან დაკავშირებით მიღებულ მიმართვებს და საპასუხო წერილებს, რომელთა შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - შსს) 2015 წლის 15 აპრილის, 2015 წლის 11 აგვისტოს და 2017 წლის 30 იანვრის წერილობითი მიმართვების საფუძველზე კომპანიამ გადასცა ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით განხორციელებული ჩანაწერები. შსს-ს წერილობით მიმართვებს არ ერთოდა სასამართლოს განჩინება ან/და პროკურორის დადგენილება.

სამართლებრივი შეფასება

ინსპექტორმა კომპანიის მიერ თანამშრომლებსა და მომხმარებლებს შორის მიმდინარე საუბრის აუდიოკონტროლი შეაფასა არაადეკვატურ და არაპროპორციულ საშუალებად, ვინაიდან ამ ფორმით და მოცულობით მონაცემთა დამუშავება წარმოადგენდა არაპროპორციულ ჩარევას მონაცემთა სუბიექტების პირად ცხოვრებაში, ეწინააღმდეგებოდა „პერსონალურ მონაცემთა ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს 1981 წლის 28 იანვრის №108 კონვენციის მე-5 მუხლითა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მონაცემთა დამუშავების პროპორციულობის და ადეკვატურობის პრინციპს. ამასთან, გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ მომსახურების ხარისხის კონტროლის მიზნით კომპანია იყენებდა სხვა ალტერნატიულ და უფრო პროპორციულ მექანიზმებს, მათ შორის ცხელ ხაზს. ინსპექტორმა განმარტა, რომ აუდიომონიტორინგის ტექნიკური საშუალებების ხელმისაწვდომობა არ უნდა იწვევდეს ადამიანთა პირად ცხოვრებაში უხეშ ჩარევას და პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ყველა ეტაპზე სამართლიანი ბალანსი უნდა იქნას დაცული მონაცემთა დამუშავების კანონიერ ინტერესებს და მონაცემთა სუბიექტის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებებს შორის. ამასთან, შემომნების ფარგლებში შესწავლილი მტკიცებულებებით არ დადასტურდა მომხმარებელთა პრეტენზიებზე რეაგირების მიზნით აუდიორჩანაწერების გამოყენება.

ინსპექტორმა კანონიერად მიიჩნია კომპანიის მიერ აფთიაქების გარე და შიდა პერიმეტრების ვიდეოთვალთვალის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის მიზნებით, თუმცა, რამდენადაც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად სამუშაო ადგილზე ვიდეოთვალთვალის სისტემის დაყენების მიზანს შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების, ასევე საიდუმლო ინფორმაციის დაცვა, დარღვევად შეაფასა დასაქმებულთა მიერ განუული მომსახურების ხარისხის კონტროლის მიზნით განხორციელებული ვიდეომონიტორინგი.

შსს-სთვის ვიდეორჩანაწერების გადაცემასთან დაკავშირებით ინსპექტორმა განმარტა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 27-ე და 28-ე ნაწილების თანახმად, კომპანიის მიერ გადაცემული ვიდეორჩანაწერი წარმოადგენდა კომპიუტერულ მონაცემს და მისი გაცემა დასაშვები იყო მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე და 143³-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოსამართლის განჩინების ან გადაუდებელი აუცილებლობისას, პროკურორის მოტივირებული დადგენილების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში, კომპანიამ მხოლოდ წერილობითი მიმართვის საფუძველზე გადასცა სამართალდამცავ ორგანოს პერსონალური მონაცემების შემცველი ვიდეორჩანაწერები, რაც ინსპექტორმა შეაფასა კანონის დარღვევად.

ინსპექტორმა ასევე, კანონის მე-17 და მე-18 მუხლების შესაბამისად, არასაკმარისად მიიჩნია კომპანიის მიერ მონაცემთა უსაფრთხოებისთვის მიღებული ზომები, რადგან აღნიშნული ზომები არ უზრუნველყოფდა მონაცემთა დაცვას შემთხვევითი დამუშავებისა და გამოყენებისგან, ასევე, კომპანია არ აწარმოებდა ელექტრონულ ან/და მატერიალურ დოკუმენტს, რომელშიც აღირიცხებოდა რომელი მონაცემი იქნა გამჟღავნებული, ვისთვის, როდის და რა სამართლებრივი საფუძვლით.

კანონის მე-19 და მე-20 მუხლების შესაბამისად, საჯარო და კერძო ორგანიზაციებს, რომლებიც მათი საქმიანობის პროცესში ქმნიან და იყენებენ პერსონალურ მონაცემთა შემცველ ბაზებს, ევალუბათ ფაილური სისტემის კატალოგის წარმოება და ინსპექტორისთვის წარდგენა. შემონების შედეგად კი დადგინდა, რომ კომპანიას ინსპექტორისთვის არ ჰქონდა წარდგენილი აუდიო და ვიდეოჩანაწერების შესახებ ფაილური სისტემის კატალოგი, რაც ასევე წარმოადგენდა დარღვევას.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, მე-12, მე-17 და მე-20 მუხლებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო კომპანია ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად ამავე კანონის 44-ე, 46-ე, 48-ე და 53-ე მუხლების პირველი პუნქტებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენაში და სახდელის სახით შეეფარდა ჯარიმა. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინებით, სამართალდამცავი ორგანოსთვის ჩანაწერების „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე გადაცემისთვის კომპანიას არ დაეკისრა პასუხისმგებლობა.

ამასთან, კომპანიას დაევალა: სააფთიაქო ქსელში აუდიომონიტორინგის შეწყვეტა და აუდიომონიტორინგის შედეგად მოპოვებული მასალის სრულად განადგურება; ვიდეოსათვალთვალო სისტემის მეშვეობით მოპოვებული პერსონალური მონაცემების შემცველი ვიდეოჩანაწერების გადაცემა სამართალდამცავი ორგანოებისთვის მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი წესით; ვიდეოსათვალთვალის სისტემასთან დაკავშირებული ფაილური სისტემის კატალოგის წარმოება და დადგენილი ფორმით ინსპექტორისთვის მიწოდება; იმგვარი ტექნიკური ან/და ორგანიზაციული ზომების მიღება, რომლებიც უზრუნველყოფდა მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან/და უკანონო მოპოვებისა და გამჟღავნებისგან; ვიდეოჩანაწერების გამჟღავნებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების (კერძოდ, ვისთვის, რა მონაცემები, როდის და რა სამართლებრივი საფუძვლით იქნა გამჟღავნებული) აღრიცხვის მექანიზმების დანერგვა.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

სამუშაო ადგილზე ვიდეოსათვალთვალის სისტემის დაყენება შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნებისათვის და თუ ამ მიზნების სხვა საშუალებით მიღწევა შეუძლებელია. შესაბამისად, კომპანიებმა თანამშრომელთა ქცევის კონტროლის მიზნით არ უნდა გამოიყენონ ვიდეოსათვალთვალო სისტემები. ამასთან, აუდიომონიტორინგი წარმოადგენს პირის პირად სივრცესა და კომუნიკაციაში ჩარევის უხეშ ფორმას და ის უნდა იყოს გამოყენებული

მხოლოდ კანონით განსაზღვრულ გამონაკლის შემთხვევებში, მონაცემთა სუბიექტის ღირსების, სამართლიანობისა და პროპორციულობის პრინციპის სრული დაცვით. როგორც ვიდეო, ასევე აუდიო მონიტორინგის შესახებ პირები წინასწარ უნდა იყვნენ ინფორმირებულნი.

სამართალდამცავი ორგანოებისთვის ჩანაწერების გადაცემამდე ორგანიზაციები უნდა დარწმუნდნენ, რომ მონაცემთა გამჟღავნება ხორციელდება კანონით დადგენილი წესით, რისთვისაც მათ შეუძლიათ მოითხოვონ მოსამართლის განჩინების და/ან პროკურორის დადგენილების წარდგენა. ასევე, უნდა აღრიცხონ მონაცემთა გამჟღავნების ფაქტები.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, მე-5, მე-12, მე-17, მე-18, მე-19 და მე-20 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. საქართველოს კანონის „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ მე-3, 136-ე და 143³ მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
3. სახელმწიფო ინსპექტორის რეკომენდაციები ვიდეოთვალთვალის განხორციელების შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.
4. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაციები შრომით ურთიერთობებში პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.



ყოფილი მეუღლისთვის სამედიცინო დოკუმენტების გადაცემა



ფაქტობრივი გარემოებები

2017 წლის 24 მარტს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს განცხადებით მიმართა გ.ქ.-მ, რომელიც სადავოდ ხდიდა ერთ-ერთი სამედიცინო ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) მიერ მისი სამედიცინო მონაცემების ყოფილი მეუღლისთვის დ.ტ.-სთვის გამჟღავნების ფაქტს. განმცხადებელმა წარმოადგინა დ.ტ.-ს მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში წარდგენილი სარჩელი, რომელსაც მტკიცებულებად ერთოდა ცენტრის ბეჭდით დადასტურებული განმცხადებლის 2013-2014 წლებში შედგენილი გასინჯვის ორი ფურცელი (ფორმა №IV-200-5/ა) და პაციენტის სამედიცინო ბარათი.

ცენტრმა დაადასტურა, რომ 2013-2014 წლებში გ.ქ.-ს სამედიცინო კვლევებთან დაკავშირებული დოკუმენტების და ამბულატორიული ბარათის ასლები 2016 წლის 14 სექტემბრის განცხადების საფუძველზე ხელზე გადასცა დ.ტ.-ს, რომელიც დანესებულებას გაეცნო, როგორც გ.ქ.-ს მეუღლე და დასტურად წარუდგინა ჯვრისწერის მოწმობისა და საკუთარი პირადობის მოწმობის ასლები. ცენტრმა მიუთითა, რომ ზოგადად, სამედიცინო დოკუმენტაციას მესამე პირებზე არ გასცემს პაციენტის მითითების ან პაციენტთან ნათესაური კავშირის დამადასტურებელი (მაგალითად, დაბადების მოწმობა, ქორწინების მოწმობა) დოკუმენტის წარდგენის გარეშე, თუმცა, დამკვიდრებული პრაქტიკით, ამ უკანასკნელ შემთხვევაში დამატებით პაციენტის თანხმობის წარდგენას ცენტრი არ ითხოვდა.

განცხადების განხილვის ფარგლებში დ.ტ.-მ მიუთითა, რომ განმცხადებელთან რეგისტრირებულ ქორწინებაში არ ყოფილა, თუმცა ეკლესიური წესით ჯვარი ჰქონდა დაწერილი. მას შემდეგ, რაც მასსა და განმცხადებელს შორის დაიწყო სასამართლო დავა, სასამართლოში მტკიცებულებების წარდგენის მიზნით დაიწყო სხვადასხვა სახის დოკუმენტაციის შეგროვება. ვინაიდან თავად განმცხადებლისგან ფლობდა ინფორმაციას ცენტრში 2013-2014 წლებში გარკვეული სახის სამედიცინო გამოკვლევების ჩატარების შესახებ, ცენტრისგან დ.ტ.-მ წერილობით გამოითხოვა აღნიშნული დოკუმენტაცია, რაზეც თავდაპირველად უარი მიიღო. მოგვიანებით, ჯვრისწერის მოწმობის წარდგენის შემდეგ, ცენტრმა სრულად გადასცა გ.ქ.-ს სამედიცინო დოკუმენტაცია, რომელიც წარადგინა მხოლოდ სასამართლოში.

სამართლებრივი შეფასება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პირის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემი წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს. ამავე კანონის მე-6 მუხლი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებისთვის ადგენს სპეციალურ წესებს და მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე დაუშვებლად მიიჩნევს კანონიერად მოპოვებულ ან სხვაგვარად დამუშავებულ მონაცემთა

გასაჯაროებას და მესამე პირისათვის გამჟღავნებას. ამასთან, კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავებაზე მონაცემთა სუბიექტის თანხმობის არსებობასთან დაკავშირებით დავის წარმოშობის შემთხვევაში მონაცემთა დამმუშავებელს ეკისრება მონაცემთა სუბიექტის თანხმობის ფაქტის არსებობის მტკიცების ტვირთი.

„პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის თანახმად, ქმედუნარიან პაციენტს უფლება აქვს გადაწყვიტოს, მიიღოს თუ არა ვინმემ ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. დადებითი გადაწყვეტილების მიღებისას მანვე უნდა დაასახელოს ის პირი, რომელსაც ეს ინფორმაცია უნდა მიენოდოს. გადაწყვეტილება და პირის ვინაობა ფიქსირდება სამედიცინო დოკუმენტაციაში. ამავე კანონის 28-ე მუხლით კი, პაციენტის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება დასაშვებია თუ: ა) მიღებულია პაციენტის თანხმობა; ბ) ინფორმაციის გამჟღავნებლობა საფრთხეს უქმნის მესამე პირის (რომლის ვინაობაც ცნობილია) სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას; გ) სასწავლო ან სამეცნიერო მიზნით პაციენტის შესახებ ინფორმაციის გამოყენებისას მონაცემები ისეა წარმოდგენილი, რომ შეუძლებელია პიროვნების იდენტიფიკაცია; გ¹) ინფორმაცია ეხება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შესახებ ჩადენის ფაქტს და არსებობს ძალადობის განმეორების საშიშროება. ეს ინფორმაცია მიენოდება მხოლოდ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს პაციენტის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად; დ) ამას ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა.

საქმის განხილვის ფარგლებში წარმოდგენილი მტკიცებულებებით გ.ქ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული დოკუმენტების დ.ტ.-სთვის გადაცემის შესახებ გ.ქ.-ს თანხმობის არსებობის ფაქტი არ დადასტურდა და არ გამოვლენილა ინფორმაციის გამჟღავნების სხვა კანონიერი საფუძვლები.

ინსპექტორმა კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნია მხოლოდ პაციენტთან ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე მესამე პირისთვის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების გამჟღავნების ცენტრში არსებული პრაქტიკა. ინსპექტორის შეფასებით, ჯვრისწერის მოწმობის წარდგენა არ წარმოადგენდა პირის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გაცემის საფუძველს და ცენტრი ვალდებული იყო პაციენტ - გ.ქ.-ს შესახებ ინფორმაცია გაეცა მხოლოდ მისივე თანხმობით.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის დარღვევით მონაცემთა გამჟღავნებისთვის ცენტრს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ დაეკისრა. მას დაევალა პაციენტის პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტაციის/ინფორმაციის მესამე პირებისთვის გაცემის სტანდარტული წესისა და პროცედურის წერილობითი ფორმით შემუშავება და მისი შესრულების მონიტორინგის შიდა ორგანიზაციული მექანიზმების დანერგვა.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

სამედიცინო დაწესებულებებმა პატივი უნდა სცენ ქმედუნარიანი პაციენტის უფლებას, თავად გადაწყვიტოს მიიღოს თუ არა ვინმემ ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ

და უზრუნველყონ მხოლოდ პაციენტის თანხმობით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში და დადგენილი წესით მონაცემების გამჟღავნება. როგორც პერსონალური მონაცემების დაცვის, ასევე ჯანმრთელობისა და პაციენტის უფლებების სფეროში არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დაცვა არაუფლებამოსილი პირებისთვის (მათ შორის ნათესავებისთვის) უკანონო გამჟღავნებისგან.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-6 და 26-ე მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე და 28-ე მუხლები - <https://matsne.gov.ge/document/view/16978?publication=11>.
3. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაცია ჯანდაცვის სფეროში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.

კლინიკის რეპუტაციის დასაცავად პაციენტის მონაცემების გასაჯაროება



ფაქტობრივი გარემოებები

მოქალაქე ბ.თ.-ს განცხადების საფუძველზე 2018 წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა შეისწავლა ერთ-ერთი სამედიცინო კლინიკის (შემდგომში - კლინიკა) მიერ განმცხადებლის მონაცემების გასაჯაროების ფაქტი.

როგორც განცხადების განხილვის ფარგლებში შემოწმებისას დადგინდა, 2018 წლის დასაწყისში ერთ-ერთ ონლაინ გაზეთში გამოქვეყნდა ინტერვიუ განმცხადებელთან, რომელშიც ის აღწერდა ქუჩაში მისი ცემის ფაქტს და შემდგომ კლინიკის მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარებულ მოვლენებს, სადაც კვლავ გახდა უცხო პირების მხრიდან თავდასხმის მსხვერპლი. ბ.თ. მიუთითებდა, რომ კლინიკაში მას სათანადო დახმარება არ აღმოუჩინეს. ინტერვიუს გამოქვეყნების შემდგომ, კლინიკის სოციალურ ქსელ „Facebook“-ის გვერდზე უარყოფითი შეფასებები და კლინიკის მისამართით შეურაცხმყოფელი კომენტარების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. კლინიკა მიიჩნევდა, რომ ონლაინ გაზეთით გავრცელებული ინფორმაცია მცდარ შთაბეჭდილებას უქმნიდა საზოგადოებას და საკუთარი რეპუტაციის დაცვის მიზნით, სოციალური ქსელის საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა კლინიკის გარე ტერიტორიაზე მომხდარ ძალადობასთან დაკავშირებული პოზიცია, რომელშიც დეტალურად იყო აღწერილი განმცხადებლის სამედიცინო ჩივილები, მისთვის ჩატარებული კომპიუტერული ტომოგრაფიული კვლევის შედეგები და ექიმის შეფასებები. კლინიკა ასევე მიუთითებდა, რომ პაციენტმა და მისმა თანმხლებმა პირებმა უარი განაცხადეს შემდგომ დაკვირვებაზე და შესაბამისი დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ დატოვეს კლინიკა. კლინიკა ნუხილს გამოთქვამდა მის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი ძალადობის გამო და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მედპერსონალის მხრიდან პაციენტის შეურაცხყოფასა და ძალადობას ადგილი არ ჰქონია.

სამართლებრივი შეფასება

ინსპექტორმა განმარტა, რომ პირის ინტერესი - დაცული იყოს მისი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები და თავად აკონტროლოს ამ ინფორმაციის გავრცელება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტია. პერსონალური მონაცემების, მათ შორის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების, მესამე პირისთვის გამჟღავნება უნდა განხორციელდეს მხოლოდ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას და მონაცემთა დამუშავების პრინციპების დაცვით - სამართლიანად, კანონიერად და მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეუღალავად. ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში უნდა შეფასდეს რამდენად არის ლეგიტიმური მიზნის ადეკვატური და პროპორციული გასამჟღავნებელი მონაცემების შინაარსი და მოცულობა. ვინაიდან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების სამართლებრივ საფუძვლებს და მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე კრძალავს მონაცემთა გასაჯაროებას, კლინიკის მიერ

რეპუტაციის დაცვის ინტერესი ინსპექტორმა არ მიიჩნია განმცხადებლის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების შემცველი ინფორმაციის გასაჯაროების საგამონაკლისო შემთხვევად. ინსპექტორმა ასევე აღნიშნა, რომ მიზნის მიღწევა კლინიკას შეეძლო ნაკლები მოცულობით მონაცემთა დამუშავებით ისე, რომ საჯაროდ ხელმისაწვდომი არ გამხდარიყო განმცხადებლის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ საგაზეთო ინტერვიუში განმცხადებელს მის ჩივილებთან და განუღმომსახურებასთან დაკავშირებული დეტალები საჯარო არ გაუხდია.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მონაცემთა გასაჯაროების გამო კლინიკა ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად ამავე კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და სახდელის სახით შეეფარდა ჯარიმა. კლინიკას ასევე დაევალა სოციალურ ქსელში მის გვერდზე განთავსებული განმცხადებლის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების შემცველი შეტყობინების წაშლა, ამასთან, პაციენტების პერსონალური მონაცემის შემცველი დოკუმენტაციის/ინფორმაციის გამჟღავნება მხოლოდ კანონით დადგენილი სამართლებრივი საფუძვლ(ებ)ის არსებობისას.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს სამართლიანი ბალანსი საკუთარ კანონიერ ინტერესებსა და მონაცემთა სუბიექტის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას შორის. დაუშვებელია პაციენტის თანხმობის გარეშე კონფიდენციალური ინფორმაციის დეტალების გავრცელება სოციალური ქსელებითა და საჯაროდ ხელმისაწვდომი საშუალებებით. დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში, გავრცელებული ინფორმაცია არ უნდა შეიცავდეს პირის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს, ხოლო გავრცელებული ინფორმაციის შინაარსი და მოცულობა სრულად პროპორციული უნდა იყოს კანონიერ მიზანთან მიმართებით.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 და მე-6 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაცია ჯანდაცვის სფეროში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.



ვიდეომონიტორინგი ურინოტესტირების პროცესში



ფაქტობრივი გარემოებები

2018 წლის თებერვალ-აპრილში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ინიციატივით შემოწმდა ერთ-ერთი სამედიცინო ცენტრი (შემდგომში - ცენტრი). შემოწმება სხვა საკითხებთან ერთად მოიცავდა ლაბორატორიული გამოკვლევის მიზნით ბიოლოგიური მასალის ჩაბარების (ურინოტესტირების) პროცესის ვიდეოთვალთვალის კანონიერების შესწავლას.

ცენტრი ურინოტესტირებას ახორციელებდა როგორც საჯარო სამსახურში წარსადგენი ნარკოლოგიური საშუალების მოხმარების ფაქტის დადგენის შესახებ ცნობის გაცემის მიზნით, ასევე „ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის“ და მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. ანალიზის გაყალბების პრევენციისთვის, ცენტრში მიმდინარეობდა ბიოლოგიური მასალის ჩაბარების პროცესის ვიდეომონიტორინგი.

სპეციალური დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრული იქნებოდა ვიდეოთვალთვალის წესი, ცენტრს არ ჰქონდა და პროგრამაში ჩართული პაციენტ(ებ)ის ბიოლოგიური მასალის ჩაბარების პროცესთან დაკავშირებით იგი ხელმძღვანელობდა „სახელმწიფო მოსამსახურეებისა და საჯარო მოსამსახურეების ნარკოლოგიური შემოწმებისა და შესაბამისი ცნობის გაცემის წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 20 სექტემბრის №01-60/ნ ბრძანებით (შემდგომში - №01-60/ნ ბრძანება), „ნარკომანიის ჩანაცვლებითი სპეციალური პროგრამით მკურნალობის განხორციელების შესახებ“ 2014 წლის 03 ივლისის №01-41/ნ ბრძანებით, ასევე, პაციენტთან ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამაში ჩართვის მიზნით დადებული ხელშეკრულებით, რომელიც ითვალისწინებდა პაციენტის ვალდებულებას სამედიცინო პერსონალის მოთხოვნით ჩაებარებინა შარდი ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზისთვის სამედიცინო პერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ და ნორმას, რომლის თანახმად, პაციენტის მიერ ბიოლოგიური მასალის აღება ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის ჩასატარებლად იწერებოდა ვიდეოთვალთვალის მიხედვით.

ადგილზე შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ ბიოლოგიური მასალის ჩაბარება ხდებოდა სპეციალურად გამოყოფილ, იზოლირებულ კაბინაში, რომელშიც განთავსებული იყო ერთი ანალოგიური ტიპის კამერა და გამაფრთხილებელი ნიშანი ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ. პირდაპირი ტრანსლირების რეჟიმში კაბინის ვიდეომონიტორინგს ახორციელებდა შესაბამისი სქესის სამედიცინო პერსონალი. კამერა დაკავშირებული იყო განყოფილების უფროსის სამუშაო ოთახში მდებარე ვიდეოჩანაწერების შემნახველ მოწყობილობასთან. ჩანაწერების შენახვის ვადა დამოკიდებული იყო სისტემის მეხსიერების მყარი დისკის მოცულობაზე და ჩანაწერები საშუალოდ ინახებოდა 25 კალენდარული დღის ვადით. სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფას გააჩნდა მონაცემთა მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვის ელექტრონული ჟურნალი, თუმცა ვიდეოსათვალთვალ სისტემის წვდომის უფლების მქონე პირებს არ გააჩნდათ სისტემაში პერსონიფიცირებული მომხმარებლის სახელი და სარგებლობდნენ საერთო სახელით (admin/me2).

სამართლებრივი შეფასება

საკითხის შეფასებისას ინსპექტორმა იხელმძღვანელა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებებით საქმეებზე - Von Hannover v. Germany და Köpke v. Germany და მნიშვნელოვან ფაქტორებად მიიჩნია ურინოტესტირების პროცედურის თავისებურება და სენსიტიურობა, ჩანაწერების უკანონო გამჟღავნებასთან დაკავშირებული რისკები და შესაძლო ზიანი, ასევე, შესაძლებელი იყო თუ არა მიზნის მიღწევა სხვა თანაბრად ეფექტური საშუალებით, რომელიც ნაკლებად შეზღუდავდა ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, საჯარო და კერძო დაწესებულებებს შეუძლიათ განახორციელონ თავიანთი შენობების ვიდეოთვალთვალი, თუ ეს აუცილებელია პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის, არასრულწლოვნის მავნე ზეგავლენისაგან დაცვისა და საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მიზნებისათვის. ვიდეომონიტორინგის განხორციელებისას მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია თვალსაჩინო ადგილას განათავსოს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი. ამ შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტი მის შესახებ მონაცემთა დამმუშავების თაობაზე ინფორმირებულად ითვლება.

ცენტრის განმარტებით, მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის პაციენტების ბიოლოგიური მასალის ჩაბარების პროცესის ვიდეომონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა პირის უსაფრთხოების დაცვა, რადგან ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული ნივთიერებების მოხმარება, მეთადონის ჰიდროქლორიდის ხსნართან ერთად, წარმოშობდა ჯანმრთელობის დაზიანების და ლეტალური შედეგის დადგომის საფრთხეს. ამასთან, N201-60/6 ბრძანება ითვალისწინებდა ალტერნატივებს, კერძოდ, გამოსაკვლევ პირისგან ბიოლოგიური მასალის (შარდის) აღებას მის მიერ შერჩეულ პირობებში - ვიდეოთვალის მეთვალყურეობით ან გამოკვლევაზე უფლებამოსილი (იმავე სქესის) პირის თანდასწრებით, მაშინ როდესაც მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის პაციენტები მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას თავად აერჩიათ მონიტორინგის რომელი მეთოდი იქნებოდა მათთვის ნაკლებად შემზღუდველი.

ცენტრმა ვერ დაასაბუთა ურინოტესტირების კაბინის ჩანაწერების 25 დღით შენახვის საჭიროება, მაშინ როდესაც N201-60/6 ბრძანება კვლევის შედეგის ეჭვქვეშ დაყენების შემთხვევაში ითვალისწინებდა გამოსაკვლევ პირის უფლებამოსილებას პირველი კვლევიდან 10 კალენდარული დღის ვადაში გადაემონშებინა მასალა.

ინსპექტორმა მიიჩნია, რომ ცენტრის მიერ მიღებული მონაცემთა უსაფრთხოების ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები არ იყო საკმარისი და წარმოშობდა მონაცემთა უკანონო და შემთხვევით დამმუშავების რისკებს. კერძოდ: ვიდეოჩანაწერების შემნახველ მონყობილობასთან დაკავშირებული მონიტორის განყოფილების უფროსის სამუშაო ოთახში, განსაკუთრებული იზოლირების გარეშე, ღიად განთავსება ქმნიდა ოთახში მყოფი სხვა პირებისთვის ვიდეოგამოსახულების ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას. ცენტრის განმარტება, რომ ურინოტესტირების დროს განყოფილების უფროსის სამუშაო ოთახი შიგნიდან იკეტებოდა, ინსპექტორმა არ მიიჩნია მონაცემთა დაცვის მყარ გარანტიად. ამასთან, ცენტრს არ ჰქონდა გამიჯნული ურინოტესტირების კაბინაში მიმდინარე ვიდეომონიტორინგის მასალები ცენტრის სხვა სივრცეში (დერეფნები, შესასვლელი) მიმდინარე მონიტორინგის მასალებისგან. ინსპექტორის შეფასებით, ურინოტესტირების კაბინაში ვიდეომონიტორინგი მოითხოვდა განსაკუთრებული დაცვის რეჟიმსა და უსაფრთხოების დაცვის უფრო მკაცრ პირობებს.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული უსაფრთხოების მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო ცენტრი ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად ამავე კანონის 46-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და სახდელის სახით შეეფარდა გაფრთხილება. ცენტრს დაევალა მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამის განხორციელების ფარგლებში პაციენტების მიერ ბიოლოგიური მასალის ჩაბარების პროცესის მონიტორინგის ალტერნატიული საშუალების შექმნა და მისი უშუალოდ გამოსაკვლევი პირის მიერ არჩევის შესაძლებლობის დანერგვა, ბიოლოგიური მასალის ჩაბარების პროცესის ვიდეომონიტორინგის სპეციალური წესების, ვიდეოსათვალთვალო სისტემაზე წვდომის უფლებამოსილებების, ეფექტური უსაფრთხოების ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების, მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმების, ჩანაწერების შენახვის კონკრეტული ვადების განსაზღვრა.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

ურინოტესტირების ან სხვა მსგავსი სამედიცინო გამოკვლევის ვიდეომონიტორინგი განსაკუთრებულ ჩარევას წარმოადგენს პაციენტის პირად ცხოვრებაში. ამ ფორმით მონაცემთა დამუშავება იძლევა პაციენტის სხეულსა და ქცევაზე დაკვირვების შესაძლებლობას, ხოლო ჩანაწერების უკანონო გამოყენება ან გამჟღავნება გამოუსწორებელი ზიანის მომტანი იქნება მონაცემთა სუბიექტისთვის. მსგავსი სამედიცინო გამოკვლევის დროს მნიშვნელოვანია პირს ჰქონდეს რამდენიმე ალტერნატივიდან მისთვის ნაკლებად შემზღუდველი მონიტორინგის მეთოდის არჩევის შესაძლებლობა (მაგალითად, ვიდეოსათვალთვალი თუ პროცესზე უფლებამოსილი პირის დაკვირვება). ამასთან, სამედიცინო დანესებულება ვალდებულია უზრუნველყოს მონაცემთა უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები, რაც სხვა საკითხებთან ერთად უნდა მოიცავდეს ჩანაწერებზე წვდომის უფლების მქონე პირთა ძალიან შეზღუდულ წრეს, მონაცემთა შენახვას მხოლოდ მინიმალური ვადით, მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირთა მკაცრ კონტროლს, რისკების ადეკვატურ შეფასებას და მონაცემთა უკანონო გამჟღავნებისგან დაცვის შესაბამის ზომებს.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, მე-6, მე-12 და მე-17 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაცია ჯანდაცვის სფეროში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.
3. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2019 წლის CM/Rec(2019)2 რეკომენდაცია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების დაცვის შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.

მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მოქალაქის შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება



ფაქტობრივი გარემოებები

2018 წლის 3 ოქტომბერს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს მიმართა დ.უ.-მ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობის (შემდგომში - გამგეობა) წარმომადგენლების მიერ მისი შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის პატრულ-ინსპექტორისთვის გამჟღავნების ფაქტზე რეაგირების თხოვნით. განმცხადებელმა ინსპექტორს წარუდგინა პატრულ-ინსპექტორის მიერ შედგენილი რეაგირების ოქმი, რომლითაც დასტურდებოდა გამგეობის თანამშრომლების მიერ განმცხადებლის შეზღუდული შესაძლებლობის დადგენის შესახებ მედიცინის ცენტრის შემოწმების აქტის ამონაწერის გამჟღავნების ფაქტი. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ აღნიშნული ცნობა გამგეობას თავად გადასცა მისთვის ბინის ქირის გადახდის მიზნით, თუმცა არ მიუნიჭებია ამ ცნობის მესამე პირისთვის გამჟღავნების უფლება.

განცხადების განხილვის ფარგლებში გამგეობამ მიუთითა, რომ დ.უ. რეგულარულად მიმართავდა გამგეობას სოციალური დახმარებისა და საცხოვრებელი ფართის ქირის გადახდის მოთხოვნით. გამგეობამ ინსპექტორის აპარატს წარუდგინა დ.უ.-ს 2018 წლის 4 მაისის და 8 ივნისის განცხადებები, რომლებსაც ერთოდა მედიცინის ცენტრის შემოწმების აქტის ამონაწერი და წერილობითი თანხმობა განცხადების განხილვის მიზნით პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე. გამგეობის განმარტებით, 2018 წლის 21 აგვისტოს ქირის შეწყვეტის გამო განმცხადებელი გამგეობის შენობის მისაღებში გამოხატავდა პროტესტს. შეიქმნა კონფლიქტური სიტუაცია და განმცხადებელმა თავად გამოიძახა საპატრულო პოლიცია. პატრულ-ინსპექტორს გამგეობის თანამშრომელმა აცნობა, რომ განმცხადებლის ემოციური მდგომარეობა განპირობებული იყო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით და საკითხის სრულყოფილი შესწავლის მიზნით გააცნო განმცხადებლის შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ ცნობა (მედიცინის ცენტრის შემოწმების აქტის ამონაწერი), რომელშიც მითითებული იყო შეზღუდვის სტატუსი, მიზეზი (დიაბეტი) და სტატუსის დადგენის ვადა (უვადოდ).

განცხადების განხილვის ფარგლებში გამოკითხულმა პატრულ-ინსპექტორმა დაადასტურა, რომ გამგეობის შენობაში გამოცხადდა დ.უ.-ს ინიციატივით. გამგეობის თანამშრომელმა პატრულ-ინსპექტორს განუცხადა, რომ ფსიქიურად შესაძლო დაავადებულმა განმცხადებელმა მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და გამგეობის წარმომადგენელმა გასაცნობად წარუდგინა მედიცინის ცენტრის შემოწმების აქტის ამონაწერი. პატრულ-ინსპექტორმა მიუთითა, რომ ამგვარი საჭიროების არარსებობის გამო, განმცხადებლის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია არ მოუთხოვია.

სამართლებრივი შეფასება

ინფორმაცია ფიზიკური პირის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის შესახებ დაკავშირებულია მის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან და წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ

მონაცემს. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების მესამე პირისთვის, მათ შორის სამართალდამცავი ორგანოსთვის გამჟღავნება დასაშვებია მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობით ან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სხვა კონკრეტულ შემთხვევაში, ასევე საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და დანაშაულის გამოძიების მიზნით მონაცემთა დამუშავებისას, თუ საკითხი პირდაპირ და სპეციალურად რეგულირდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით ან სხვა სპეციალური კანონით.

განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებელმა მის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული დოკუმენტი გამგეობას წარუდგინა ფინანსური დახმარების მისაღებად. ამდენად, განმცხადებელს არ განუცხადებია თანხმობა მისი მონაცემების სხვა მიზნებით მესამე პირებისათვის გამჟღავნებაზე. ამასთან, საქმის განხილვის პროცესში, მათ შორის პატრულ-ინსპექტორის განმარტების საფუძველზე, არ გამოიკვეთა მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი. შესაბამისად, 2018 წლის 21 აგვისტოს განმცხადებლის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გამჟღავნების სამართლებრივი საფუძველი, ასევე, კონკრეტული საჭიროება არ იყო სახეზე.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

ინსპექტორმა დაადგინა, რომ გამგეობამ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გაამჟღავნა განმცხადებლის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, თუმცა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო გამგეობას ვერ დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობას დაევალა იმგვარი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფდა გამგეობაში დაცული განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დაცვას შემთხვევითი/უკანონო გამჟღავნებისაგან.


რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

მუნიციპალიტეტები და სხვა საჯარო დაწესებულებები, უფლებამოსილების განხორციელებისა და მოქალაქეთა განცხადებებზე რეაგირების მიზნით კანონიერად ფლობენ და ამუშავებენ მოცულობით ინფორმაციას მოქალაქეთა ჯანმრთელობის, სოციალური თუ ფინანსური მდგომარეობის შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ ეს დაწესებულებები ნებისმიერი სახის მონაცემს ამუშავებდნენ მხოლოდ კანონიერი და კონკრეტული მიზნებით. არაუფლებამოსილი პირებისთვის მონაცემების გამჟღავნება, მითუმეტეს ყოველგვარი დასაბუთებისა და აუცილებლობის გარეშე, დაუშვებელია. როგორც საჯარო დაწესებულების რეპუტაციის, ასევე კონკრეტული მოქალაქის ინტერესების დაცვისთვის, აუცილებელია დაწესებულებებმა გააძლიერონ მონაცემთა დაცვის ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები და მათი შესრულების კონტროლის მექანიზმები.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-6 და მე-17 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.



სამართალდამცავი ორგანოებისთვის სამედიცინო დოკუმენტაციის გადაცემა



ფაქტობრივი გარემოებები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ინიციატივით 2018 წელს ერთ-ერთი კლინიკის რეგიონული სამედიცინო ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კომპლექსური შემოწმების დროს, სამედიცინო დოკუმენტაციის სამართალდამცავი ორგანოებისათვის გადაცემის საკითხის შესწავლისას დადგინდა, რომ სამართალდამცავი ორგანოების მიმართვის საპასუხოდ ცენტრმა 2017 წლის 3, 5, 6, 10 აპრილს, 11 და 18 ივლისს პაციენტთა თანხმობის საფუძველზე გასცა სამედიცინო დოკუმენტაცია.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის შიდა რეგულაციების თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე და 120-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებისა და საქართველოს მთავარი პროკურატურის თანამშრომლებისთვის პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაცია უნდა გაცემულიყო მხოლოდ სასამართლოს განჩინების ან გადაუდებელი აუცილებლობისას შესაბამისი დადგენილების საფუძველზე, 2016 წლის აპრილიდან ცენტრი იყენებდა სტანდარტული წერილობითი თანხმობის ფორმას - „თანხმობა პერსონალური მონაცემების გაცემაზე“. აღნიშნულ ფორმაში მითითებული იყო პაციენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და შემდეგი ტექსტი: *პაციენტი თანახმაა, მოთხოვნის შემთხვევაში, ცენტრმა გადასცეს სამართალდამცავ ორგანოებს მის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაცია*. ფორმა ითვალისწინებდა თანხმობის ნიშნად პაციენტის ხელმოწერას. ამასთან, უმრავლეს შემთხვევაში თანხმობის ფორმები არ იყო დათარიღებული. აღნიშნული ფორმის შევსება, როგორც წესი, ხდებოდა ცენტრში პაციენტის განთავსებისას, მაგალითად, მათი შევსება გათვალისწინებული იყო ავტოსაგზაო, სამართალდარღვევის ან დანაშაულის ნიშნების შემცველი სხვა შემთხვევის შედეგად ცენტრში მოთავსებული პაციენტებისთვის, ვინაიდან, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან უმეტესად სწორედ ასეთ შემთხვევებში ხდებოდა პაციენტების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა ცენტრიდან. ცენტრის განმარტებით, თანხმობის ფორმაზე ხელის მოწერა არ ატარებდა სავალდებულო ხასიათს, თუმცა, პრაქტიკაში ფორმის შევსებასა და თანხმობაზე უარი ჯერ არავის ჰქონდა გაცხადებული.

სამართლებრივი შეფასება

პირის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემია, რომლის დამუშავება ამავე კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად დასაშვებია მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობით ან ამავე პუნქტით გათვალისწინებულ კონკრეტულ შემთხვევებში. ამავე კანონის მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი, მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა არის მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესა-

ხებ მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე გამოხატული ნებაყოფლობითი თანხმობა, რომელსაც მონაცემთა სუბიექტმა ხელი მოაწერა ან სხვაგვარად აღნიშნა წერილობით ან მასთან გათანაბრებული ფორმით. ამასთან, კანონის მე-4 მუხლის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტები პირდაპირ ავალდებულებს მონაცემთა დამუშავებელს მხოლოდ კონკრეტული და მკაფიოდ განსაზღვრული მიზნით დაამუშაოს მონაცემები, ხოლო, მიზნის მიღწევის შემდგომ დაბლოკოს, წაშალოს, გაანადგუროს ან შეინახოს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ასევე კრძალავს მონაცემთა შემდგომ დამუშავებას სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით.

ინსპექტორმა მიიჩნია, რომ სავარაუდო საჭიროებისთვის და ისიც სხვა მონაცემთა დამუშავების მიზნებისთვის მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის მოპოვება გაუმართლებელი იყო, არ შეესაბამებოდა მონაცემთა დამუშავების კანონით დადგენილ პრინციპებს და არ პასუხობდა კანონის მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს, ამასთანავე, როდესაც სისხლის სამართლის საქმის მიზნებისთვის მონაცემების დამუშავების, მათ შორის, მოპოვების სპეციალური წესები გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

შემომების შედეგად დადგინდა, რომ მონაცემების სამართალდამცავი ორგანოსთვის გადაცემა განხორციელდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, თუმცა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, დარღვევის ხანდაზმულობიდან გამომდინარე, ცენტრს ამ დარღვევისთვის არ დაეკისრა პასუხისმგებლობა. ცენტრი კომპლექსური შემომების დროს გამოვლენილი კანონის მე-17 და მე-18 მუხლებით გათვალისწინებული მონაცემთა უსაფრთხოებისა და მონაცემთა გამჟღავნების ფაქტების აღრიცხვასთან დაკავშირებული წესების დარღვევისთვის ცნობილი იქნა სამართალდამრღვევად კანონის 46-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და შეეფარდა გაფრთხილება. ცენტრს ასევე დაევალა სამართალდამცავი ორგანოსთვის პაციენტის პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის გადაცემა მხოლოდ კონკრეტული კანონიერი მიზნით და კანონმდებლობით დადგენილი წესით.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

იმისათვის, რომ თანხმობა განვიხილოთ მონაცემთა დამუშავების კანონიერ საფუძველად, აუცილებელია მონაცემთა სუბიექტს წინასწარ მიეწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების კონკრეტული მიზნების შესახებ. თანხმობა არ მიიჩნევა ნებაყოფლობითად, თუ მონაცემთა სუბიექტს არ აქვს რეალური ან თავისუფალი არჩევანი. მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გაითხოვოს თანხმობა და ის უნდა იყოს ინფორმირებული ამ უფლების შესახებ, ხოლო თანხმობის გამოთხოვა ისეთივე მარტივი უნდა იყოს, როგორც მისი გაცემა. შესაბამისად, ორგანიზაციებს ევალებათ განსაზღვრონ როგორც თანხმობის გაცემის, ასევე მისი გამოთხოვის პროცედურა და მექანიზმები. ამასთან, წერილობითი თანხმობა აუცილებლად უნდა შეიცავდეს თარიღს.

რაც შეეხება სამართალდამცავი ორგანოებისთვის საგამოძიებო მიზნებით მონაცემთა გადაცემას, აღნიშნული საკითხი სპეციალურად რეგულირდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით. შესაბამისად, აუცილებელია მონაცემთა გადაცემა მოხდეს სწორედ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით და არა მონაცემთა სუბიექტის თანხმობის საფუძველზე.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-4 და მე-6 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. საქართველოს კანონის „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ 112-ე და 120-ე მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
3. მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (EU) 2016/679 პრეამბულის 32-ე, 33-ე, 42-ე, 43-ე, 65-ე პუნქტები, მე-4 მუხლის მე-11 პუნქტი, მე-7, მე-8 და მე-9 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
4. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაცია ჯანდაცვის სფეროში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.



პაციენტის შვილისთვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა №100-ის გადაცემა



ფაქტობრივი გარემოებები

2018 წლის 17 იანვარს მოქალაქე ნ.ტ.-მ განცხადებით მიმართა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ერთ-ერთი კლინიკის მიერ მისი პერსონალური მონაცემების გამჟღავნების კანონიერების შესწავლის თხოვნით. განმცხადებლის განმარტებით, იგი 2016 წლის აგვისტოში იმყოფებოდა კლინიკაში შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით. 2017 წლის 4 დეკემბერს, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მისთვის ცნობილი გახდა, რომ კლინიკამ მისი თანხმობის გარეშე გადასცა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა №100 მის შვილს ბ.დ.-ს, მაშინ როდესაც შვილი არ ახორციელებდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით განმცხადებლის მხარდაჭერას და მას არც ნ.ტ.-ს მიერ მინიჭებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ჰქონდა.

კლინიკამ დაადასტურა 2017 წლის 9 ნოემბერს განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი ფორმა №100-ის ნ.ტ.-ს შვილზე გაცემის ფაქტი და მიუთითა, რომ ვინაიდან ხშირად პაციენტები ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა ლეგიტიმური მიზეზის გამო თავად ვერ ახერხებენ დოკუმენტაციის გატანას, კლინიკაში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სამედიცინო მომსახურების და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მისაწოდებლად, კლინიკა პაციენტის მდგომარეობის ამსახველ დოკუმენტაციას გადასცემდა პაციენტის კანონიერ წარმომადგენელს.

განცხადების განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ კლინიკას განსხვავებული მიდგომები ჰქონდა ამბულატორიულ და სტაციონარულ დოკუმენტაციასთან მიმართებით. კერძოდ, სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის შესამე პირებზე გადაცემა ხდებოდა წერილობითი განცხადების საფუძველზე და მონაცემების გადაცემამდე კლინიკა სატელეფონო ზარის საშუალებით უშუალოდ პაციენტთან აზუსტებდა, თუ რატომ ვერ ახერხებდა თავად სამედიცინო დოკუმენტაციის გატანას. სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის გაცემისას კლინიკის კანცელარიაში აღინიშნებოდა სამედიცინო დოკუმენტაციის გამტანი პირი და გატანილი სამედიცინო დოკუმენტაციის ტიპი. ხოლო, ამბულატორიული დოკუმენტაციის გაცემა ხდებოდა ზეპირი მიმართვის საფუძველზე და ჟურნალში აღირიცხებოდა შემდეგი ინფორმაცია: დოკუმენტის (გაცემული ფორმა №100-ის) ნომერი; კლინიკიდან დოკუმენტის გაცემის თარიღი; პაციენტის სახელი და გვარი; განყოფილება, რომელსაც ეკუთვნოდა დოკუმენტი; ექიმი, რომელმაც მოამზადა დოკუმენტი. რამდენადაც ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა №100 წარმომადგენდა ამბულატორიული ტიპის დოკუმენტს, მისი გადაცემა ბ.დ.-სთვის განხორციელდა მისი ზეპირსიტყვიერი მიმართვის საფუძველზე, აღნიშნული წესით.

სამართლებრივი შეფასება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მაშინაც კი, როდესაც არსებობს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი, მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე დაუშვებელია მონაცემთა გასაჯაროება და მესამე პირისთვის გამჟღავნება. ამასთან, ამავე კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავებაზე მონაცემთა სუბიექტის თანხმობის არსებობასთან დაკავშირებით დავის წარმოშობის შემთხვევაში მონაცემთა დამუშავებელს ეკისრება მონაცემთა სუბიექტის თანხმობის ფაქტის არსებობის მტკიცების ტვირთი.

ინსპექტორმა ასევე იხელმძღვანელა „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის მე-4 მუხლის „ვ“ პუნქტის თანახმად, პაციენტის კანონიერი წარმომადგენელი არის პაციენტის მეურვე ან მისი ნდობით აღჭურვილი პირი. აღნიშნული კანონის მე-17 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, პაციენტს, ხოლო მისი თანხმობის ან მცირეწლოვნების შემთხვევაში – პაციენტის ნათესავს და კანონიერ წარმომადგენელს, უფლება აქვთ გაეცნონ სამედიცინო ჩანაწერებს და მოითხოვონ პაციენტის შესახებ არსებულ ინფორმაციაში შესწორების შეტანა, ასევე, სამედიცინო ჩანაწერების ნებისმიერი ნაწილის ასლი. სამედიცინო ჩანაწერების გაცნობის, აგრეთვე მათი ასლის მიღების შესახებ მოთხოვნა წერილობით უნდა წარედგინოს სამედიცინო დაწესებულებას. გარდა ამისა, ამავე კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, ქმედუნარიან პაციენტს უფლება აქვს გადაწყვიტოს, მიიღოს თუ არა ვინმემ ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ხოლო დადებითი გადაწყვეტილების მიღებისას მანვე უნდა დაასახელოს ის პირი, რომელსაც ეს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს. პაციენტის გადაწყვეტილება და პირის ვინაობა ფიქსირდება სამედიცინო დოკუმენტაციაში. „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის თანახმად, სამედიცინო მომსახურების გამწვევი ვალდებულია დაიცვას პაციენტის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობა.

ინსპექტორმა დაადგინა, რომ კლინიკამ განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი ფორმა №100 ბ.დ.-ს გადასცა განმცხადებლის წერილობითი თანხმობის გარეშე, თანაც ისე, რომ არ მოუთხოვია შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, მათ შორის, არც ბ.დ.-სა და განმცხადებლის ნათესაური კავშირის ან მისი განმცხადებლის მხარდამჭერად დანიშვნის დამადასტურებელი მტკიცებულება. ამასთან, საქმის განხილვის ფარგლებში არ გამოიკვეთა კლინიკის მიერ განმცხადებლის მონაცემთა გამჟღავნების სხვა კანონიერი საფუძველი.

ინსპექტორმა ასევე მიიჩნია, რომ კლინიკამ ვერ უზრუნველყო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 და მე-18 მუხლებით გათვალისწინებული უსაფრთხოების ზომების დაცვისა და მონაცემთა აღრიცხვის ვალდებულებების შესრულება. კერძოდ, კლინიკას წერილობით არ ჰქონდა განსაზღვრული სამედიცინო დოკუმენტაციის გაცემის წესი. ამასთან, არც სტაციონარული და არც ამბულატორიული დოკუმენტაციის გაცემისას არ ახდენდა პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემცველი დოკუმენტის გაცემის სამართლებრივი საფუძვლის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციას, ამბულატორიული დოკუმენტაციის გაცემისას კი - დოკუმენტის მიმღები პირის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვას, როგორც მოხდა განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი ფორმა №100-ის გაცემის შემთხვევაში.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრული საფუძვლის გარეშე მონაცემთა გამჟღავნებისთვის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობიდან გამომდინარე, კლინიკას არ დაეკისრა პასუხისმგებლობა, თუმცა ამავე კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესის დარღვევის გამო კლინიკა ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და შეეფარდა გაფრთხილება.

კლინიკას ასევე დაევალა: უზრუნველყო პაციენტების პერსონალური მონაცემის შემცველი დოკუმენტაციის/ინფორმაციის გამჟღავნება მხოლოდ კანონით დადგენილი სამართლებრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში; პაციენტების პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტაციის/ინფორმაციის მესამე პირებისთვის გადაცემის სტანდარტული წესისა და პროცედურის შემუშავება და პაციენტების მონაცემთა გამჟღავნებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების (კერძოდ, ვისთვის, რა მონაცემები, როდის და რა სამართლებრივი საფუძვლით იქნა გამჟღავნებული) აღრიცხვის მექანიზმების დანერგვა.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

სამედიცინო დაწესებულებებში არსებული მონაცემთა გამჟღავნების პრაქტიკა უნდა შეესაბამებოდეს როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობას, ასევე ჯანდაცვისა და პაციენტის უფლებების სფეროში დარგობრივ კანონმდებლობას. განსხვავებული და თვითნებური მიდგომები სამედიცინო დოკუმენტაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით დაუშვებელია, რადგან პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია, იქნება ეს სტაციონარული თუ ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაცია, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს მიეკუთვნება და მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტაციის წარმოების წესი შეიძლება იყოს განსხვავებული, მათი კონფიდენციალურობისა და მათ მიმართ მიღებული უსაფრთხოების ზომები უნდა იყოს თანაბარი და ეფექტური.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-6, მე-17, მე-18 და 26-ე მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, მე-17, 21-ე და 27-ე მუხლები - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16978?publication=11>.
3. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაცია ჯანდაცვის სფეროში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.

სამართალდამცავი ორგანოს ვებგვერდზე სამედიცინო ინფორმაციის გასაჯაროება



ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - შსს) ვებგვერდზე პირის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების გასაჯაროების ფაქტზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ინიციატივით 2017 წლის ბოლოს ჩატარდა შსს-ს შემოწმება.

შსს-ს მიერ ვებგვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნებას წინ უძღოდა მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია, ერთ-ერთ დაბაში გ.ღ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის გამო, მისი ნათესავის ქ.თ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შესახებ. მედიასაშუალებებში ქ.თ.-ს სახელი და გვარი, ისევე როგორც გ.ღ.-ს გვარი სრულად იყო გასაჯაროებული.

შსს-ს მიერ ვებგვერდზე გავრცელებული ინფორმაცია ეხებოდა სწორედ მედიასაშუალებებით გავრცელებულ ჩხრეკასთან დაკავშირებით შსს-ს გენერალური ინსპექციის რეაგირებას და შეიცავდა შემდეგ ტექსტს: პირველადი ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს გ.ღ.-ს ნათესავის ქ.თ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობა დაკავშირებულია ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებასთან, ამ ეტაპზე არ შეიძლება ჩაითვალოს რელევანტურად, რადგან სამედიცინო კვლევებით დადასტურებულია, რომ მას თავის ტვინში აღენიშნება მრავლობითი სიმსივნური წარმონაქმნი. მისი ამჟამინდელი მდგომარეობა განვითარებულია თავის ტვინში სიმსივნის ზრდით, რამაც გამოიწვია შემდგომი გართულებები [...] რისი დაკავშირებაც საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობასთან შეუძლებელია.

შემოწმების ფარგლებში, შსს-მ განმარტა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 თებერვლის №123 ბრძანებით დამტკიცებული შსს-ს გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) დებულების (შემდგომში - დებულება) შესაბამისად, გენერალურმა ინსპექციამ სამსახურებრივი შემოწმებისას წერილით მოსთხოვა იმ სამედიცინო დაწესებულებას, სადაც ქ.თ. გადიოდა მკურნალობას, კონკრეტული ახსნა-განმარტება ან ისეთი ინფორმაცია, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ქ.თ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების რეალური მიზეზის დადგენა. სამედიცინო დაწესებულებამ უარი განაცხადა ახსნა-განმარტებაზე და შსს-ს გადასცა მხოლოდ პაციენტის გასინჯვის ფურცელი. რამდენადაც გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად სამინისტროს მოსამსახურეთა მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ფაქტი არ დადასტურდა, უსაფუძვლო ბრალდებების გასაქარწყლებლად სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება გაესაჯაროებინა ქ.თ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, ვინაიდან, სხვა ფორმით სამინისტროს მხრიდან დასახული მიზანი ვერ იქნებოდა მიღწეული. ამასთან, ვებგვერდზე ინფორმაცია გამოქვეყნდა იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით - სახელებისა და გვარების ინიციალებით. შესაბამისად, შსს-ს არ განუხორციელებია პერსონალური მონაცემების დამუშავება, სამედიცინო დოკუმენტი (ქ.თ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ

ინფორმაციის ამსახველი გასინჯვის ფურცელი) კი ინახებოდა გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემონმების საქმის მასალებში.

სამართლებრივი შეფასება

ინსპექტორის განმარტებით, საქართველოს კონსტიტუცია და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევას ლეგიტიმურად მიიჩნევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩარევა განხორციელდება კანონით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას და დადგენილი წესით, მათ შორის როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) პირველი მუხლის თანახმად, კანონის მიზანია, პერსონალური მონაცემის დამუშავებისას უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა. კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პერსონალურ მონაცემს წარმოადგენს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით. ამავე მუხლის „რ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემთა დეპერსონალიზაცია წარმოადგენს მონაცემთა იმგვარ მოდიფიკაციას, რაც შეუძლებელს ხდის მონაცემთა სუბიექტთან მათ დაკავშირებას ან ასეთი კავშირის დადგენა არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას, ხარჯებსა და დროს საჭიროებს, ხოლო, „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მონაცემი რომელიც დაკავშირებულია პირის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს. კანონის მე-6 მუხლის მიხედვით, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება შესაძლებელია მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობით ან ამავე მუხლით დადგენილ კონკრეტულ შემთხვევებში. ამ მუხლის საფუძველზე მონაცემთა დამუშავების შემთხვევაში დაუშვებელია მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე მონაცემთა გასაჯაროება და მესამე პირისთვის გამჟღავნება.

ინსპექტორის განმარტებით, ინფორმაციის პერსონალურ მონაცემად მისაჩნევად აუცილებელი არ არის მონაცემი იძლეოდეს მონაცემთა სუბიექტის პირდაპირი და ზუსტი იდენტიფიცირების საშუალებას. საკმარისია განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე არსებობდეს კონკრეტული პირის ვინაობის დადგენის შესაძლებლობა. ინსპექტორმა შსს-ს მიერ ინფორმაციის ინიციალებით გავრცელება არ მიიჩნია მონაცემების დეპერსონალიზაციად, იმის გათვალისწინებით, რომ განცხადებაში მოცემული სხვა ფაქტობრივი გარემოებები და მედიასივრცეში უკვე გავრცელებული ქ.თ.-ს სახელი და გვარი, ნებისმიერ მკითხველს საშუალებას აძლევდა მარტივად, ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე დაეკავშირებინა სამინისტროს განცხადება ქ.თ.-სთან. ამასთან, შსს-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებული განცხადება, მედიით გავრცელებული ინფორმაციისგან განსხვავებით, შეიცავდა ქ.თ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ დეტალურ ინფორმაციას.

ინსპექტორმა აღნიშნა, რომ მონაცემთა დამუშავების მიმართ საჯაროდ წარდგენილი ბრალდებებისა და რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა შესაძლებელია ემსახუროდეს

მის კანონიერ ინტერესებს, თუმცა, აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებელმა უზრუნველყოს სამართლიანი ბალანსი საკუთარ ინტერესებსა და მონაცემთა სუბიექტის პირადი ცხოვრების უფლების ხელშეუხებლობას შორის, რაც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლებისა და ამავე კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული პრინციპების დაცვით მონაცემთა დამმუშავებას გულისხმობს.

რაც შეეხება სამედიცინო დაწესებულებიდან ინფორმაციის გამოთხოვას და შენახვას, მიუხედავად იმისა, რომ დებულების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებდა სამსახურებრივი შემონმების ჩატარებისას გენერალური ინსპექციის მოსამსახურის უფლებას - მოითხოვოს და დაუყოვნებლივ მიიღოს (მათ შორის, ადგილზე გაცნობით) სამსახურებრივი შემონმების ჩასატარებლად აუცილებელი ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამმუშავებას დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამავე კანონით გათვალისწინებული საფუძველი, ან თუ საკითხი პირდაპირ და სპეციალურად რეგულირდება სპეციალური კანონით და მონაცემთა დამმუშავების მიზანს წარმოადგენს საზოგადოებრივი უსაფრთხოება, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები და დანაშაულის გამოძიება. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, საქართველოს საკანონმდებლო აქტებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ. ვინაიდან გენერალური ინსპექციის დებულება წარმოადგენდა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, ინსპექტორის განმარტებით, მას ვერ ექნებოდა უპირატესი ძალა საქართველოს საკანონმდებლო აქტის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიმართ. შესაბამისად, სამედიცინო დაწესებულებიდან გასინჯვის ფურცლის მოპოვება და გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემონმების საქმის მასალებში შენახვა შეფასდა ასევე კანონთან შეუსაბამო ქმედებად.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, დარღვევის ხანდაზმულობიდან გამომდინარე, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე მონაცემთა დამმუშავების გამო შსს-ს ვერ დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, თუმცა მას დაევალა 7 დღის ვადაში უზრუნველყო ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში ქ.თ.-ს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების შემცველი ინფორმაციის წაშლა და მისი გასინჯვის ფურცლის განადგურება.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

საზოგადოების ინფორმირების მიზნით გასავრცელებელ განცხადებებსა თუ კომენტარებში ფიზიკური პირების ინიციალების მითითების დროს, განსაკუთრებით თუ განცხადების შინაარსი ეხება პირების ჯანმრთელობის მდგომარეობას ან სხვა მგრძნობიარე საკითხებს, მონაცემთა დამმუშავებელი ორგანიზაციები უნდა დარწმუნდნენ, რომ როგორც ინიციალებით, ასევე საზოგადოებისთვის უკვე ხელმისაწვდომი ინფორმაციით შეუძლებელია კონკრეტული სუბიექტის იდენტიფიცირება ან მასთან გავრცელებული ინფორმაციის დაკავშირება არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას, ხარჯებს ან/და დროს საჭიროებს. ამისთვის, მათ წინასწარ უნდა შეამოწმონ ხომ არ არის საჭაროდ ხელმისაწვდომი, მათ შორის მედიასაშუალებებით ისეთი ინფორმაცია, რომლითაც

შესაძლებელია კონკრეტული მონაცემთა სუბიექტის პირდაპირ ან არაპირდაპირ იდენტიფიცირება, ასეთი შესაძლებლობის შემთხვევაში კი, ორგანიზაციებმა არ უნდა გაავრცელონ მონაცემთა სუბიექტის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები ან ისეთი ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მონაცემთა სუბიექტს.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-3, მე-4 და მე-6 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. ევროკავშირის 2016 წლის დირექტივა საპოლიციო სექტორში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ - პრეამბულის 37-ე, 50-ე, 51-ე პუნქტები, მე-4, მე-10 და მე-20 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.



კაციენტთან პირადი კომუნიკაციის კონფიდენციალურობის დარღვევა



ფაქტობრივი გარემოებები

2018 წლის 23 აპრილს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს განცხადებით მიმართა ი.კ.-მ. განმცხადებელ - ი.კ.-ს მითითებით, ერთ-ერთ დერმატოლოგიურ კლინიკაში (შემდგომში - კლინიკა) შეძენილი სამკურნალო პროდუქციის გამოყენებამდე და გამოყენების შემდგომ გამოვლენილ უკუჩვენებებთან დაკავშირებით 2018 წლის მარტ-აპრილში მიწერა კლინიკას სოციალურ ქსელ „Facebook“-ის მეშვეობით (მესამე პირთათვის დახურული ფორმით). განმცხადებლის განმარტებით, 2018 წლის 13 აპრილს კლინიკის ხელმძღვანელმა სოციალური ქსელის ერთ-ერთ ჯგუფში სრულად გამოაქვეყნა ზემოაღნიშნული მიმონწერა განმცხადებლის სახელის და გვარის მითითებით. მიმონწერა შეიცავდა ი.კ.-ს სამედიცინო დიაგნოზს (აკნე), პროდუქციის გამოყენების შედეგად მის სახეზე გამოვლენილ უკუჩვენებებს (ლაქები, შესიება, კანის გაუხეშება, წვა) და ყოველდღიური ცხოვრების (დავდივარ აბანოში, მიწვევს ყოველდღე მაკიაჟის გაკეთება) შესახებ ინფორმაციას. განცხადებას ერთოდა მიმონწერის გასაჯაროების ამსახველი ე.წ. „სქრინშოტები“, საიდანაც დასტურდებოდა, როგორც მიმონწერის გასაჯაროების ფაქტი, ასევე კლინიკის დირექტორის მოტივაცია: „... მგონი, აღარავინაა, ვინც არ იცის ი.კ.-ს შესახებ, რომელმაც ბრალი დაგვდო იმაში, რომ კონსულტაციაზე მე(!) არ გავაფრთხილე გვერდითი მოვლენების შესახებ. [...] ახლა, რადგან ამხელა ამბავი ატეხა გავაკეთე ის, რაც თავიდანვე უნდა გამეკეთებინა, ჩავხედე მიმონწერას...“.

განცხადების განხილვის ფარგლებში კლინიკამ დაადასტურა კომუნიკაციის გასაჯაროების ფაქტი და მიუთითა, რომ მისი პროდუქციით კმაყოფილი მომხმარებლების სიმრავლის გამო, კლინიკა გახდა კონკურენტი კლინიკების ინტრიგების სამიზნე და განმცხადებელიც კლინიკის იმიჯის შელახვას ცდილობდა. კლინიკის მითითებით, დირექტორის მიერ ინფორმაციის გამოქვეყნება ემსახურებოდა განმცხადებლის მხილებას, რათა დაეცვა კლინიკის და მისი დირექტორის რეპუტაცია. გასაჯაროება განხორციელდა მას შემდეგ, რაც ი.კ.-მ ამავე ჯგუფის წევრებისთვის თავად გახადა ხელმისაწვდომი საკუთარი დიაგნოზი (ალერგია) და გვერდითი ჩვენებები (თვალის შეშუპება, წვა). ამასთან, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე განმცხადებელი სოციალურ ქსელში საჯაროდ სდებდა ბრალს დირექტორს პრეპარატის შესაძლო გვერდით მოვლენებზე ინფორმაციის მიუწოდებლობაში, რის დასტურადაც კლინიკამ წარმოადგინა ი.კ.-ს კომენტარების ე.წ. „სქრინშოტი“.

განმცხადებელმა დაადასტურა პროდუქციის გამოყენების შედეგად გარკვეულ უკუჩვენებებზე რჩევის მიღების მიზნით 2018 წლის 13 აპრილამდე ჯგუფში ე.წ. პოსტისა და კომენტარების დაწერის ფაქტი, თუმცა მიუთითა, რომ რჩევების მიღების შემდეგ ე.წ. პოსტი თავად წაშალა.

სამართლებრივი შეფასება

რამდენადაც მიმონწერის შინაარსის და ინფორმაციის გასაჯაროება განხორციელდა კლინიკის მოქმედი დირექტორის მიერ მისი სამეწარმეო და პროფესიული საქმიანობის ფარგლებში, ე.წ.

პოსტის სოციალურ ქსელში განთავსება სცდებოდა დირექტორის პირადი მიზნებით ინფორმაციის დამუშავებას და იგი მიზნად ისახავდა პირთა ფართო წრისადმი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, ინსპექტორმა მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა კლინიკის მიერ განმცხადებლის მონაცემების, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებას.

კლინიკა ვალდებული იყო მონაცემები დაემუშავებინა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დაცვით. აღნიშნული კანონის მე-5 მუხლის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების, ასევე, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა დამუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი ან/და მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა, ან თუ მონაცემთა სუბიექტმა საჯარო გახადა მის შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მათი გამოყენების აშკარა აკრძალვის გარეშე.

მოცემულ შემთხვევაში, სოციალური ქსელის ჯგუფში არსებული მიმონერით დადგინდა, რომ განმცხადებელმა 2018 წლის 13 აპრილამდე ამავე ჯგუფში თავად გაასაჯაროვა ინფორმაცია კლინიკის პროდუქციის მიღების, მისი დიაგნოზის, გარკვეული უკუჩვენებების და კლინიკის მხრიდან ინფორმაციის მიუწოდებლობაზე.

ინსპექტორის შეფასებით, რამდენადაც სოციალური ქსელის ჯგუფის წევრებს წარმოადგენდნენ კლინიკის მომხმარებლები და მისი პროდუქციით დაინტერესებული პირები, კლინიკის ინტერესი - განმცხადებლის საჯარო პროტესტის გასაქარწყლებლად ამავე სივრცეში მოეხდინა საკუთარი რეპუტაციის დაცვა, შესაძლოა მართლაც ყოფილიყო ლეგიტიმური ინტერესის შემცველი. თუმცა, ამგვარი ინტერესის არსებობის შემთხვევაშიც, მონაცემთა დამუშავების კანონიერების უზრუნველსაყოფად, კლინიკას უნდა გაეთვალისწინებინა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრული პრინციპები.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების მიხედვით, მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით. მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევადაც მუშავდება ისინი. განსახილველ შემთხვევაში, კლინიკამ მიმონერა და განმცხადებლის პერსონალური მონაცემები ჯგუფის წევრებისთვის ხელმისაწვდომი გახადა სრული მოცულობით, მიუხედავად იმისა, რომ მიმონერის ძირითადი ნაწილი, რომელიც მათ შორის შეიცავდა ი.კ.-ს სახეზე გამოხატული უკუჩვენებების დეტალურ აღწერას, რაც განმცხადებელს თავად არ გაუხდია ხელმისაწვდომი, მისი კანონიერი ინტერესის (მომხმარებლისთვის დაემტკიცებინა, რომ განმცხადებელი წინასწარ იყო ინფორმირებული პროდუქტის შესაძლო უკუჩვენებების შესახებ) დაკმაყოფილებას ვერ უზრუნველყოფდა. ამასთან, ი.კ.-სთან მიმონერა შედგა დახურული საკომუნიკაციო საშუალებით და განმცხადებელს ჰქონდა ლეგიტიმური მოლოდინი, რომ მის მიერ გამჟღავნებული მონაცემები დაცული იქნებოდა მესამე პირთათვის გამხელისაგან. კლინიკამ ვერ დაასაბუთა მიმონერაში

მითითებული განმცხადებლის პერსონალური მონაცემების სრული მოცულობით გამოქვეყნების კონკრეტული კანონიერი მიზანი, ასევე მისი საქმიანი რეპუტაციის დაცვის მიზნით მონაცემთა სრული მოცულობით გასაჯაროების საჭიროება.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პრინციპების დარღვევით მონაცემთა დამუშავების გამო, კლინიკა ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და შეეფარდა ჯარიმა. მას ასევე დაევალა განმცხადებლის პერსონალური მონაცემების შემცველი მიმოწერის წაშლა სოციალური ქსელიდან.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

მომხმარებლის მიერ საჯაროდ გამოთქმული პრეტენზიის საპასუხოდ, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მონაცემთა სუბიექტმა თავად გახადა მის შესახებ გარკვეული მონაცემები ხელმისაწვდომი, მონაცემთა დამმუშავებლებმა საკუთარი ინტერესებისა და რეპუტაციის დაცვა უნდა უზრუნველყონ მხოლოდ კანონიერი მიზნის ადეკვატური და პროპორციული მოცულობით მონაცემთა დამუშავებით. დაუშვებელია მომხმარებელთან პირადი კომუნიკაციის გასაჯაროება, განსაკუთრებით თუ მასში მოცემულია ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რამდენადაც კომუნიკაციის კონფიდენციალურობა დაცულია კანონით და მონაცემთა სუბიექტს აქვს ლეგიტიმური მოლოდინი, რომ ის არ გახდება მესამე პირებისთვის ხელმისაწვდომი.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-4 და მე-6 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (EU) 2016/679 პრეამბულის მე-4, 39-ე, 53-ე პუნქტები, მე-5, მე-6 და მე-9 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
3. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაცია ჯანდაცვის სფეროში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.

რეცეპტში გახვეული თონის პური



ფაქტობრივი გარემოებები

2018 წლის 18 აპრილს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ერთ-ერთმა სადაზღვევო კომპანიამ (შემდგომში - კომპანია) აცნობა, რომ 16 აპრილს სოციალურ ქსელ „Facebook“-ის გვერდზე ერთ-ერთმა მოქალაქემ გაავრცელა ფოტო და შეტყობინება, რომ მის მიერ სოფელ ნატახტარში შეძენილი თონის პური გახვეული იყო კომპანიის მიერ გაცემულ რეცეპტში. კომპანიამ შიდა მოკვლევის საფუძველზე დაადგინა, რომ ფოტოზე ასახული 2017 წლის 18 დეკემბერს გაცემული მიმართვა/რეცეპტი პაციენტმა ლ.ც.-მ იმავე დღეს წარადგინა ქ. ჭიათურაში მდებარე ერთ-ერთი სააფთიაქო ქსელის (შემდგომში - სააფთიაქო ქსელი) აფთიაქში, რის დასტურადაც კომპანიამ წარმოადგინა სააფთიაქო ქსელის ანგარიშფაქტურა, რომელშიც მითითებული იყო მიმართვა და მისი გამოყენების თარიღი. კომპანიის მითითებით, რეცეპტის გამოყენების შემთხვევაში აფთიაქი ვალდებული იყო დაეტოვებინა მიმართვა/რეცეპტი.

კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო სააფთიაქო ქსელის შემოწმება. შემოწმების ფარგლებში სააფთიაქო ქსელმა დაადასტურა 2017 წლის 18 დეკემბერს პაციენტ ლ.ც.-ს სახელზე გაცემული მიმართვის/რეცეპტის საფუძველზე ქ. ჭიათურაში მდებარე აფთიაქში მედიკამენტების გაცემის ფაქტი. მან ასევე მიუთითა, რომ ფარმაცევტმა ელექტრონულ პროგრამაში შეიყვანა მიმართვის ნომერი, თარიღი, პაციენტის მონაცემები, პოლისის ნომერი, გაცემული მედიკამენტი და აფთიაქში შეინახა დოკუმენტის ორიგინალი, რომელზეც წვდომა ჰქონდა უშუალოდ ფარმაცევტს და აფთიაქის მენეჯერს. რამდენადაც მიმართვის შენახვის მიზანს რეცეპტის განმეორებით გამოყენების თავიდან აცილების მიზანთან ერთად წარმოადგენდა მზღვეველისგან (კომპანიისგან) ანაზღაურების მიღება, რეცეპტები/მიმართვები 3-დან 4 თვემდე ვადით ინახებოდა უშუალოდ აფთიაქში, ხოლო ელექტრონული პროგრამის მონაცემები ეგზავნებოდა კომპანიას. მზღვეველის მიერ ანგარიშსწორების განხორციელების შემდეგ, მიმართვები/რეცეპტები და სხვა დოკუმენტაცია გროვდებოდა აფთიაქში განთავსებულ ე.წ. მაკულატურის ყუთში და იგზავნებოდა სააფთიაქო ქსელის საწყობში, საიდანაც მაკულატურა უტილიზაციისთვის შესაბამისი ზედნადებით გადაეცემოდა ინდივიდუალურ მენარმე გ.ო.-ს (შემდგომში - ინდ. მენარმე), რომელთანაც 2018 წლის 1-ლი იანვრიდან სააფთიაქო ქსელს ხელშეკრულება ჰქონდა დადებული. 2017 წლის 18 დეკემბრის მიმართვის/რეცეპტის უტილიზაციისთვის გადაცემის კონკრეტული პერიოდი სააფთიაქო ქსელმა ვერ მიუთითა, რადგან მაკულატურის გადაცემა ხდებოდა წონით და არ ფიქსირდებოდა გადაცემული დოკუმენტის შინაარსი და თარიღი. სააფთიაქო ქსელის წარმომადგენელმა განმარტა, რომ პერსონალური მონაცემების შემთხვევითი გამჟღავნების პრევენციის მიზნით, შეიძინეს ქალაქის გამანადგურებელი - ე.წ. „შრედერი“ და საწყობში თავმოყრილი მიმართვები/რეცეპტები უტილიზაციისთვის გადაცემამდე დაქუცმაცდებოდა.

ინდ. მენარმემ ვერ წარმოადგინა ინფორმაცია კონკრეტულ რეცეპტთან/მიმართვასთან დაკავშირებით, ვინაიდან, მაკულატურა ერთიანად თავსდებოდა და იხარშებოდა სპეციალურ დანადგარში. უტილიზაციის პროცესში მონაწილეობდა მხოლოდ 2 თანამშრომელი.

ლ.ც.-მ ასევე დაადასტურა, რომ რეცეპტი დატოვა ქ. ქიათურაში მდებარე აფთიაქში და მისთვის უცნობი იყო, რა გზით აღმოჩნდა ეს დოკუმენტი სოფელ ნატახტარში.

სამართლებრივი შეფასება

სააფთიაქო ქსელსა და ინდ. მენარმეს შორის 2018 წლის 1-ელ იანვარს დადებული ხელშეკრულებით დადგინდა, რომ სააფთიაქო ქსელის დავალებით ინდ. მენარმე იღებდა ვალდებულებას მაკულატურა გამოეყენებინა მხოლოდ გადამუშავებისთვის. ამდენად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდ. მენარმე წარმოადგენდა სააფთიაქო ქსელის უფლებამოსილ პირს.

შემონმების ფარგლებში ვერც სააფთიაქო ქსელმა და ვერც ინდ. მენარმემ შესაბამისი ინფორმაციის აღურიცხაობის გამო ვერ წარმოადგინეს რეცეპტთან დაკავშირებული ინფორმაცია, მათ შორის ვერ მიუთითეს, ლ.ც.-ს სახელზე გაცემული მიმართვის/რეცეპტის გადაცემა მოხდა თუ არა და როდის უფლებამოსილი პირისთვის. შესაბამისად, მტკიცებულებების არარსებობის გამო ცალსახად ვერ დადგინდა, თუ ვის მიერ და რა გზით მოხდა კომპანიის მიერ 2017 წლის 18 დეკემბერს ლ.ც.-ს სახელზე გაცემული მიმართვის/რეცეპტის გამჟღავნება.

ამის მიუხედავად, ინსპექტორმა მიუთითა, რომ სააფთიაქო ქსელსა და ინდ. მენარმეს შორის დადებული ხელშეკრულება არ შეიცავდა ნათელ და მკაფიო მითითებებს უფლებამოსილი პირის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების სპეციალურ წესებზე და აკრძალვებზე, როგორც ამას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი მოითხოვს. ამ მუხლის მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, მონაცემთა დამუშავებელი უნდა დარწმუნდეს, რომ უფლებამოსილი პირი მონაცემთა დასაცავად მიიღებს შესაბამის ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომებს, იგი ვალდებულია მონიტორინგი გაუწიოს უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავებას. ამასთან, უფლებამოსილ პირთან დადებული ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს მონაცემთა უსაფრთხოებისათვის ზომების მიღების ვალდებულებას, რაც მონაცემთა უკანონო ან შემთხვევითი გამჟღავნების, მოპოვების, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისგან დაცვასაც მოიცავს.

ინსპექტორმა მხედველობაში მიიღო სააფთიაქო ქსელის გადანყვეტილება უტილიზაციისთვის გადაცემამდე დოკუმენტების დაქუცმაცებასთან დაკავშირებით, თუმცა მიუთითა, რომ სამომავლოდ პერსონალური მონაცემების შემცველი მაკულატურის უფლებამოსილი პირისთვის იდენტიფიცირებადი სახით (დაქუცმაცების გარეშე) გადაცემის შემთხვევაში, აუცილებელი იქნებოდა უსაფრთხოების ადეკვატური ზომების მიღება.

ინსპექტორის გადანყვეტილება

სააფთიაქო ქსელს დაევალა, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, უფლებამოსილ პირ(ებ)თან დადებულ ხელშეკრულებაში მკაფიოდ და ნათლად განესაზღვრა უფლებამოსილი პირ(ებ)ის ვალდებულებები და მონიტორინგის განხორციელების მექანიზმები პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით, ხოლო პერსონალური მონაცემების შემცველი მაკულატურის უფლებამოსილი პირისთვის იდენტიფიცირებადი სახით გადაცემის შემთხვევაში, უზრუნველყო მაკულატურის გადაცემის ფაქტების აღრიცხვა დოკუმენტის სახისა და აფთიაქში მისი წარდგენის პერიოდის მითითებით.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

პერსონალურ მონაცემთა კატეგორიის, შინაარსის, მოცულობის, ასევე მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებებისათვის სავარაუდო რისკების გათვალისწინებით, მონაცემთა დამმუშავებელმა და უფლებამოსილმა პირებმა უნდა მიიღონ რისკების შესაბამისი უსაფრთხოების ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები. უსაფრთხოების ხარისხის შეფასებისას აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტების შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვის, უნებართვო გავრცელებისა და ხელმისაწვდომობის საფრთხეები. გარდა ამისა, უფლებამოსილი პირის დახმარებით მონაცემთა დამმუშავების შემთხვევაში, აუცილებელია არსებობდეს ხელშეკრულება ან სამართლებრივი აქტი, რომელიც დეტალურად მოაწესრიგებს როგორც მონაცემთა დამმუშავების ფარგლებს, ასევე მათ დასაცავად მისაღებ ზომებსა და მონაცემთა დამმუშავების პროცესზე მონიტორინგის საკითხებს.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-16 და მე-17 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.



უცხო პირების თანდასწრებით პაციენტის კლინიკური გამოკვლევა



ფაქტობრივი გარემოებები

2018 წლის 6 სექტემბერს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს განცხადებით მიმართა ი.ფ.-მ, რომელმაც მიუთითა, რომ 2018 წლის 17 აგვისტოს ერთ-ერთ სამედიცინო ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) ნარკოლოგიური საშუალების მოხმარების ფაქტის დადგენის შესახებ ცნობის აღების მიზნით ყოფნისას, ექიმის ოთახში მასთან გასაუბრება მიმდინარეობდა უცხო პირის გამოკითხვის პარალელურად. შესაბამისად, განმცხადებელს ესმოდა სხვა პაციენტის მიერ ექიმის კითხვებზე (ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების შესახებ) გაცემული პასუხები და პირიქით, მის მიმართ დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხები უცხო პირსაც შეეძლო გაეგო.

განცხადების განხილვის ფარგლებში ცენტრმა განმარტა, რომ განმცხადებლის კლინიკურ-ნარკოლოგიური შემონმება ჩატარდა ნარკოლოგიური გამოკვლევებისთვის განკუთვნილ ექიმ-სპეციალისტების სამუშაო ოთახში, რომელშიც არ ხორციელდება ვიდეო/აუდიო მეთვალყურეობა. ცენტრმა ასევე მიუთითა, რომ განმცხადებლის კლინიკური შემონმება დაიწყო 17 აგვისტოს, 12:21 საათზე. ექიმ-ნარკოლოგთან ერთად კლინიკურ გამოკვლევაში (მათ შორის ანამნეზის შეკრებასა და ტიპური ანატომიური ადგილების დათვალიერებაში) მონაწილეობდა და შესაბამისად, ოთახში იმყოფებოდა მხოლოდ ექიმ-ტოქსიკოლოგი.

განცხადების განხილვის ფარგლებში ჩატარებული შემონმებისას დადგინდა, რომ გამოკვლევის ოთახი წარმოადგენდა ორი ექიმ-ნარკოლოგისა და ერთი ფარმაცევტ-ტოქსიკოლოგის მუდმივ სამუშაო ადგილს. გამოკვლევის ოთახი არის ერთიანი სივრცე, სადაც გარდა სამუშაო მაგიდებისა, განთავსებული იყო ერთი მოძრავი ფარდა ე.წ. „შირმა“, რომელიც გამოიყენებოდა მხოლოდ პაციენტთა ფიზიკური დათვალიერების დროს.

გამოკვლევის ოთახში შესასვლელ დერეფანში განთავსებული იყო ე.წ. „ტაბლო“, რომლის მეშვეობითაც ხდებოდა პაციენტთათვის რიგის ნომრის მინიჭება, თუმცა ის მუდმივ რეჟიმში არ ფუნქციონირებდა. პაციენტთა დიდი რაოდენობისას ხდებოდა ე.წ. „ტაბლოს“ გათიშვა და პაციენტთა რიგს უშუალოდ ექიმ-სპეციალისტები აკონტროლებდნენ.

გამოკითხულმა ექიმ-სპეციალისტებმა განაცხადეს, რომ პაციენტთან გასაუბრებაზე სხვა პირის დასწრება ხდება მხოლოდ პაციენტის თანხმობით ან მისი მოთხოვნით. მათ კატეგორიულად გამორიცხეს განმცხადებლის სხვა პაციენტთან ერთად პარალელურ რეჟიმში გამოკითხვის ფაქტი.

ადგილზე შემონმების ფარგლებში შესწავლილ იქნა დერეფანში განთავსებული ვიდეოსათვალთვალო კამერის ჩანაწერები, რომლითაც დადასტურდა, რომ ცენტრის მიერ მითითებულ დროს, კერძოდ, 2018 წლის 17 აგვისტოს, 12:21 საათზე, გამოკვლევის ოთახში განმცხადებელთან

ერთად შევიდა სხვა პაციენტიც. განმცხადებელმა ჩანაწერში ამოიწყო საკუთარი თავი და დაადასტურა, რომ არ იცნობდა გამოკვლევის ოთახში მასთან ერთად შესულ უცხო პირს და ოთახში უცხო პირთან ერთად შევიდა უშუალოდ ექიმ-სპეციალისტების მოთხოვნით. დამატებით, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით დათვალიერდა 2018 წლის 14 სექტემბრის და 2018 წლის 12 ოქტომბრის ვიდეოჩანაწერები, საიდანაც დადასტურდა დერეფანში მომლოდინე რამდენიმე პაციენტის გამოკვლევის ოთახში ერთდროულად შესვლის შემთხვევები. ასევე დადგინდა, რომ ცენტრის პროგრამულ უზრუნველყოფაში დაცული ყველაზე ძველი ვიდეოჩანაწერი თარიღდებოდა 2017 წლის 12 ოქტომბრით. ცენტრმა განმარტა, რომ ვიდეომასალის შენახვის ვადად განსაზღვრული ჰქონდა არაუმეტეს 30 კალენდარული დღისა, ვინაიდან უფრო მეტი ვადით ჩანაწერების შენახვის საჭიროება არ არსებობდა და მისთვის არ იყო ცნობილი, რომ პროგრამული უზრუნველყოფა ვიდეოჩანაწერებს ინახავდა 1 წელზე მეტი ვადით.

სამართლებრივი შეფასება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. მონაცემთა უსაფრთხოებისათვის მიღებული ზომები მონაცემთა დამმუშავებასთან დაკავშირებული რისკების ადეკვატური უნდა იყოს. მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამმუშავებაში, ვალდებულია არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს.

ცენტრის ადგილზე შემოწმებითა და ვიდეოჩანაწერებით ცალსახად დადგინდა, რომ ცენტრში ნარკოლოგიური (კლინიკური) გამოკვლევის ჩატარების მიმდინარეობისას არ იყო მიღებული მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, რაც წარმოშობდა მონაცემთა უკანონო დამმუშავების, მათ შორის, შემთხვევითი გამჟღავნების რეალურ საფრთხეს. ცენტრის დერეფნის ვიდეოსათვალთვალო კამერის ჩანაწერებით გამოვლინდა გამოკვლევის ოთახში ერთდროულად რამდენიმე პაციენტის შესვლის ან/და ყოფნის ფაქტები, როგორც 2018 წლის 17 აგვისტოს განმცხადებლის კლინიკური გამოკვლევისას, ასევე სხვა პაციენტების შემთხვევაშიც 2018 წლის 14 სექტემბერს და 12 ოქტომბერს.

ინსპექტორის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ ცენტრში მყოფი პაციენტები ფიზიკურად ხვდებიან ერთმანეთს და შესაძლოა ვარაუდობენ, რომ ესა თუ ის პირი იტარებს ნარკოლოგიურ შემოწმებას, უშუალოდ კლინიკური გამოკვლევის პროცესზე დასწრებით მათ მიეწოდებათ დაზუსტებული და ოფიციალური ინფორმაცია კონკრეტული პაციენტის ვინაობის, მის მიერ მიღებული პრეპარატის, გადატანილი დაავადებების და სხვა პირადი საკითხების შესახებ. გამოკვლევის პროცესში გაჟღერებული ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ კი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს წარმოადგენს, რომლის მესამე პირისთვის გამჟღავნება მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობის გარეშე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად დაუშვებელია. ინსპექტორმა მიუთითა, რომ რამდენადაც კლინიკური გამოკვლევა დაკავშირებულია პირის ანამნეზის მოპოვებასთან, გამოკვლევის ოთახი კი წარმოადგენდა ერთიან სივრცეს, სადაც გაჟღერებული ინფორმაცია

ჩვეულებრივ/ობიექტურ შეფასებაზე დაყრდნობით თავისუფლად ხელმისაწვდომი ხდებოდა ოთახში მყოფი სხვა პირებისთვის, ამავე ოთახში რამდენიმე პაციენტის ერთდროულად დაშვება არ შეესაბამებოდა მონაცემთა დამუშავების უსაფრთხოების დაცვის სტანდარტს და მუდმივად წარმოშობდა მონაცემების უკანონო/შემთხვევითი გამჟღავნების რისკებს. შემონების ფარგლებში ცენტრმა ვერ დაასაბუთა პაციენტების ერთობლივად გამოკითხვის აუცილებლობა და ვერ წარმოადგინა ერთობლივ გამოკვლევაზე რომელიმე პაციენტის (მათ შორის განმცხადებლის) თანხმობის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულება.

რაც შეეხება ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადას, მიუხედავად იმისა, რომ ცენტრს ვიდეოჩანაწერების შენახვის მაქსიმალურ ვადად განსაზღვრული ჰქონდა 30 კალენდარული დღე, რეალურად პროგრამულ უზრუნველყოფაში ჩანაწერები ინახებოდა 1 წელზე მეტი ვადით, რაც წინააღმდეგობაში მოდიოდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. კერძოდ, აღნიშნული პუნქტის თანახმად, მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით დადგენილი წესების ერთი წლის განმავლობაში განმეორებით დარღვევისა და ამავე კანონის მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით დადგენილი პრინციპის დარღვევის გამო, ცენტრი ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტით და 46-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენაში და შეეფარდა ჯარიმა. მას ასევე დაევალა ისეთი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების დანერგვა, რომლებიც უზრუნველყოფდა ნარკოლოგიური (კლინიკური) გამოკვლევის პროცესში პაციენტების პერსონალური მონაცემების დაცვას შემთხვევითი/უკანონო გამჟღავნებისგან და ვიდეოსათვალთვალო სისტემის იმ ჩანაწერების წაშლა, რომელთა შენახვის ვადა აღემატებოდა 30 კალენდარულ დღეს.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

სამედიცინო დაწესებულების მიერ მონაცემთა უსაფრთხოების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის განსაკუთრებული ხასიათისა და ინფორმაციის გამჟღავნების რისკების შესაბამისად. აუცილებელია ექიმთან კონსულტაცია და სამედიცინო მომსახურება განხორციელდეს იზოლირებულ სივრცეში, თავიდან უნდა იქნას აცილებული მესამე პირის თუნდაც შემთხვევითი დასწრება. ამ წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ პაციენტის მოთხოვნით და მის მიერვე განსაზღვრული პირისთვის.

რაც შეეხება ვიდეოსათვალთვალოს ჩანაწერების შენახვას, საკმარისი არ არის მხოლოდ ჩანაწერების შენახვის ვადის განსაზღვრა. პროგრამული უზრუნველყოფის ტექნიკური მახასიათებლები უნდა უზრუნველყოფდეს ჩანაწერების მხოლოდ კანონიერი მიზნის შესაბამისი ვადით შენახვას და ავტომატურად შლიდეს და ანადგურებდეს მოძველებულ ჩანაწერებს.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-4 და მე-17 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაცია ჯანდაცვის სფეროში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.

აივ ინფიცირების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება



ფაქტობრივი გარემოებები

2019 წლის ოქტომბერში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს განცხადებით მიმართა ლ.ე.-მ, რომელიც მიუთითებდა, რომ ერთ-ერთი სამედიცინო ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ექიმმა მისი აივ ინფიცირების შესახებ ინფორმაცია მისი თანხმობის გარეშე გაუმჟღავნა მის დას.

განცხადების განხილვის ფარგლებში ლ.ე.-ს დამ დაადასტურა, რომ ცენტრში ძმის სანახავად ყოფნის და მის მკურნალ ექიმთან გასაუბრების დროს ამ უკანასკნელისგან პირველად შეიტყო ძმის აივ ინფიცირების თაობაზე. აღნიშნული ინფორმაცია უარყო როგორც ცენტრმა, ასევე მკურნალმა ექიმმა და მიუთითეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ პაციენტის სამედიცინო ანკეტაში აისახა პაციენტის გადატანილი დაავადებების, მათ შორის აივ ინფიცირების შესახებ ინფორმაცია, ეს მონაცემი მათ მიერ არ გამჟღავნებულა.

ცენტრმა განმარტა, რომ ვინაიდან იურიდიულ პირებს კანონმდებლობა არ ავალდებულებს მონაცემთა გამჟღავნების შიდა სტანდარტის განსაზღვრას, მესამე პირებთან კომუნიკაციისას, პაციენტის შესახებ ინფორმაციის გაცემისას, ხელმძღვანელობდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, „საექიმო საქმიანობის შესახებ“ და „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონებით დადგენილი წესით.

სამართლებრივი შეფასება

პირის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებისთვის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს სპეციალურ წესს და განსაზღვრავს იმ მიზნებსა და საფუძვლებს, რომელთა არსებობისას დასაშვებია ამ კატეგორიის მონაცემების დამუშავება. აღნიშნული კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება დასაშვებია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის ან დაწესებულების (მუშაკის) მიერ ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე თუ ეს აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვისთვის ან ფუნქციონირებისთვის. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მაშინაც კი, როდესაც არსებობს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი, მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე დაუშვებელია მონაცემთა გასაჯაროება და მესამე პირისთვის გამჟღავნება.

პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის დამუშავების, მათ შორის გამჟღავნებასთან დაკავშირებულ საკითხებს ასევე ითვალისწინებს „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის 27-ე მუხლის თანახმად, სამედიცინო მომსახურების გამწვევი ვალდებულება დაიცვას პაციენტის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენ-

ციალობა. ამასთან, „აივ ინფექცია/შიდსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულება, რომელიც ახორციელებს აივ ინფიცირებულთა/შიდსით დაავადებულთა დიაგნოსტიკას, მკურნალობას, პროფილაქტიკას, მხარდაჭერას/ხელშეწყობას ან/და მოვლას, ასევე ნებისმიერი იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებსაც აქვთ ინფორმაცია პირის აივ ინფიცირების/შიდსით დაავადების შესახებ, ვალდებული არიან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაიცვან ინფორმაციის კონფიდენციალურობა. ამდენად, ინსპექტორის შეფასებით, ცენტრს, როგორც ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებას, უფლება ჰქონდა დაემუშავებინა განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, თუმცა, ამავდროულად მის ვალდებულებას წარმოადგენდა პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა, მათ შორის ცენტრის ექიმის მხრიდან.

განცხადების განხილვის ფარგლებში ლ.ე.-ს აივ ინფიცირების თაობაზე ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით წარმოდგენილ იქნა ურთიერთსაინააღმდეგო ახსნა-განმარტებები. ამასთან, როგორც განმცხადებელი და მისი და, ასევე ცენტრი, მათ შორის მკურნალი ექიმი, წარმოადგენდნენ დაინტერესებულ მხარეებს, რაც საქმის განხილვის პროცესში ზრდიდა მათი განმარტებების მოპოვებისას კერძო სახის დაინტერესების არსებობის ალბათობას, ხოლო, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა, ობიექტური მტკიცებულება განცხადების განხილვის ფარგლებში ვერ იქნა მოპოვებული. ამდენად, ინსპექტორის მიერ, შესაძლო კერძო დაინტერესების არსებობის პირობებში, მოპოვებული მტკიცებულებები არ იქნა მიჩნეული სათანადოდ საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად.

ამასთან, მონაცემების სენსიტიური ხასიათიდან გამომდინარე, მათი უკანონო ან შემთხვევითი გამჟღავნების თავიდან აცილების მიზნით, ინსპექტორმა მნიშვნელოვნად მიიჩნია ცენტრს შეემუშავებინა კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით პაციენტის შესახებ ინფორმაციის მესამე პირებისათვის გამჟღავნების სპეციალური წესი, რომელიც დეტალურად გაითვალისწინებდა ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

უტყუარი მტკიცებულებების არარსებობის გამო, ცენტრის მიერ განმცხადებლის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების მესამე პირისთვის გამჟღავნების და შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი არ დადგინდა. ცენტრს დაევალა წერილობით შეემუშავებინა პაციენტის შესახებ ინფორმაციის მესამე პირისთვის გამჟღავნების სტანდარტული და სპეციალური წესი/რეგულაცია, რომელშიც დეტალურად იქნებოდა განწერილი ინფორმაციის გაცემის პირობები, ინფორმაციის ადრესატთა წრე, უსაფრთხოების წესები, მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმები და სხვა.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

აივ სტატუსის შესახებ ინფორმაცია განსაკუთრებით სენსიტიურია სტიგმატიზაციის, დისკრიმინაციის საფრთხის გათვალისწინებით. ამიტომ, აივ ინფიცირებულ პაციენტებს კანონმდებლობა უფლებას ანიჭებს, თავად დაასახელონ ის პირები, რომელთაც შეიძლება მიეწოდოთ ინფორმაცია აივ სტატუსის შესახებ. აუცილებელია, სამედიცინო დაწესებულებებმა და სამედიცინო პერსონალმა

დაიცვან აივ ინფიცირებულის შესახებ მათ ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა და მონაცემი მესამე პირებს გაუმჟღავნონ მხოლოდ პაციენტის ინფორმირებული და წერილობითი თანხმობის არსებობის ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. აივ სტატუსის შესახებ ინფორმაციის სათანადო დაცვა არამართლობიერი გამჟღავნებისგან არა მხოლოდ კონკრეტული პაციენტის უფლებებისა და ინტერესებით არის ნაკარნახევი, არამედ იმითაც, რომ გამჟღავნების საფრთხე დამაბრკოლებელ გარემოებად არ იქცეს ნებაყოფლობითი ტესტირებით დაინტერესებული პირებისა და ამ სფეროში სახელმწიფო პროგრამების ეფექტური განხორციელებისთვის.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 და მე-6 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაცია ჯანდაცვის სფეროში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.
3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეებზე არმონასი ლიტვის წინააღმდეგ და ბირიუკი ლიტვის წინააღმდეგ - <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=003-2558775-2780393>.



ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების EHR სისტემაში პაციენტების მონაცემებზე წვდომა



ფაქტობრივი გარემოებები

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა, შეტყობინების საფუძველზე, 2019 წლის ივლის-დეკემბერში შეისწავლა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) „ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების სისტემა - EHR“-ში (შემდგომში - სისტემა) პაციენტთა პერსონალურ მონაცემებზე წვდომის კანონიერება.

სისტემა წარმოადგენს პაციენტთა მონაცემების ციფრულ საცავს. „ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების სისტემის (EHR) ფუნქციონირებისა და წარმოების წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 3 იანვრის №01-1/ნ ბრძანების (შემდგომში - მინისტრის ბრძანება) თანახმად, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიმწოდებელი ყველა სტაციონარული და ამბულატორიული სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია გადასცეს სისტემაში ამ ბრძანების №1 დანართით დადგენილი წესითა და ვადაში. 2019 წლის 23 ოქტომბრის მდგომარეობით სისტემაში რეგისტრირებული იყო 399 კლინიკა, 5768 ექიმი და 310761 პაციენტის შესახებ მინიმუმ ერთი ეპიზოდი.

სამინისტროს განმარტებით, სისტემის მეშვეობით პაციენტთა მონაცემების დამუშავების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, ხოლო მიზანს ავტორიზებული პირებისგან პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ჩანაწერების შეგროვებით, შენახვით, უფლებამოსილი პირებისთვის ხელმისაწვდომობით და შემდგომი დამუშავებით უწყვეტი, ეფექტური, პაციენტზე ორიენტირებული, ხარისხიანი და ინტეგრირებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარება. სისტემაში შესაძლოა დამუშავდეს როგორც პაციენტის შესახებ მოცულობითი ინფორმაცია (მათ შორის, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, სისხლის ჯგუფი და რეზუსი, მისამართი, მობილური ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტა, გადატანილი დაავადებების, ქირურგიული ჩარევების, იმუნიზაციის, სკრინინგის, ორსულობის, ინსტრუმენტული, კლინიკურ-დიაგნოსტიკური თუ ლაბორატორიული გამოკვლევების, დანიშნულების შესახებ მონაცემები), ასევე ჩანაწერების ავტორების, იმ სამედიცინო პერსონალის მონაცემები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ პაციენტის მკურნალობის პროცესში და იცნობენ სამედიცინო ჩანაწერებს.

მინისტრის ბრძანების №1 დანართის შესაბამისად, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (შემდგომში - სსგს) სისტემას აწვდის პაციენტისა და ექიმის იდენტიფიცირებისა და რეგისტრაციისთვის საჭირო პერსონალურ მონაცემებს.

სისტემის შემადგენელი ნაწილია პაციენტის გვერდი, რომლის საშუალებითაც სისტემაში რეგისტრირებულ პაციენტს შეუძლია გაეცნოს მისი ჯანმრთელობის შესახებ სისტემაში არსებულ ელექტრონულ ჩანაწერებს, დანიშნულებებსა და პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ ინფორმაციას. სისტემაში პაციენტის შესახებ შექმნილ ყველა შემთხვევას (ეპიზოდს) ენიჭება სპეციალური სტატუსი, რომლითაც განისაზღვრება ვის შეიძლება ჰქონდეს წვდომა აღნიშნულ მონაცემებზე. ადგილზე შემონმებისას დადგინდა, რომ სისტემაში აღირიცხება 4 განსხვავებული სტატუსი:

- ხილული - პაციენტის ნებართვით მონაცემებზე წვდომა აქვს ყველა ავტორიზებულ ექიმს;
- დაფარული - პაციენტის ნებართვით მონაცემები ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ ექიმისთვის, რომლის ავტორიზებითაც შეიქმნა ეპიზოდი;
- რედაქტირებადი - ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ ექიმისთვის, რომლის ავტორიზებითაც შეიქმნა ჩანაწერი, რადგან ეპიზოდის სისტემაში ასახვა ჯერ არ დასრულებულა;
- სრულად დაფარული - ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ ექიმისთვის, რომლის ავტორიზებითაც შეიქმნა ეპიზოდი. მონაცემების სრული დაფარვა ხდება გარკვეული ვადით, თუკი ინფორმაციის გამჟღავნება პაციენტისთვის პოტენციურად საფრთხეს უქმნის პაციენტის ჯანმრთელობას. ამ ქმედების დასაბუთება კანონმდებლობით დადგენილი წესით აისახება სისტემაში (სამედიცინო დაწესებულების სისტემა).

შემონმების ფარგლებში დადგინდა, რომ ეპიზოდის სტატუსის ცვლილება ხდება უშუალოდ პაციენტის მიერ ან მასთან შეთანხმებით - მისი წერილობითი თანხმობით ან მის ტელეფონზე მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით მიღებული ერთჯერადი კოდის ექიმისთვის მიწოდების გზით. პაციენტს შეუძლია დროებით გახადოს ესა თუ ის ეპიზოდი ხელმისაწვდომი კონკრეტული ექიმისთვის და ვიზიტის შემდგომ ისევ შეცვალოს მისი სტატუსი. განსაკუთრებული შემთხვევისას, „EMERGENCY“ ღილაკის გამოყენებით ექიმს სისტემაში შეუძლია გაეცნოს დაფარულ ეპიზოდებს. ასეთ დროს სისტემა ექიმს აწვდის სპეციალურ გაფრთხილებას, რომ ხდება მონაცემთა ნახვის განსაკუთრებულ რეჟიმზე გადასვლა და ითხოვს დადასტურებას შესაბამისი ღილაკის მონიშვნით. აღნიშნული ფუნქციონალი გათვალისწინებულია მინისტრის ბრძანების №1 დანართის მე-11 მუხლის მე-10 პუნქტით, კერძოდ, *„გამონაკლის შემთხვევებში (ქმედუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე ან/და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარს მოკლებული პაციენტის შემთხვევაში, როდესაც მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ჯანმრთელობის მდგომარეობის ინტერესის გათვალისწინებით და მონაცემთა სუბიექტს ფიზიკურად ან სამართლებრივად უნარი არ აქვს, მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობა განაცხადოს, ასევე, „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში), ექიმს უფლება აქვს ერთჯერადად, მხოლოდ ამ შემთხვევის მიზნებისთვის, მიიღოს პაციენტის დაფარულ მონაცემებზე წვდომა მისი თანხმობის გარეშე. ეს უფლება გრძელდება სესიის დასრულებამდე. ასეთ შემთხვევებში ექიმის მიერ სამედიცინო დოკუმენტაციაში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი/კომენტარი სათანადო განმარტებით. ასეთი სახით ხილვად ინფორმაციას დაფარვა/გაზიარების მანამდე არსებული სტატუსი არ ეცვლება. აღნიშნული ქმედება ლოგირდება სისტემის მიერ.“*

მინისტრის ბრძანების შესაბამისად, სისტემაში სამედიცინო ჩანაწერები ინახება პაციენტის სიცოცხლის ბოლომდე და გარდაცვალებიდან 15 წლის განმავლობაში. პაციენტის გარდაცვალების შემდგომ მის ჩანაწერებს ენიჭება დაფარულის სტატუსი და პაციენტის როლი უქმდება.

მინისტრის ბრძანების თანახმად, მონაცემთა მიმართ შესრულებული მოქმედებების ე.წ. „ლოგები“ ინახება შესაბამისი ქმედების განხორციელების თარიღიდან 3 წლის განმავლობაში, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ადგილზე შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ სისტემაში აღირიცხება პაციენტის მონაცემების, მათ შორის მასზე შექმნილი ეპიზოდების შესახებ შესრულებული მოქმედებები. სისტემაში შესასვლელად ყველა ავტორიზებული პირი იყენებს განპიროვნებული მომხმარებლის სახელს და პაროლს. შემოწმების დროს ექიმის ავტორიზაციისთვის არ გამოიყენებოდა ე.წ. ორდონიანი ავთენტიფიკაციის მექანიზმი, თუმცა სამინისტრო გეგმავდა მსგავსი მექანიზმის დანერგვას.

სამართლებრივი შეფასება

მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია პირის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს და მისი დამუშავება დასაშვებია მხოლოდ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-6 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში. კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება შესაძლებელია თუ მონაცემები მუშავდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის ან დაწესებულების (მუშაკის) მიერ ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე თუ ეს აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვისათვის ან ფუნქციონირებისათვის. რამდენადაც სამინისტროს მიერ სისტემაში არსებულ პაციენტთა პერსონალურ მონაცემებზე წვდომა ხორციელდებოდა კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სამართლებრივი საფუძვლით, ამასთან, მონაცემთა დამუშავების მიზანი, დამუშავებული მონაცემების მოცულობა, მათი შენახვის ვადა, მონაცემთა სუბიექტის უფლებები, სამედიცინო პერსონალის ვალდებულებები და სისტემაზე წვდომის უფლებამოსილებები და კონტროლის მექანიზმები განისაზღვრებოდა მინისტრის ბრძანებით და ხორციელდებოდა აღნიშნული ბრძანების შესაბამისად (რაც დადასტურდა სისტემის ადგილზე შემოწმების დროს), ინსპექტორმა სისტემის მეშვეობით მონაცემთა დამუშავება მიიჩნია კანონშესაბამისად.

ამასთან, მიუხედავად სამინისტროს მხრიდან სისტემაში ავტორიზებული პირების დაშვებისას მიღებული უსაფრთხოების შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომებისა, თანამედროვე ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში მონაცემთა აბსოლუტური დაცულობის უზრუნველყოფის სირთულეებიდან გამომდინარე, ინსპექტორმა მნიშვნელოვნად მიიჩნია სამინისტროს, სისტემაში დაცული მონაცემების მოცულობის, შინაარსის, ხასიათის, წვდომის უფლების მქონე პირების რაოდენობის გათვალისწინებით, მიეღო დამატებითი და ჯეროვანი ზომები მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

მიუხედავად იმისა, რომ შემოწმების ფარგლებში არ დადგინდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესების დარღვევა, სამინისტროს დაევალა სისტემაში შესაბამისი წვდომის მქონე ავტორიზებული პირებისთვის (ექიმები და სამინისტროს წარმომადგენლები) სისტემაში შესასვლელად ავტორიზაციის ორდონიანი მექანიზმის დანერგვა.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

ელექტრონული სისტემების მეშვეობით მოცულობითი მონაცემების დამუშავების დროს, თა-

ნამედროვე ტექნოლოგიური შესაძლებლობებისა და საფრთხეების, მონაცემთა სუბიექტების რაოდენობის, მათი მონაცემების კატეგორიის, შინაარსის, წვდომის მასშტაბის გათვალისწინებით, აუცილებელია ნებისმიერ მსგავს სისტემას გააჩნდეს ავტორიზაციის მინიმუმ ორდონიანი მექანიზმი. თანამედროვე რეალობაში ეს მექანიზმი უფრო მეტად ამცირებს სისტემებში არავტორიზებული წვდომის რისკს, რამდენადაც მომხმარებლის სახელისა და გვარის მითითებასთან ერთად აუცილებელი ხდება მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით მიღებული ერთჯერადი კოდის გამოყენება.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-4, მე-6 და მე-17 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაცია ჯანდაცვის სფეროში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.
3. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2019 წლის CM/Rec(2019)2 რეკომენდაცია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების დაცვის შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.

პაციენტის გამოკვლევის შედეგების მეგობრისთვის გადაცემა



ფაქტობრივი გარემოებები

2020 წლის 13 იანვარს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს მიმართა ნ.კ.-მ, რომელიც მიუთითებდა, რომ 2019 წლის 17 დეკემბერს იმყოფებოდა ერთ-ერთ კლინიკაში გასტროსკოპიული გამოკვლევის ჩასატარებლად. სამედიცინო ანკეტის შევსების დროს, კლინიკის თანამშრომელმა მას დაუდასტურა, რომ შესაძლებელი იყო გამოკვლევის შედეგების ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნა. შესაბამისად, განმცხადებელმა ანკეტაში მიუთითა საკუთარი ელექტრონული ფოსტის მისამართი. 2019 წლის 30 დეკემბერს განმცხადებელი ტელეფონით დაუკავშირდა კლინიკას და ითხოვა გამოკვლევის შედეგების ელექტრონული ფოსტით მიწოდება, რაზეც კლინიკის ოპერატორისგან მიიღო უარი, ხოლო, როცა ნ.კ.-მ იკითხა, იყო თუ არა შესაძლებელი მის მეგობარს გაეტანა გამოკვლევის პასუხები, ოპერატორისგან მიიღო დასტური. განმცხადებელმა ოპერატორს სთხოვა გამოკვლევის პასუხები გადაეცათ მისი მეგობრისთვის, თუმცა არ მიუთითებია მეგობრის ვინაობა და როდის მივიდოდა იგი კლინიკაში. ნ.კ.-ს ინფორმაციით, მისი მეგობარი ა.თ. 2019 წლის 30 დეკემბერს მივიდა კლინიკაში და მოითხოვა ნ.კ.-ს გამოკვლევის პასუხები. პირადობის დამადასტურებელი ან სხვა მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის მოთხოვნისა და ნ.კ.-სთან დაკავშირების გარეშე, კლინიკის თანამშრომელმა ა.თ.-ს დაულუქავი კონვერტით გადასცა ნ.კ.-ს გამოკვლევის შედეგები.

განცხადების განხილვის ფარგლებში კლინიკამ განმარტა, რომ სამედიცინო დოკუმენტაციის კლინიკის პაციენტებისთვის/მესამე პირებისთვის გადაცემის საკითხი რეგულირდებოდა კლინიკაში მოქმედი წესებითა და გენერალური დირექტორის ბრძანებით. რამდენადაც განმცხადებლისთვის ჩატარებული გასტროსკოპიული კვლევა მოიცავდა ბიოფსიური მასალის აღებასა და მის ჰისტოპათოლოგიურ გამოკვლევას, სხვა სამედიცინო დოკუმენტებისგან განსხვავებით, კლინიკა არ ახდენდა ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევის შედეგების ელექტრონული ფოსტით გაგზავნას შესაბამის ექიმ-სპეციალისტთან განხილვის (სატელეფონო კომუნიკაციის ან კლინიკაში ვიზიტის მეშვეობით) გარეშე, ჯანმრთელობის რისკების პრევენციისა და მკურნალობის პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფის გამო.

კლინიკამ დაადასტურა, რომ 2019 წლის 30 დეკემბერს კლინიკის წარმომადგენელმა მ.დ.-მ განმცხადებლის გამოკვლევის შედეგები არაუფლებამოსილ პირს არასათანადო ფორმით (დალუქვის გარეშე) გადასცა. კლინიკამ გამოთქვა წუხილი და განაცხადა, რომ მომხდარი ფაქტი ეწინააღმდეგებოდა მისი მომსახურების ხარისხს, პაციენტის უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის შიდა სტანდარტებს.

სამართლებრივი შეფასება

კვლევების შედეგები, რომელიც ასახავს პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას, განეკუთვნება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს და მათი სენსიტიური

(მგრძნობიარე) ხასიათიდან გამომდინარე, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო კანონმდებლობით, ასეთ მონაცემებზე დაცვის მაღალი სტანდარტი ვრცელდება. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის დამუშავება დასაშვებია მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობით ან ამავე მუხლით დადგენილ სხვა შემთხვევებში. პაციენტის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული საკითხები ასევე განსაზღვრულია „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით. აღნიშნული კანონის 21-ე მუხლის თანახმად, ქმედუნარიან პაციენტს უფლება აქვს გადაწყვიტოს, მიიღოს თუ არა ვინმემ ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. დადებითი გადაწყვეტილების მიღებისას მანვე უნდა დაასახელოს ის პირი, რომელსაც ეს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს. გადაწყვეტილება და პირის ვინაობა ფიქსირდება სამედიცინო დოკუმენტაციაში.

ინსპექტორმა ასევე იხელმძღვანელა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით საქმეში „ზ. ფინეთის წინააღმდეგ“ (Z. v. Finland, განაცხადი no. 22009/93, 1997 წლის 25 თებერვალი, პარ. 9), რომელშიც სასამართლო მიუთითებს, რომ „პერსონალური ინფორმაციის, განსაკუთრებით კი სამედიცინო მონაცემების დაცვა ფუნდამენტური მნიშვნელობისაა კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის უფლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა სასიცოცხლო მნიშვნელობის პრინციპია [...]. აღნიშნულ პრინციპს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ პაციენტის პრივატულობის პატივისცემის, არამედ, ასევე, სამედიცინო პროფესიისა და ზოგადად, ჯანდაცვის სისტემის მიმართ მისი ნდობის შენარჩუნების თვალსაზრისითაც.“

განცხადების განხილვის ფარგლებში შესწავლილი კლინიკის შიდა რეგულაციები განსაზღვრავდა პაციენტების სამედიცინო დოკუმენტაციის კონფიდენციალურობის დაცვისა და მათი გაცემის წესებს. მათ შორის, პაციენტი ან მისი ნათესავი/კანონიერი წარმომადგენელი რეგისტრაციისას, მომსახურების მიღებამდე ავსებდნენ და ხელს აწერდნენ „ზოგად თანხმობას სამედიცინო მომსახურების განწვევის თაობაზე“. კლინიკის რეგისტრატორი პასუხისმგებელი იყო კვლევის შედეგების დახურული კონვერტით გადაცემაზე მხოლოდ პაციენტისა ან მის მიერ დასახელებული კანონიერი წარმომადგენლისთვის, რომელიც ასახული იყო ელექტრონულად რეგისტრაციის დროს (წარმომადგენლის სახელის, გვარის, პირადი ნომრის, საკონტაქტო ნომრის და პაციენტთან კავშირის მითითებით). იმ შემთხვევაში, თუ პაციენტი რეგისტრაციისას არ დაასახელებდა წარმომადგენელს და შემდგომ მოითხოვდა დოკუმენტების მესამე პირისთვის გადაცემას, აუცილებელი იყო პაციენტთან დისტანციურად (სატელეფონო კავშირით) წარმომადგენლის ვინაობის დაზუსტება, მისი იდენტიფიკაცია პირადობის მოწმობით და შესაბამისი ინფორმაციის ასახვა ელექტრონულ პროგრამაში პაციენტთან კავშირის მითითებით. ჰისტოპათოლოგიური კვლევის სპეციფიკის გათვალისწინებით, მისი გადაცემა პაციენტისთვის ან მისი წარმომადგენლისთვის უნდა მომხდარიყო დახურული კონვერტით შესაბამის ექიმ-სპეციალისტთან განხილვის (სატელეფონო კომუნიკაციის ან კლინიკაში ვიზიტის მეშვეობით) შემდეგ.

გამოკვლევული მტკიცებულებებით ასევე დადგინდა, რომ ნ.კ.-მ კლინიკაში რეგისტრაციის დროს გასცა ზოგადი თანხმობა სამედიცინო მომსახურების განწვევის თაობაზე, თუმცა მას არ შეუვსია და ღიად ჰქონდა დატოვებული ველი იმ პირების შესახებ, რომელთაც პაციენტი ანიჭებს უფლებას მიიღონ ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და კვლევის შედეგების შესახებ.

შესაბამისად, განცხადების განხილვის ფარგლებში გამოკვლეული მტკიცებულებებით ცალსახად დადგინდა, რომ კლინიკამ არაუფლებამოსილ პირს არასათანადო ფორმით გადასცა განმცხადებლის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები.

ინსპექტორის გადანყვეტილება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე მონაცემთა გამჟღავნებისთვის კლინიკა ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად ამავე კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და სახდელის სახით შეეფარდა ჯარიმა.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

მონაცემთა დამმუშავებელი ორგანიზაციის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაში ან აქვს წვდომა მონაცემებთან, ვალდებულია მოქმედებდეს საქართველოს კანონმდებლობის, ორგანიზაციის შიდა რეგულაციების შესაბამისად, არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. მონაცემთა სუბიექტის შესახებ დოკუმენტების მისთვის გადაცემამდე, ორგანიზაციის თანამშრომელმა უნდა შეამოწმოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო მონაცემთა სუბიექტის მიერ დასახელებული პირისთვის დოკუმენტების გადაცემისას, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად, კიდევ ერთხელ უნდა გადაამოწმოს სამედიცინო დოკუმენტაციაში ვინ არის მონაცემთა მიღებაზე უფლებამოსილ პირად მითითებული. ნებისმიერი საეჭვო გარემოების არსებობისას ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის არქონის შემთხვევაში, დოკუმენტაცია არ უნდა გაიცეს.

მონაცემთა დამმუშავებელმა ორგანიზაციებმა, თავის მხრივ, უნდა უზრუნველყონ ეფექტური ღონისძიებების გატარება როგორც მონაცემთა დაცვის საკითხებზე თანამშრომელთა ინფორმირების, ასევე, მათი საქმიანობის კონტროლის, მონაცემთა უკანონო დამუშავების ფაქტების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით. ამისთვის, მათ წერილობით უნდა შეიმუშაონ მონაცემთა დამუშავების დეტალური ინსტრუქციები და რეგულარული მონიტორინგი გაუწიონ თანამშრომელთა მიერ დადგენილი წესების შესრულებას, მაგალითად, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ცალკეული მონაცემთა დამუშავების პროცესზე დაკვირვებითა თუ მონაცემთა გამჟღავნების აღრიცხვის ჟურნალის წარმოების პერიოდული შემოწმებით.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-6 და მე-17 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაცია ჯანდაცვის სფეროში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.

ვიზიტზე ჩანერილ პაციენტთა სიების დერეფანში განთავსება



ფაქტობრივი გარემოებები

2020 წლის 13 იანვარს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს (შემდგომში - სამსახური) მოქალაქემ შეატყობინა, რომ ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებაში (შემდგომში - ცენტრი), სადაც 2020 წლის 11 იანვარს იმყოფებოდა, დერეფანში განთავსებული იყო გამოკვლევებზე ჩანერილი პაციენტების სია. შეტყობინების ავტორის მიერ წარმოდგენილი ფოტოსურათებით დასტურდებოდა 2020 წლის 11 იანვარს ცენტრში „ცე“ და „ბე“ ჰეპატიტებისა და აივ ინფექციის კვლევაზე ჩანერილი პაციენტების მონაცემების ხელმისაწვდომობა.

სამსახურის მიერ 2020 წლის იანვარ-მარტში ჩატარებული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ცენტრი ახორციელებს კიბოს სკრინინგის სახელმწიფო პროგრამებს ფილიალების მეშვეობით. ცენტრმა დაადასტურა, რომ შეტყობინების ავტორის მიერ მითითებულ ცენტრის ფილიალში (შემდგომში - ფილიალი) ცალკეულ კაბინეტებთან ხდებოდა კონკრეტულ დღეს კვლევაზე ჩანერილ პაციენტთა სიების განთავსება. ცენტრმა ამ გზით მონაცემთა დამუშავების მიზნად მიუთითა მომსახურების გამარტივება და რიგის რეგულირება, სამართლებრივ საფუძველად კი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი (მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტისთვის მომსახურების გასაწევად). ამასთან, ცენტრმა დაადასტურა, რომ შეტყობინების ავტორის მიერ სამსახურისთვის წარდგენილ ფოტოსურათზე მითითებული პირები ნამდვილად იყვნენ 2020 წლის 11 იანვარს ფილიალში შესაბამის კვლევებზე ჩანერილები.

ადგილზე შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ კაბინეტების შესასვლელებთან გამოკრული სიები შეიცავდა პაციენტის სახელს, გვარს, ვიზიტის დროს, ჩასატარებელი გამოკვლევის შესახებ ინფორმაციას.

ცენტრის განმარტებით, პაციენტის ცენტრის შესაბამის ფილიალში ჩანერა შესაძლებელია ადგილზე ვიზიტით, თანხმობის ფორმაზე ხელმოწერის გზით ან ცხელი ხაზის მეშვეობით. ორივე შემთხვევაში პაციენტი უთითებს პირად ნომერს და აცხადებს თანხმობას ცენტრის მიერ მისი პერსონალური მონაცემების შესაბამის ბაზაში გადამოწმებასთან დაკავშირებით. შემოწმებისას წარმოდგენილი ცხელი ხაზის აუდიოჩანაწერით დადგინდა, რომ პირი თავად აძლევს ცენტრის ოპერატორს თავის პირად ნომერს კომპანიის ბაზაში გადამოწმების მიზნით. ამასთან, ხელმოწერილი თანხმობის ფორმით დადგინდა, რომ პაციენტის თანხმობა შეეხებოდა „დაავადებათა სკრინინგის“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელებისთვის სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის, რეგისტრაციისა და მათი სტატუსების შესახებ ინფორმაციის თაობაზე მისი პერსონალური მონაცემების მოპოვებას/დამუშავებას, ასევე ცენტრის ელექტრონულ საინფორმაციო პროგრამაში დაცულ სამედიცინო ისტორიაზე წვდომას.

შემომხმებისას შერჩევითად განხორციელდა ფილიალში გამოკვლევებზე 2020 წლის 11 იანვარს ჩანერილ პაციენტებთან დაკავშირება. მათ განმარტეს, რომ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების სიების სახით ფილიალში განთავსებაზე თანხმობა არ გაუციათ. ერთ-ერთმა პაციენტმა ასევე მიუთითა, რომ ცენტრის თანამშრომელმა დილას გამოაკრა სია, რომელშიც ის პირველ ნომრად იყო მითითებული.

აღსანიშნავია, რომ ცენტრმა შემომხმების პროცესში შეწყვიტა პერსონალური მონაცემების შემცველი სიების განთავსება ფილიალებში.

სამართლებრივი შეფასება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით. ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია კი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს წარმოადგენს. ამავე კანონის მე-6 მუხლი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებას დასაშვებად მიიჩნევს მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობით ან ამავე მუხლით მე-2 პუნქტით განსაზღვრულ საგამონაკლისო შემთხვევებში, მაგალითად, როდესაც მონაცემები მუშავდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის ან დაწესებულების (მუშაკის) მიერ ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე თუ ეს აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვისათვის ან ფუნქციონირებისათვის. ხოლო, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების სამართლებრივი საფუძვლის არსებობის შემთხვევაშიც კი, მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე დაუშვებელია მონაცემთა გასაჯაროება და მესამე პირისთვის გამჟღავნება.

ინსპექტორმა არ გაიზიარა ცენტრის არგუმენტაცია განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების საფუძველთან დაკავშირებით, ვინაიდან, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „თ“ ქვეპუნქტით (ე.წ. ჩვეულებრივი კატეგორიის მონაცემის დამუშავება) გათვალისწინებული გარემოების არსებობა არ ქმნიდა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების სამართლებრივ საფუძველს. შემომხმების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტაციითა და ახსნა-განმარტებებით ცალსახად დადგინდა, რომ ცენტრს პაციენტების თანხმობა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გასაჯაროებაზე არ ჰქონია და სხვა მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა პაციენტების მონაცემების შემცველი სიის შენობის დერეფანში განთავსების/გასაჯაროების „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლის არსებობა, ცენტრმა ვერ წარმოადგინა.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე პაციენტთა მონაცემების დამუშავების გამო, ცენტრი ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონ-

ნის 45-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და სახდელის სახით შეეფარდა ჯარიმა.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

დაუშვებელია პაციენტის ვინაობის, ექიმთან დანიშნული ვიზიტისა თუ დაგეგმილი გამოკვლევის შესახებ ინფორმაციის სამედიცინო დანესებულების შენობაში ყველასთვის ხელმისაწვდომი ფორმით განთავსება. ასევე გაუმართლებელია მოსაცდელ სივრცეში პაციენტების სახელებითა და გვარებით გამოძახება. პაციენტის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად და ჯანდაცვის სერვისებისადმი მისი ნდობის ასამაღლებლად მიზანშეწონილია რიგის ნომრის სისტემის დანერგვა, სხვადასხვა პაციენტების მომსახურებას შორის გონივრული ინტერვალის განსაზღვრა და სხვა ისეთი ღონისძიებების გატარება, მათ შორის დაწესებულების სივრცითი მოწყობის დაგეგმვის ეტაპზე, რომ მაქსიმალურად შემცირდეს პაციენტის შესახებ მონაცემების თუნდაც შემთხვევითი გამჟღავნების საფრთხე.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 და მე-6 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაცია ჯანდაცვის სფეროში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.



პოლიკლინიკის მიერ არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დამუშავება



ფაქტობრივი გარემოებები

ბავშვების პირადი ცხოვრების და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების მნიშვნელობის, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) ფარგლებში აღრიცხვაზე მყოფ არასრულწლოვან ბენეფიციართა რაოდენობის და მათი მონაცემების კანონდარღვევით დამუშავების რისკების გათვალისწინებით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ინიციატივით 2019 წლის ოქტომბრიდან 2020 წლის მარტის ჩათვლით განხორციელდა ერთ-ერთი პოლიკლინიკის შემოწმება.

პოლიკლინიკა ამუშავებდა პროგრამის ფარგლებში აღრიცხვაზე მყოფ არასრულწლოვან ბენეფიციართა (შემდგომში - არასრულწლოვანი ბენეფიციარები) მოცულობით პერსონალურ მონაცემებს. კერძოდ, ბავშვებისა და მათი მშობლების საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო მონაცემებს, ინფორმაციას ბავშვის ქცევის, კვებითი რეჟიმის, გეგმიური იმუნიზაციის, ფსიქომოტორული განვითარების, შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის, სისხლის ჯგუფისა და რეზუს ფაქტორის, ქირურგიული ჩარევების, გადატანილი ინფექციური დაავადებების, ქრონიკული დაავადებების, ანამნეზის, დიაგნოზის, კლინიკურ დიაგნოსტიკური გამოკვლევის შედეგების, დანიშნულებისა და ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.

პოლიკლინიკის განმარტებით, მონაცემთა დამუშავების საფუძვლებს წარმოადგენდა არასრულწლოვნის მშობლის ან მეურვის/მზრუნველის/კანონიერი წარმომადგენლის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებები, მათ შორის, 2014 წლის 17 მარტის N201-19/6 ბრძანება „ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმის, მისი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“, 2011 წლის 15 აგვისტოს N201-41/6 ბრძანება „ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“, 2019 წლის 16 სექტემბრის N201-60/6 ბრძანება „პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის, იმ ინფექციური დაავადებების სიის, რომელთათვისაც სავალდებულოა პროფილაქტიკური აცრები და პროფილაქტიკური აცრების ჩატარების ასაკობრივი მაჩვენებლების, ვადებისა და იმუნიზაციის მართვის წესების დამტკიცების შესახებ“, 2019 წლის 3 იანვრის N201-1/6 ბრძანება „ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების სისტემის (EHR) ფუნქციონირებისა და წარმოების წესის განსაზღვრის შესახებ“ და სხვა.

მონაცემთა დამუშავება ხორციელდებოდა შემდეგი სამედიცინო ფორმების, ჟურნალებისა თუ ელექტრონული სისტემების მეშვეობით: საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე

მოსარგებლის თანხმობის ფორმა; ამბულატორიული პაციენტის ვიზიტების და ბინაზე/ადგილზე გამოძახების რეგისტრაციის ჟურნალი; ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათი; იმუნოზაციის ელექტრონული მოდული; აცრების ყოველთვიური დაგეგმვისა და აღრიცხვის ჟურნალი (ფორმა 1.4); აცრების რეგისტრაციის ჟურნალი (ანგარიში ჩატარებული პროფილაქტიკური აცრების შესახებ) (ფორმა 1.8); ბავშვთა აღრიცხვის ჟურნალი დაბადების წლის მიხედვით ფორმა #1.1.; პროფილაქტიკური აცრების ბარათი ფორმა #01; პროფილაქტიკური აცრების ბარათი (ფორმა #063); პირის მიერ პროფილაქტიკურ აცრაზე დაუსაბუთებელი უარის თქმის ფორმა (დანართი #2) და ფორმა 1.5. ერთ თვეზე მეტი მძიმე მუდმივი უკუჩვენებების და უარებზე აღრიცხვის ჟურნალი; ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა IV-100/ა) და ფორმა IV-100/ა-ს რეგისტრაციის ჟურნალი; რეცეპტის ბლანკი ფორმა #3; EHR პროგრამა; სტატისტიკური ფორმა (ფორმა #025); სტატისტიკური ფორმა (საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში ანგარიშების ნაწილი); პოლიკლინიკის შიდა ელექტრონული პროგრამა.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიკლინიკა თავად არ აწარმოებდა ლაბორატორიულ კვლევებს, მას ჰყავდა კონტრაქტორი ლაბორატორია, სადაც პაციენტები იგზავნებოდნენ ანალიზების ჩასატარებლად. შესაბამისად, სამედიცინო ფორმას - ლაბორატორიული გამოკვლევების ჟურნალს აწარმოებდა ლაბორატორია და საჭიროების შემთხვევაში ანალიზების შედეგებს უგზავნიდა პოლიკლინიკის ოჯახის ექიმებს, რომლებიც თავის მხრივ დოკუმენტებს ინახავდნენ პოლიკლინიკის ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათებში. პოლიკლინიკასა და ლაბორატორიას შორის 2015 წლის 9 ნოემბერს დადებული ხელშეკრულების ვადა ამოიწურა 2019 წლის 31 დეკემბერს, თუმცა 2020 წელს პოლიკლინიკა კვლავ განაგრძობდა ლაბორატორიასთან თანამშრომლობას წერილობითი ხელშეკრულების გარეშე.

შემონმების ფარგლებში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა ასევე გამოიკვლია არასრულწლოვან ბენეფიციართა მონაცემთა შენახვის ვადები, მატერიალურ და ელექტრონულ მონაცემებზე წვდომის მინიჭების საკითხები, მონაცემთა უსაფრთხოებისთვის მიღებული ტექნიკური თუ ორგანიზაციული ზომები.

სამართლებრივი შეფასება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება შესაძლებელია მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობით ან ამავე პუნქტით განსაზღვრულ საგამონაკლისო შემთხვევებში, მაგალითად, როდესაც მონაცემები მუშავდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის ან დაწესებულების (მუშაკის) მიერ ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე თუ ეს აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვისათვის ან ფუნქციონირებისათვის.

რამდენადაც პოლიკლინიკის მიერ არასრულწლოვან ბენეფიციართა პერსონალური მონაცემები სამედიცინო ფორმების მეშვეობით გროვდებოდა და ინახებოდა მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე, სამედიცინო საქმიანობის განხორციელებისა და სამედიცინო მომსახურების გაწევის მიზნით, ინსპექტორმა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისად მიიჩნია პოლიკლინიკის მიერ მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლები. თუმცა, შემონმების პროცესში დადგინდა,

რომ პოლიკლინიკა ანალიზის ჩატარების მიზნით, მათ შორის, არასრულწლოვან ბენეფიციართა შესაბამის პერსონალურ მონაცემებს ამუშავებდა უფლებამოსილი პირის მეშვეობით კანონის მე-16 მუხლით დადგენილი წესების დარღვევით. კერძოდ, პოლიკლინიკასა და ლაბორატორიას შორის დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადის 2019 წლის 31 დეკემბერს ამონურვის შემდგომ, მხარეთა თანამშრომლობა გაგრძელდა ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, მაშინ როდესაც კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უფლებამოსილმა პირმა შეიძლება დაამუშაოს მონაცემები სამართლებრივი აქტის ან მონაცემთა დამმუშავებელთან დადებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ამ კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებს და უნდა ითვალისწინებდეს ამ კანონით დადგენილ წესებსა და აკრძალვებს.

კანონის მე-17 მუხლის მიხედვით, მონაცემთა უსაფრთხოების დასაცავად მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია უზრუნველყოს ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა. განსახილველ შემთხვევაში კი დადგინდა, რომ პოლიკლინიკის შიდა ელექტრონულ პროგრამაში არ აღირიცხებოდა მონაცემთა მიმართ შესრულებული ყველა მოქმედება - კერძოდ, მონაცემების ნახვა, დათვალიერება და ცვლილების შინაარსი.

ინსპექტორის გადანყვეტილება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 და მე-17 მუხლებით გათვალისწინებული წესების დარღვევისთვის, პოლიკლინიკა ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე და 51-ე მუხლების პირველი პუნქტებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენაში და სახდელის სახით შეეფარდა ჯარიმა. პოლიკლინიკას დაევალა უზრუნველყო იმგვარი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების მიღება, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა. მას ასევე დაევალა პროგრამის ფარგლებში აღრიცხვაზე მყოფი არასრულწლოვანი ბენეფიციარების პერსონალური მონაცემების უფლებამოსილი პირის მეშვეობით დამუშავების შემთხვევაში, უფლებამოსილ პირთან დადებული ხელშეკრულების ფორმისა და შინაარსის კანონის მე-16 მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

ელექტრონული ფორმით დაცული მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მათზე წვდომის ადვილად ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერ ელექტრონულ პროგრამას ჰქონდეს მონაცემთა მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვის, მათ შორის მონაცემებზე წვდომის, მათი დათვალიერების, ცვლილების, ნაშლისა და ექსპორტის აღრიცხვის შესაძლებლობა.


უფლებამოსილი პირის მონაწილეობით მონაცემთა დამმუშავების შემთხვევაში, აუცილებელია პერსონალურ მონაცემთა დამმუშავებასა და დაცვასთან დაკავშირებული საკითხები და მხარეთა უფლება-მოვალეობები რეგულირდებოდეს სამართლებრივი აქტით ან წერილობითი ხელშეკრულებით. მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების განსაზღვრისას მონაცემთა დამმუშავებელმა და უფლებამოსილმა პირებმა

უნდა გაითვალისწინონ მონაცემთა კატეგორიები, მოცულობა, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დარღვევის შესაძლო საფრთხეები და უფლებამოსილი პირის მიერ ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მექანიზმები.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6, მე-16 და მე-17 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაცია ჯანდაცვის სფეროში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.



ბრალდებულის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება



ფაქტობრივი გარემოებები

2020 წლის დასაწყისში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს (შემდგომში - სამსახური) მოქალაქემ შეატყობინა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალმა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ - სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა (შემდგომში - პენიტენციური სამსახური) სოციალური ქსელ „Facebook“-ის ოფიციალურ გვერდზე გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც შეიცავდა ბრალდებული პ.ვ.-ს პერსონალურ მონაცემებსა და ვიდეო გამოსახულებას.

პენიტენციური სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის და სოციალური ქსელის გვერდის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ პენიტენციური სამსახურის განცხადება წარმოადგენდა ბრალდებულ პ.ვ.-ზე პენიტენციურ დაწესებულებაში ფიზიკური ძალადობის შემთხვევაზე ერთ-ერთი ტელეკომპანიით გავრცელებული ინფორმაციის უარყოფას. განცხადებაში მითითებული იყო, რომ ბრალდებული, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, იმყოფებოდა ვიდეოთვალთვალთ აღჭურვილ კამერაში. პენიტენციური სამსახური ავრცელებდა ვიდეოსამეთვალყურეო კამერით გადაღებულ კადრებს, რომელშიც (სახის დაფარვით) ჩანდა ბრალდებულის დავარდნის და დაზიანების მიღების ფაქტი. გავრცელებული განცხადება შეიცავდა: პ.ვ.-ს სახელის ინიციალს, გვარს, დაბადების წელს; დაწესებულებაში მოთავსების თარიღს; იმ დანაშაულების ჩამონათვალს, რომელთა ჩადენის ბრალდებითაც იყო დაკავებული, მუხლებისა და მათი შინაარსის მითითებით; მისი ქცევებისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას; დეტალურ ინფორმაციას დიაგნოზის, შესაბამისი პროფილის ექიმთან კონსულტაციის, დაწესებულებაში განეული სამედიცინო დახმარების (მანიპულაციის სახეობის, მედიკამენტის დასახელების და დოზის მითითებით) და სამოქალაქო სექტორის კლინიკაში ქირურგიული ჩარევის შესახებ.

სამსახურის მიერ ჩატარებული შემოწმების ფარგლებში პენიტენციურმა სამსახურმა განმარტა, რომ ტელეკომპანიის მიერ გავრცელდა ყალბი და გადაუმოწმებელი ინფორმაცია, თითქოს პ.ვ.-ს ფიზიკურად გაუსწორდნენ დაწესებულების თანამშრომლები. ბრალდებულის ადვოკატი საჯაროდ აფიქსირებდა, რომ ბრალდებული პენიტენციურ დაწესებულებაში შევიდა სრულიად ჯანმრთელი და დაზიანება მიიღო პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების ძალადობრივი ქმედების შედეგად. ტელეკომპანიის მიერ გავრცელებულ სიუჟეტს მოჰყვა ბრალდებულის ოჯახის, ადვოკატისა და საზოგადოების გარკვეული ნაწილის უსაფუძვლო აგრესია პენიტენციური სამსახურის მიმართ, ხოლო დაწესებულების თანამშრომლები პირდაპირი, მტკიცებითი ფორმით დაადანაშაულეს უკანონო ქმედების ჩადენაში. პენიტენციური სამსახური ასევე მიუთითებდა, რომ აღნიშნული ინფორმაციის გავრცელებამ წარმოშვა პენიტენციურ დაწესებულებებში დესტაბილიზაციის რისკი, ასევე დააზიანა დაწესებულებაში მყოფი პირების ოჯახის წევრების ინტერესები, რადგან ისინი განსაკუთრებულად მგრძობიარენი არიან პენიტენციურ სისტემაში შესაძლო ძალადობის მიმართ.

ბრალდებულის პერსონალური მონაცემების და ვიდეოჩანანერის გასაჯაროების გზით დამუშავების სამართლებრივ საფუძვლად პენიტენციურმა სამსახურმა მიუთითა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ე“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტები, ხოლო განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების საფუძვლად ამავე კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, მიზნებად კი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის რეპუტაციის, მასში დასაქმებულ პირთა უფლებების, ბრალდებულების/ მსჯავრდებულებისა და მათი გარეთ მყოფი ახლობლების კანონიერი ინტერესების დაცვა. ამასთან, პენიტენციური სამსახური მიუთითებდა, რომ პ.ვ.-სთვის წაყენებული ბრალისა და დაკავების შესახებ ინფორმაცია, ისევე როგორც ჯანმრთელობის მდგომარეობა, საზოგადოებისთვის განცხადების გავრცელებამდე უკვე ცნობილი იყო ტელეკომპანიის მიერ გავრცელებული სიუჟეტით.

შემონმების ფარგლებში სამსახურმა გამოიკვლია ტელეკომპანიის მიერ გავრცელებული სიუჟეტი, რომელშიც მითითებული იყო ბრალდებულის სახელი, გვარი, ფოტოსურათი, დაზიანებებით საავადმყოფოში გადაყვანისა და ქირურგიული ოპერაციის ჩატარების შესახებ ინფორმაცია, ადვოკატის განცხადებები ბრალდებულზე ფიზიკური ძალადობის, ვიზუალური დათვალიერებით მისი მდგომარეობის, ექიმის მიერ მიწოდებული ინფორმაციის და ოჯახში ძალადობის ბრალდებით (ზოგადი ინფორმაცია) დაკავების შესახებ.

სამართლებრივი შეფასება

პენიტენციური სამსახურის მიერ მითითებულ მონაცემთა დამუშავების სამართლებრივ საფუძვლებთან მიმართებით ინსპექტორმა იხელმძღვანელა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ „მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის“ და „პირადი ცხოვრების უფლების შეზღუდვის საფუძვლების“ განმარტებით. ინსპექტორმა ასევე გაითვალისწინა „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პენიტენციური სამსახურის ამოცანები, საქმიანობის პრინციპები და ვალდებულებები, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ასევე მოიცავს ვალდებულებას, უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით, შეძლებისდაგვარად სწრაფად მიანოდოს საზოგადოებას სათანადო და ობიექტური ინფორმაცია პენიტენციურ დაწესებულებაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში საზოგადოების ინტერესის სფეროს წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ როდის და რა ვითარებაში მიიღო ჯანმრთელობის დაზიანება პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულმა ბრალდებულმა, მომხდარ შემთხვევასთან ჰქონდათ თუ არა კავშირი პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებს. შესაბამისად, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ გავრცელებული განცხადებით იმ ვიდეოჩანანერის გასაჯაროება, რომელზეც ასახული იყო ბრალდებულის მიერ დაზიანების მიყენების ფაქტი და რომლითაც შესაძლებელი იყო ჯანმრთელობის დაზიანების გამომწვევი მიზეზებისა და ბრალდებულის ვინაობის დადგენა, ინსპექტორმა მიიჩნია საჯარო ინტერესის შესაბამისად. თუმცა, პენიტენციური სამსახურის განცხადებით პ.ვ.-ს ბრალის შესახებ დეტალური ინფორმაციის გასაჯაროება ინსპექტორმა შეაფასა პირად ცხოვრებაში ჩარევის არაპროპორციულ და არაადეკვატურ საშუალებად.

რაც შეეხება პ.ვ.-ს ჯანმრთელობის, მათ შორის ფსიქოლოგიური მდგომარეობის და განუული სამედიცინო დახმარების შესახებ პენიტენციური სამსახურის განცხადებაში მოცემულ ინფორ-

მაციას, ინსპექტორმა არ გაიზიარა პენიტენციური სამსახურის არგუმენტაცია და აღნიშნა, რომ ტელეკომპანიის სიუჟეტი არ შეიცავდა დეტალურ ინფორმაციას პ.ვ.-ს დიაგნოზისა და სამედიცინო მანიპულაციების შესახებ, მათ შორის მასში საერთოდ არ იყო მითითებული გამოხატული ქცევის, მედიკამენტოზური მკურნალობის და დროის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა პროფილის ექიმებთან ვიზიტის შესახებ ინფორმაცია. ამასთან, განცხადების გასაჯაროების მომენტისთვის პენიტენციური სამსახური არ ფლობდა ინფორმაციას, რომ ადვოკატი მოქმედებდა პ.ვ.-ს სახელით და მას კანონით დადგენილი წესით მინიჭებული ჰქონდა უფლება დაცვის ქვეშ მყოფი პირის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გასაჯაროებაზე.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე და პრინციპების დარღვევით ბრალდებულის მონაცემების დამუშავების გამო, პენიტენციური სამსახური ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტითა და 45-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენაში და სახდელის სახით შეეფარდა ჯარიმა. სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს ასევე დაევალა უზრუნველყო ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალური ქსელის გვერდზე გამოქვეყნებული და შემოწმების ფარგლებში განხილული პ.ვ.-ს პერსონალური მონაცემების შემცველი იმ ინფორმაციის წაშლა ან დეპერსონალიზაცია, რომელიც აღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად მიჩნეულ იქნა კანონის მოთხოვნათა დარღვევით დამუშავებულად.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესი შესაძლოა წარმოადგენდეს ადამიანის პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევისა და პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძველს, თუმცა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია წინასწარ შეფასდეს არსებობს თუ არა კანონის შესაბამისი საჯარო ინტერესი, გადაწონის თუ არა საჯარო ინტერესი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის ინტერესს, რამდენად პროპორციული და ადეკვატურია საჯარო ინტერესის დასაკმაყოფილებლად კონკრეტული საშუალებებით, ფორმითა და მოცულობით პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული და პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის დამუშავება.

განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ან სხვა სახის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებთან მიმართებით, ვინაიდან ასეთი სენსიტიური მონაცემების საჯაროდ ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანი ზიანის მომტანი შეიძლება გახდეს მონაცემთა სუბიექტისთვის, მათ შორის მთელი ცხოვრების განმავლობაში. სწორედ ამიტომ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი კრძალავს კანონიერად დამუშავებული მონაცემების სუბიექტის თანხმობის გარეშე გასაჯაროებას და მესამე პირებისთვის გამჟღავნებას.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, მე-5 და მე-6 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე გუჯა მოლდოვას წინააღმდეგ, 2008 წლის 12 თებერვალი, №. 14277/04, პარაგრაფი. 74-75 - [https://hudoc.echr.coe.int/eng-press#%22itemid%22:\[%22003-2266532-2424493%22\]](https://hudoc.echr.coe.int/eng-press#%22itemid%22:[%22003-2266532-2424493%22]).
3. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე-ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გადაწყვეტილება №1/3/407, 2007 წლის 26 დეკემბერი, თავი II, პარაგრაფი 8 - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1996918?publication=0>.



სადაზღვევო კომპანიის ოფისში კომუნიკაციის უსაფრთხოება



ფაქტობრივი გარემოებები

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს 2019 წლის 12 დეკემბერს შეტყობინებით მიმართა მოქალაქემ ერთ-ერთი სადაზღვევო კომპანიის (შემდგომში - კომპანია) მიერ დაზღვეულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლის თხოვნით. შეტყობინების ავტორის მითითებით, კომპანიის ერთ-ერთი დაზღვევის ანაზღაურების ოფისში (შემდგომში - ოფისი) დაზღვეულთა მომსახურება ხდებოდა ერთიან დარბაზში, სადაც იმდენად ახლო დისტანციაზე იყო განლაგებული მოსაცდელი სივრცე და ოპერატორების მაგიდები, რომ თავისუფლად შეიძლებოდა ანაზღაურების ოფიცერსა და დაზღვეულს შორის საუბრის მოსმენა, რომელიც, როგორც წესი, სამედიცინო დოკუმენტაციაში (მაგალითად, ფორმა №100, ექიმის დანიშნულების ფურცელი, ქვითარი, გადახდის ორდერი და ა.შ.) ასახული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობას ან/და სქესობრივ ცხოვრებას უკავშირდება. დაზღვეულის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის შემთხვევაში, ოპერატორები ხმამაღლა განმარტავენ მიზეზს კონკრეტული დაავადების, ჩატარებული პროცედურის ან შეძენილი მედიკამენტის მითითებით, დაზღვეულს და ოპერატორს შორის იმართება დისკუსია და დეტალურად განიხილება ჩატარებული პროცედურებისა თუ ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები.

2020 წლის იანვარ-მარტში ჩატარდა კომპანიის შემოწმება. სადაზღვევო ოფიცრის/ოპერატორის მიერ დაზღვეულ პირთან კომუნიკაციის პროცესში პერსონალურ მონაცემთა შემთხვევითი ან უკანონო გამჟღავნებისგან დაცვის ზომებთან დაკავშირებით კომპანიამ განმარტა, რომ კომპანიის ყველა თანამშრომელთან გაფორმებული იყო შეთანხმება კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ, ოფისში მიმდინარეობდა აუდიო და ვიდეო მონიტორინგი კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, აუდიო მონიტორინგი გამოიყენებოდა პერსონალურ მონაცემთა არაკანონიერი გამჟღავნებისგან დაცვისა და მომსახურების ხარისხის კონტროლის მიზნებით.

შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ მომსახურების პროცესში ანაზღაურების პროცედურა მოიცავს დაზღვეული პირის მიერ კომპანიისთვის პერსონალური მონაცემების, მათ შორის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის, ექიმის დანიშნულების ფურცლის და ჩატარებული პროცედურების შესახებ ინფორმაციის წარდგენას. ადგილზე შემოწმებისას დადგინდა, რომ ოფისში, ერთ სივრცეში იყო განთავსებული 8 ოპერატორისთვის განკუთვნილი მაგიდა, სადაც უშუალოდ მიმდინარეობს ანაზღაურების პროცედურების გავლა, და ვიზიტორთათვის განკუთვნილი მოსაცდელი სავარძლები, რომელიც რამდენიმე ოპერატორის მაგიდისგან დაახლოებით ერთი მეტრის დისტანციით იყო დაშორებული. ოპერატორების მაგიდები ერთმანეთისგან არ იყო გამიჯნული ე.წ. „ტიხრებით“. ოპერატორისთვის განკუთვნილი ყველა მაგიდა აღჭურვილი იყო აუდიო ჩამწერი სისტემით და აღნიშნულის შესახებ ვიზიტორთა ინფორმირება ხდებოდა შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნებით.

შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ერთ-ერთი ოპერატორის 2020 წლის 11 თებერვალს განხორციელებული ორი აუდიო-ვიდეო ჩანაწერის შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ გარჩევადი იყო დარბაზში მყოფ პირთა საუბარი, მათ შორის ისმოდა გვერდით მჯდომი ოპერატორისა და დაზღვეული პირის საუბარი.

სამსახურის უფლებამოსილმა პირებმა ასევე შეისწავლეს აუდიო და ვიდეოთვალთვალის სისტემებთან წვდომის უფლებამოსილების საკითხები და დადგინდა, რომ სისტემაზე წვდომის უფლებამოსილების მქონე პირები სარგებლობდნენ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელით და პაროლით. ვიდეოთვალთვალის სისტემას გააჩნდა მონაცემთა მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვის ელექტრონული ჟურნალი (ე.წ. „ლოგირება“) და აღირიცხებოდა ჩანაწერების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედება.

სამართლებრივი შეფასება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. მონაცემთა უსაფრთხოებისათვის მიღებული ზომები მონაცემთა დამმუშავებასთან დაკავშირებული რისკების ადეკვატური უნდა იყოს.

ინსპექტორის შეფასებით, დაზღვეულის სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების პროცესში კომპანიის მხრიდან არ იყო მიღებული მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები. კერძოდ, ოპერატორთათვის განკუთვნილი მაგიდები, სადაც უშუალოდ მიმდინარეობდა ანაზღაურების პროცედურის გავლა და ვიზიტორთათვის განკუთვნილი მოსაცდელი სავარძლები ანაზღაურების ერთიან დარბაზში განთავსებული იყო იმდაგვარად, რომ ოპერატორსა და დაზღვეულ პირს შორის კომუნიკაციის შინაარსი ჩვეულებრივ ხდებოდა ხელმისაწვდომი იმავე სივრცეში მყოფი სხვა პირებისთვის, მათ შორის მოსაცდელ სივრცეში მყოფი ან გვერდით მაგიდასთან მსხდომი პირებისთვის. ინსპექტორმა არ გაიზიარა კომპანიის არგუმენტაცია, რომ მონაცემის გამჟღავნება შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ოპერატორთან ისაუბრებდა სტანდარტულ ტემბრზე უფრო მაღალი ხმით და მიუთითა, რომ მონაცემთა უსაფრთხოება არ უნდა ყოფილიყო დამოკიდებული მხოლოდ მომხმარებლის ხმის ტემბრზე. შესაბამისად, ინსპექტორმა მიიჩნია, რომ ასეთ სივრცეში სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების პროცედურის გავლა არ შეესაბამებოდა მონაცემთა დამმუშავების უსაფრთხოების დაცვის სტანდარტს და მუდმივად წარმოშობდა მონაცემების უკანონო/შემთხვევითი გამჟღავნების რისკებს.

ინსპექტორის გადაწყვეტილება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით დადგენილი წესების დარღვევისთვის, კომპანია ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად ამავე კანონის 46-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და შეეფარდა გაფრთხილება. მას ასევე დაევალა ოფისის დაზღვევის ანაზღაურების დარბაზში მომხმარებლებთან კომუნიკაციის პროცესში პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დაცვის ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების შემუშავება და დანერგვა.

რეკომენდაციები მსგავსი დარღვევების პრევენციისთვის

მონაცემთა უკანონო ან შემთხვევითი გამჟღავნების, მოპოვებისა და გამოყენების რისკები შეფასებულ და გათვალისწინებულ უნდა იქნას ყველა მომსახურების პროცესში, რომელიც პერსონალური მონაცემების, განსაკუთრებით კი სენსიტიური მონაცემების დამუშავებას მოიცავს. მონაცემთა უსაფრთხოებისთვის მიღებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები ასევე გულისხმობს დამუშავების ადგილის სივრცითი მოწყობის ისე დაგეგმვას, რომ მაქსიმალურად შემცირდეს მონაცემთა თუნდაც შემთხვევითი გამჟღავნების საფრთხე. ეს შესაძლებელია მოსაცდელი სივრცის გამოყოფით, ოპერატორების სამუშაო მაგიდების სათანადო დისტანციით განლაგებით, ტიხრების ან იზოლირებული შეხვედრის ოთახების გამოყენებით.

საინტერესო ბმულები

ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ:

1. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-17 მუხლები - <https://personaldata.ge/ka/legislation>.
2. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაცია ჯანდაცვის სფეროში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ - <https://personaldata.ge/ka/recommendations>.

აღნიშნული დოკუმენტი მომზადდა კონსულტანტის თამარ ქალდანის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) პროექტის ფარგლებში.

დოკუმენტში გამოთქმული შეხედულებები არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

